

ლიტერატურა

6
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სქპ

1969

საქართველო - ლექსები

ლიტერატურულ-მსაჯერო ოპ
საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტუალური

საბარტეშვილის მემორიალური კავშირის
აჭარის განყოფილების ორგანო

საქართველოს სსრ
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
საბარტეშვილის მემორიალური
კავშირის
აჭარის განყოფილება
საქართველოს სსრ

გ ა თ უ მ ი

რედაქტორი

ა. შონია

სარედაქციო კოლეგია:

ხ. ახვლედიანი

მ. ვარშანიძე (პ/მგ მდივანი)

პ. ღორია

აღ. ჩავლეიშვილი

ფრ. ხალვაში

1/2/1

ზურაბ გოჩილაძე

უნდა ავმჯდღეთ,
საუკუნე გვაქვს ებს რიცა

რამდენი ითქვა...

ო, რამდენი სიმღერა ითქვა,
მართალიც, ყალბიც, ერთ ჩარჩოში ჩასმული
ერთად,

მე ოცდაათი წელიწადი ვეძებდი სიტყვას,
რომ ლენინისთვის საკუთარი ფიქრები მეთქვა,
რამდენი ითქვა...

ო, რამდენი გალობა ითქვა,

მწუხარე ზოგი,

ზოგი ჩუმი,

წყნარი და ნელი.

ნამუსის შიგნით ვიჯექი და ეხარშავდი სიტყვას,
რომ ერთხელ მაინც შევხვედროდი ვლადიმერ
ლენინს.

ღროსა და მანძილს შემოჰქონდა

სურვილი წრფელი,

აზრსა და სიტყვას გაუხშირდა მაჯა და სუნთქვა,
გენიის გრძნობა უსასრულოდ მტაცებდა ლენინს,
მე.კი ლენინი უფრო ახლოს მყოლოდა მსურდა,

და ახლა როცა გრძნობისა და

ვონების მესმის

და ახლა როცა გადამშორდა

ცდუნება მრუმე,

ამაყი გახდა და ძვლიანი

ქართული ლექსი,

ლენინი ჩემთან ჩემს მოსვლამდე ყოფილა თურმე.

ო, არა, არ ღირს დამაშვრალი დაღალო ხელი,
ან მშრალი ყელი...

მიჩვეული წამიერ ელდას,
ჩვენ ისე თბილად ვერასოდეს გუმღერებთ ლენინს...
ულიანოვსკის ცისქვეშ როგორც მღეროდა დედა.
ვარ ჩემი დროით დაგროვილი,
მძიმე და სავსე,

გემებთან ერთად ტალღებსა და
სამუშებს ველი.

სიმღერა?

არა, იგი უნდა გადავდო განზე,
რადგანაც დავა და კამათი უყვარდა ლენინს.
ვინ მომცა მიწა?

მზის და მთვარის ცისფერი ზოდი.

ვინ მომცა წყალი?

ეულკანების სისხლი და ფესვი,

ვინ მომცა ქნარი?

ეს მაღალი დაფნების ტოტი,

ვინ მომცა აზრი?

ან მიწაში მფეთქავი თესლი,

ვინ მომცა ღობე?

ეს სურვილის ჩონჩხები ხარბი.

ვინ მომცა კარი?

ეს საზღვარი სინათლის, შიშის.

ოცნება ჩემი თავისუფალ სივრცეში გარბის,
და რაღაც კვდება ღობისა და სახნისის ჩრდილში.

ვინ მომცა სული?

დემონებით ავსილი სივრცე.

ვინ მომცა გული?

ცისფერ ლერწმზე მტევანი ცხელი.

ო, გედავები დროვ და ჟამო,

ცაო და მიწაც.

რადგანაც დავა და კამათი უყვარდა ლენინს,

და თუ მე დამღლის, ჩემი მიზნის ჭენება დამღლის,

ან ძვლიან ხელში გადამტყდარი შოლტი თუ

სახრე,

ათასი ფურთხი ყველა ორგულს, მლიქვნელს

და თადლითს,

ვინც ეფარება ლენინსა და ლენინის სახელს.
ვინც არის მგელი,
გახვეული კრაველში ცხვარის,
ვინც არის „წრფელი“,
მიჩვეული ცდუნებებს რიგითს,
ვინც სარდაფების და დახლების ფუსფუსით
ცხოვრობს
ამ მაღალი და დაბამბული კარების იქით.

ისეთ ქვეყანას,
გამოკიდულს კლდეში თუ ღრეში,
ისეთ ქვეყანას,
გადაქცეულს მინდვრების ნანად,
ბოროტი ფრთებით მოუჩრდილო საკუთარ მზეში,
საცოდაობა და სირცხვილი არ არის განა?!

არა იმიტომ,
რომ ვილაცის სახელით მმართვეს,
არა იმიტომ,
რომ ვილაცას დაეუტკბო ყური,
მე მტკივა; —
და მე მშობიარე ქალივით ვბადებ
სიტყვას, რომელსაც ზრდის ცხოვრების ცეცხლი
და პური.

არა იმიტომ,
რომ ვილაცის სურვილით მმართვეს,
არა იმიტომ,
რომ ვილაცას სჭირდება ასე,
მე მტკივა —
და მე მშობიარე ქალივით ვბადებ
სიტყვას, რომელსაც მომავალი იმედით ასწევს.
ცხოვრება ჩემი ვერ აიტანს, ოცნებებს მდარეს,
თუ რასმე ვიძენ, გლეხის ხელით და მუშის ხელით.
მე არვის მივცემ იმის ნებას შინა და გარეთ,
წარმოთქვას მხოლოდ ზეიმისთვის „ვლადიმერ
ლენინ!“

დე, იყოს მარში..

დე, დროშების ტყეებიც იყოს,

ყვოდეს ზეცა და იმედი თაობის გულთან,

მე კი ლენინზე იმ მწუხარე კაცივით ვფიქრობ,
ვისაც მოუკლეს ძმა, რომელსაც სამშობლო
სურდა...



დე, იყოს ზეცა...

მზე იყოს და სინათლე იყოს,

სხივის და წვიმის

და ყვავილის სიცილი სუფთა...

მე კი ლენინზე იმ მწუხარე კაცივით ვფიქრობ,

ვისაც ესროლეს, რადგან ხალხის სიკეთე სურდა.

დე, იყოს ელვაც,

ქუხილებიც,

ღრუბლებიც იყოს,

გადადიოდეს მთებს და კლდეებს გუგუნი ტყეფთა...

მე კი ლენინზე იმ ბოგანო კაცივით ვფიქრობ,

ვინც ქოხის ჩრდილში სინათლეს და სიმაღლეს

ხედავს.

ვინ მომცა მიწა?

მზის და მთვარის ცისფერი ზოდი.

ვინ მომცა წყალი?

ცულკანების სისხლი და ფესვი.

ვინ მომცა ქნარი?

ეს მაღალი დაფნების ტოტი.

ვინ მომცა აზრი?

ამ მიწაში მფეთქავი თესლი.

ვინ მომცა ღობე?

ეს სურვილის ჩონჩხები ხარბი.

ვინ მომცა კარი?

ეს საზღვარი სინათლის, შიშის,

ოცნება ჩემი თავისუფალ სივრცეში გარბის

და რაღაც კვდება სახრისა და სახნისის ჩრდილში...

ღერის თუ ყლორტის,

თუ გოროხის დამყვება ვალი,


ვიღაცა მომთხოვს...

და რა რიგად...

და ისიც ბოლოს,

რომ გავყურებდე ჩემს ქვეყანას სტუმარის
თვალით,

აღფრთოვანება
და ყიჟინი ვიქნები მხოლოდ.
ო, მშობლიურო აღტაცებავ,
ცაო და ვაზო,
უნდა ავმადლდეთ, საუკუნე გვავალებს როცა.
ნურავინ ფიქრობს გაგვიყალბოს ან გამოგეტაცოს,
რაც წინაპარმა, ქვეყანამ და ლენინმა მოგვცა.



ფილიპე მახარაძე

ამ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ლენინი

ყოველწლიურად სულ უფრო მცირდება იმ ადამიანთა წრე, რომლებიც პირადად იცნობდნენ ლენინს, უნახავთ იგი, მოუსმენიათ მისთვის; და სულ უფრო იზრდება რიცხვი იმათი, რომელნიც მას იცნობენ ფოტოსურათებით, წიგნებით, კინოფილმებით...

მაგრამ ამის გამო იგი არ ხდება უფრო შორეული და ნაკლებ მშობლიური თითოეული ჩვენთაგანისათვის, პირიქით, რაც დრო გადის, ადამიანებში მათ უფრო ღვივდება მისდამი სიყვარული.

ეს უკვდავი, განუმეორებელი სახელი გარემოცულია მშრომელთა სიყვარულით. ისინი უდიდესი მოკრძალებით თავს ხრიან მის წინაშე და ამბობენ — ლენინი ცოცხალია!

ამ სიტყვების სისწორეში კიდევ და კიდევ რწმუნდები, როცა ეცნობი იმ ისტორიულ ადგილებს, რომლებიც დაკავშირებულია უკვდავი ლენინის სახელთან.

ასეთი ისტორიული ადგილები ლენინგრადში 270-ზე მეტია. ქალაქის ბევრ ისტორიულ შენობაზე გაკრულია მემორიალური დაფა, ხოლო ბინები, სადაც ბელადი ცხოვრობდა, გადაკეთებულია ვ. ი. ლენინის სახლ-მუზეუმებად.

ვლადიმერ ილიას ძე პრველად პეტერბურგში ჩამოვიდა 1890 წლის სექტემბერში. მისი პეტერბურგში ყოფნა დაკავშირებული იყო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე გამოცდების ექსტერნად ჩაბარებასთან. ამ პერიოდს ეკუთვნის პეტერბურგელ მარქსისტებთან დაახლოების ცდები. ლენინი შემდეგ პეტერბურგში ჩავიდა 1891 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე. ამჯერად ვლადიმერ ილიას ძემ ჩააბარა უნივერსიტეტის ოთხი წლის კურსი. მან ყველა საგანში მაღალი შეფასება და პირველი ხარისხის დიპლომი მიიღო.

ლენინი მეოთხედ პეტერბურგში ჩავიდა 1893 წლის 31 აგვისტოს (12 სექტემბერი), ახლა უკვე რევოლუციური მუშაობის გასაჩაღებლად.

ვლადიმერ ილიას ძე რამდენიმე თვის განმავლობაში ცხოვრობდა სერგიევსკისა და იამსკოის ქუჩებზე, ლაშტუკოვის შესახვევში, ხოლო 1894 წლის თებერვლიდან 1895 წლის მაისამდე კაზახევის შესახვევში,

სახლი 4/7. ამ ბინაში რომ მოხვდეთ, უნდა გაიაროთ ჭიშკრის ქვეშ და მესამე სართულზე ახვიდეთ იმავე ქვის ფილებით რომლითაც მრავალი ათეული წლის წინათ ახალგაზრდა ლენინმა დასაფარა ექსკურსანტები შედიან ლენინის ბინაში. პატარა, უბრალო ოთახი, დაბალი ჭერი და მრგვალი ღუმელი კუთხეში ნათელ წარმოდგენას იძლევა ვლადიმერ ილიას ძის ცხოვრებაზე იმ წლებში. უბრალო რკინის საწოლი, რომელსაც უხეში ქსოვილი აქვს გადაფარებული, პატარა მაგიდა ნავთის ლამპით და რამდენიმე სკამი — აი ყველაფერი, რაც ოთახში არის.

აქ ხშირად მოდიოდნენ მოწინავე რევოლუციონერი მუშები, „ბრძოლის კავშირის“ წევრები. აქ, ამ ოთახში ვლადიმერ ილიას ძემ დაამთავრა თავისი ცნობილი შრომა „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ იმოძვენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“

ამ დროიდან იწყება ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პეტერბურგის პერიოდი — რუსეთში მუშათა კლასის რევოლუციური მარქსისტული პარტიის შექმნისათვის ბრძოლის პერიოდი.

ვ. ი. ლენინის რევოლუციური მოღვაწეობა დაიწყო ნევის სადარაჯოზე, მუშათა წრეებში — სემიანიკოვსკის ქარხნის მუშის ი. ბაბუშკინის ბინაზე. წრეებს ხელმძღვანელობდა ლენინი. ასეთივე წრეები იყო ჩამოყალიბებული ლენინის ინიციატივით ქალაქის სხვა რაიონებშიც. თავის პროპაგანდისტულ მუშაობაში ლენინი თეორიას მჭიდროდ უკავშირებს პრაქტიკას. იგი ყურადღებით სწავლობს ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშების ცხოვრებისა და შრომის პირობებს; ლენინი უჩვენებს მუშებს, როგორ გამოიყენონ მარქსის მოძღვრება რუსეთის სინამდვილეში, როგორ იბრძოლონ კაპიტალისტების, მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და დაიცვან მუშათა კლასის ინტერესები.

1895 წლის შემოდგომაზე ლენინმა გააერთიანა პეტერბურგში არსებული ყველა მარქსისტული მუშათა წრე (მათი რიცხვი დაახლოებით ოცს უდრიდა) ერთ ორგანიზაციად, რომელმაც მიიღო სახელწოდება „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“. იგი ეკონომიური მოთხოვნებისათვის, შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის, სამუშაო დღის შემცირებისათვის, ხელფასის გადიდებისათვის მუშათა ბრძოლას უკავშირებდა ცარიზმის წინააღმდეგ პოლიტიკურ ბრძოლას. „ბრძოლის კავშირის“ საქმიანობამ შეაშფოთა მეფის მთავრობა; 1895 წლის 9 დეკემბერს ღამით მან გაანადგურა „ბრძოლის კავშირი“ და დააპატიმრა მისი ხელმძღვანელი ვ. ი. ლენინი. დააპატიმრეს აგრეთვე გ. მ. კრუიენოვსკი, ვ. ვ. სტარკოვი, ა. ა. ვანევეი და სხვები.

ლენინი მოათავსეს პეტერბურგის ციხის განმარტოებულ № 193 საკანში. ილიჩი საპყრობილეშიც არ წყვეტდა რევოლუციურ ბრძოლას.

მან დაამყარა კავშირი თავისუფლად დარჩენილ პეტერბურგის
ლის კავშირის“ წევრებთან, მათ აძლევდა რჩევა-დარიგებას, უზრუნველყოფდა
დაშიფრულ წერილებს, ბროშურებს. ფურცლებს. ციხის ადმინისტრაციის
ცია უკრძალავდა პატიმრებს ჰქონოდათ მელანი. მაგრამ ლენინმა იპოვა
მდგომარეობიდან გამოსავალი. მელნის ნაცვლად იგი ხმარობდა რძეს,
ხოლო სამელნეს პურის გულისხვან ამზადებდა. საკმარისი იყო საკანის
კარებთან ზედამხედველის გამოჩენა, რომ „სამელნე“ პირში ქრებოდა.
ლენინი თავის ერთ-ერთ წერილში წერდა: „დღეს ექვსი-სამელნე“ შევჭა-
მე“. რომელიმე წიგნის სტრიქონებს შორის რძით გაკეთებული ჩანაწე-
რები არ იწვევდა ეჭვს და არ იპყრობდა ციხის ადმინისტრაციის ყუ-
რადღებას. სამედიცინო წიგნის სტრიქონებს შორის ლენინმა რძით და-
წერა პარტიის პროგრამის პროექტი.

საპყრობილეში ვლადიმერ ილიას ძემ დაწერა პროკლამაცია ცარიზმის
წინააღმდეგ, რომელშიც ამხილა მეფის მთავრობის გახრწნილება და
მოუწოდა მუშებს მასთან ბრძოლისაკენ. აქვე დაწერა მან ბრო-
შურა „გაფიცვების შესახებ.“

ვ. ი. ლენინი ციხეში თოთხმეტ თვეს იმყოფებოდა. 1887 წლის 29
იანვარს გამოიცა მეფის მთავრობის განკარგულება ლენინის აღმო-
სავლეთ ციხიბრში სამი წლით გადასახლების შესახებ პოლიციის მეთ-
ვალუყრეობის ქვეშ. იმავე წლის 4 მარტს მოსკოვიდან, კურსკის სადგუ-
რიდან ლენინი გაემგზავრა გადასახლებაში — შორეულ სოფელ
შუშენსკოეში.

გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ (1900 წლის 29 იანვარი) ლე-
ნინმა მხოლოდ ორჯერ მოახეოხა პეტერბურგში ჩასვლა, ისიც არალეგა-
ლურად. 1900 წლის შემოდგომაზე ვ. ი. ლენინი საზღვარგარეთ
გაემგზავრა.

საზღვარგარეთ ლენინი მოელაპარაკა „შრომის განთავისუფლების“
ჯგუფში შემაჯალ ამხანაგებს — გაერთიანებული ძალებით გამოეშვათ
გაზეთი. მართლაც, 1900 წლის დეკემბერში გამოვიდა გაზეთ „ისკრის“
პირველი ნომერი ეპიგრაფით: „ნაპერწყლიდან ალი აინთება“.

ლენინის მჭიდრო კავშირი პიტერის მუშებთან კიდევ უფრო განმ-
ტკიცდა რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში. ცხარე რევოლუციური
ამბების დროს, 1905 წლის ნოემბრის დასაწყისში ლენინი ემიგრაცი-
იდან პეტერბურგში ჩამოვიდა, რათა თვითონ ეხელმძღვანელა ცარიზმის
წინააღმდეგ რუსეთის პროლეტარიატისა და მისი ავანგარდის — ბოლ-
შევიკური პარტიის ბრძოლისათვის.

პეტერბურგში ჩამოსული ვლადიმერ ილიას-ძე იმედოვნებდა, რომ
იგი ნადეჟდა კონსტანტინეს ასულთან ერთად შეძლებდა ლეგალურად
ცხოვრებას. მაგრამ მეფის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა ლენინის

დაპატიმრებისათვის. ერთ თვემდე ლენინი ჩაუწერლად ცხოვრობდა პ. პ. რუმინაძის ბინაზე მათე როყდესტვენსკაიანზე, 1/41 ბინაზე. ლა მათე საბჭოს ქუჩა).

ჯამუშებისაგან თავდასაცავად ლენინი ხშირად იცვლიდა პასპორტებს და ბინებს. მიუხედავად ასეთი მძიმე და რთული პირობებისა, იგი არც ერთი წუთით არ ანებებდა თავს პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მისი ცენტრალური ორგანოს ხელმძღვანელობას, ყველა რევოლუციური ამბის, საქმის კურსში იმყოფებოდა, ეწეოდა უდიდეს ორგანიზატორულ მუშაობას, განუწყვეტელი კავშირი ჰქონდა მუშებთან როგორც პირადად, ისე თავისი თანამებრძოლების საშუალებით.

ლენინის ყურადღებას განსაკუთრებით იპყრობდა პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საქმიანობა. იგი ესწრებოდა პეტერბურგის საბჭოს კრებებს. 1905 წლის 13 ნოემბერს გამოვიდა საბჭოს პლენუმზე და შეიმუშავა რეზოლუცია „ლოკალურ ბრძოლის საშუალებები“, რომელიც მიიღო საბჭომ.

როგორც კი იფეთქა მოსკოვში დეკემბრის შეიარაღებულმა აჯანყებამ, ლენინმა ყოველგვარი ზომები მიიღო აჯანყების ხელმძღვანელობის განსამტკიცებლად. არაღეგალურმა მდგომარეობამ და გაძლიერებულმა დევნამ შესაძლებლობა არ მისცა ლენინს პირადად მიეღო მონაწილეობა შეიარაღებულ აჯანყებაში, მაგრამ იგი დიდი ყურადღებით აღევნებდა თვალყურს შეიარაღებული ბრძოლის განვითარებას, ეხმარებოდა მათ რჩევა-დარიგებით.

რევოლუციის დამარცხების პერიოდში ვ. ი. ლენინი დიდ მუშაობას ეწეოდა ცარიზმის წინააღმდეგ შემდგომი ბრძოლისათვის პეტერბურგის პროლეტარიატის მომზადების მიზნით. პეტერბურგში ლენინის ყოფნა საწიში ხდებოდა. 1907 წლის თებერვალში ვლადიმერ ილიას ძე გადავიდა ფინეთში, სოფ. კუოკალაში, შემდეგ ისევ პეტერბურგში, მაგრამ 1907 წლის დეკემბერში იგი იძულებული გახდა საზღვარგარეთ წასულიყო.

რუსეთში 1917 წლის თებერვალში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია რომ მოხდა, ლენინი ემიგრაციაში იმყოფებოდა. ცარიზმის დამხობის ამბის გაგებისთანავე იგი ყოველგვარ ზომებს ღებულობს სამშობლოში დასაბრუნებლად. გამომგზავრების მძიმე პირობების გამო ლენინმა გადაწყვიტა ესარგებლა მეომარი ქვეყნების უთანხმოებით და აირჩია გზა გერმანიის გავლით. შვეიცარიელი სოციალ-დემოკრატის ფრიც-პლატენის დახმარებით ლენინმა შეძლო აედო გერმანიაზე გავლით რუსეთში გამგზავრების ნებართვა.

1917 წლის 3 (16) აპრილს რსდმპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და პეტროგრადის კომიტეტმა მიიღეს ცნობა ვ. ი. ლენინის პეტრო-

გრადში ჩამოსვლის შესახებ. სასწრაფოდ შედგა მასთან შეხვედრის
დეტალური გეგმა. გაიგზავნა წარმომადგენლები მუშათა საერთო საკრებულოში
ზოგებლებში, სამხედრო გემებზე, ჯარისკაცთა ყაზარმებში. ჩატარდა მიტინგები და კრებები.

მეზღვაურებმა ბელადის დასაცავად გამოყვეს ნაკრები რაზმი.
კმესინსკის სასახლესთან, სადაც მოთავსებული იყო რსდმ(ზ) ცენტრალ-
ური კომიტეტი და პეტროგრადის კომიტეტი, თავი მოიყარეს პარტიული
ორგანიზაციების დელეგაციებმა. ისინი გაშლილი დროშით გაემართნენ
ფინეთის სადგურისაკენ.

რევოლუციის ბელადის შესახვედრად ქალაქის ყველა კუთხიდან
შეიკრიბნენ მუშები, მატროსები, ჯარისკაცები დროშებით, რომლებ-
ზეც ეწერა: „სალამი ლენინს!“ შუალამე იქნებოდა, რომ გაისმა
ორთქლმავლის საყვირის ხმა, რომელმაც ლენინის ჩამოსვლა ამცნო
ხალხს. მატარებელი ჩამოდგა. ვავონის კიბეებზე გამოჩნდა ლენინი. წი-
თელარმიელები და მეზღვაურები დადგნენ საპატიო ყარაულში. ორ-
კესტრმა შეასრულა „მარსელიოზა“. დიდხანს არ წყდებოდა „ვამას“ ძა-
ხილი საყვარელი ბელადის პატივსაცემად. ლენინმა ჩქარი ნაბიჯით გაი-
რა სადგური და უცებ შეჩერდა მეფის ოთახის შუა ადგილას. აქ იდგა
კარლო ჩხეიძე, რომელიც აპირებდა მისალმებოდა ლენინს პეტროგრადის
მუშათა დეპუტატების საბჭოს სახელით. ჩხეიძე მოსაწყენად და გაურ-
ძველად ლაპარაკობდა.

ძველი მენშევიკი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე ბოლშევი-
კების წინააღმდეგ იბრძოდა, ლენინისაგან მოითხოვდა ყოფილიყო კაპი-
ტალიზმის დამცველების გვერდით.

ვლადიმერ ილიჩმა მოისმინა მენშევიკების რჩევა-დარიგება, მობ-
რუნდა და გამოვიდა მოედანზე. იგი პროექტორებმა გაანათეს, გაისმა
მრავალათასიანი „ვაშა“.

სადგურიდან გამოსვლისას სცადეს ილიჩის ჩასმა მსუბუქ მანქანაში.
მაგრამ გარშემო ისმოდა განუწყვეტელი ტაში და „ვაშას“ ძახილი. მა-
შინ მუშებმა იგი ჯავშნოსან მანქანაზე აიყვანეს, საიდანაც მან წარმოთქვა
სიტყვა. ბელადი მოუწოდებდა მასებს სოციალისტური რევოლუციის
გამარჯვებისათვის ბრძოლისაკენ. მან გამოსვლა დაამთავრა ცნობილი სი-
ტყვებით: „გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლუციას!“

ეს სიტყვები გამოკვეთილია ბრინჯაოს ძეგლის კვარცხლბეკზე, რო-
მელიც აღმართულია ფინეთის სადგურზე. ამ შეხვედრის სამახსოვ-
როდ სკულპტორმა დიდი ბელადი გამოაქანდაკა ჯავშნოსანიდან სიტყვის
წარმოთქმის დროს, ზუსტად იმ პოზაში — ხელაწეული, ცოტა წინ გა-
დახრილი, როგორიც იგი ახსოვთ მუშებს, ხოლო ჯავშნოსანი, როგორც

წმინდა რელიქვია, დგას ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის წინგარდის ფილიალის შესასვლელთან.

გლადიმერ ილიას-ძე დიდად აღელვდა ამ შესანიშნავმა შეხვედრას. ჯავშნოსანზე, ზალხის თანხლებით, ილიჩი გაემართა კმეისისკენ. ილიჩი სასახლისკენ, სადაც იმყოფებოდა პარტიის ცენტრალური და პეტროგრადის კომიტეტები.

შუალამე გადასული იყო, მაგრამ ათასობით მუშები და ჯარისკაცები იდგნენ ქუჩაში, რათა დაენახათ კომუნისტური პარტიის ბელადი, გაეგონათ მისი ხმა. ილიჩმა რამდენჯერმე წარმოთქვა სიტყვა სასახლის აივანიდან. თენდებოდა, როცა ზალხმა დაშლა დაიწყო.

მეორე დღეს, 4 აპრილს, თავრიდის დარბაზში, ბოლშევიკების კრებაზე ლენინი გამოვიდა მოხსენებით: „პროლეტარიატის ამოცანები მიმდინარე რევოლუციაში“, რომელშიც გადმოსცა თეზისები რევოლუციური პროლეტარიატის ამოცანების შესახებ, განსაზღვრა პარტიის ამოცანები, ჩამოაყალიბა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლისათვის ბრძოლის გენიალური გეგმა. შემდეგ კი თავისი მოხსენების თეზისები ვ. ი. ლენინმა გაიმეორა კრებაზე, რომელსაც, გარდა ბოლშევიკებისა, მენშევიკებიც დაესწრნენ. ლენინის თეზისებმა პეტროგრადის ბოლშევიკების დიდი მოწონება დაიმსახურა, ხოლო სპარტეგელს ბოლშევიკებმა ლენინის თეზისები მიიღეს თავიანთ საბრძოლო პროგრამად. 1917 წლის 23 აპრილს ბოლშევიკურ გაზეთ „კავკასკი რაბოჩიში“ დაიბეჭდა ლენინის განთქმული აპრილის თეზისები.

1917 წლის ოთხ აპრილს დილის ხუთ საათზე ნ. კ. კრუჰსკაისთან ერთად ვ. ი. ლენინი ბინაზე ესტუმრა თავის დას ანას და მის მეუღლეს მარკ ტიმოთეს-ძე ელიზაროვს (შიროკაიას ქ. № 48/9, ახლა ლენინის ქუჩა). ცოტა ხნის შესვენების შემდეგ ილიჩმა ჩნახულა დედის სამარე ვოლკოვის სასაფლაოზე.

თავისი დის ანა ილიას ასულის ბინა ლენინისათვის პირველი და უკანასკნელი ლეგალური ბინა იყო ოქტომბრამდე. აქ ლენინი ცხოვრობდა ივლისამდე, ხოლო შემდეგ იძულებული გახდა ემუშავა არალეგალურად, რადგანაც დევნას განიცდიდა დროებითი მთავრობის მხრივ.

ექსკურსანტები განსაკუთრებული ინტერესით ათვალიერებენ იმ წლების გაყვითლებულ გაზეთებს, ფოტოსურათებს და დაკითხვის ფურცელს, რომელიც ლენინმა შეავსო სასაზღვრო პუნქტზე. კითხულობენ დეპეშის ტექსტს, რომელიც შვეციის სასაზღვრო ქალაქ ტორნეოდან გამოუგზავნა თავის დას ამ ბინაზე: „უღიანოვას, შიროკაიას 48/9 ბინა, პეტროგრადი, ჩამოვდივარ ორშაბათს ღამეს. შეატყობინეთ პრავდას. უღიანოვი“.

საინტერესოა თითოეული დოკუმენტი, თითოეული მისი დეტალი, რა წერია საბინაო წიგნში ვ. ი. ულიანოვისა და ნ. კ. კრუპსკაიას წესდებების კითხვაზე „საიდან ჩამოხვედით“, ჩაწერილია: „მოსკოვიდან“ (გაუქმებული რათა არ მიექციათ ჟანდარმების ზედმეტი ყურადღება). საინტერესოა ჩანაწერი შეკითხვაზე „რა სახსრებით ცხოვრობთ?“ — რა სახსრებით ცხოვრობენ მდიდრები? — შეეკითხა ილიჩი მეგზოვებს, რომელნიც ავტებდა საბინაო წიგნს.

— გასაგებია, რა სახსრებით — კაპიტალით.

— ჩაწერეთ სწორედ ეგრე.

ასე წარმოიშვა ჩანაწერი „კაპიტალით“, რათა არ მიექციათ პოლიციელების ყურადღება.

ლენინის ბინაში მომსვლელთა ყურადღებას იპყრობს ფოტორეპროდუქცია მხატვარ მორავოვის სურათიდან, რომელიც გამოსატყვის ლენინის მხურვალე შეხვედრას მუშებთან და ჯარისკაცებთან მოედანზე, ჟინეთის სადგურთან.

თეთრი მარმარილოს დაფაზე მოთავსებულია ხელნაწერის ფოტოსაღები: „ვ. ი. ლენინის „აპრილის თეზისების“ თავდაპირველი მონახაზი“. ეს ფურცლის მეოთხედს შეადგენს, მაგრამ მასში მოცემულია სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლის გენიალური გეგმა.

შუშის ქვეშ მოთავსებულია 1917 წლის 7 (20) აპრილის „პრავდის“ გაყვითლებული ნომერი, რომელშიც გამოქვეყნებულია ამ თეზისების ვრცელი ტექსტი.

ელისბაროვების ბინაში ვლადიმერ ილიას ძე და ნადეჟდა კონსტანტინეს ასული იკავებდნენ ოთახს, რომელშიც წინათ ცხოვრობდა ლენინის დედა მარიამ ალექსანდრეს ასული. განსაცვიფრებელი უბრალოება ჩანს ყველა იმ საგანში, რომლითაც სარგებლობდა. აი წითელი მაუდით გადაფარებული პატარა საწერი მაგიდა, რომელზეც ლენინი ხშირად ლამის საათებში წერდა თავის გენიალურ შრომებს. ამ პატარა მაგიდაზე ლენინმა სამი თვის განმავლობაში დაწერა 150-ზე მეტი სტატია, რამდენიმე ბროშურა და სხვა ნაწარმოებები. იყო რა „პრავდის“ რედაქტორი, ლენინი ყოველდღიურად წერდა გაზეთისათვის სტატიებს, ხშირად არა ერთს. არამედ დღეში რამდენიმეს.

კედელთან დგას დიდი კარადა ორი ყრუ კარით. ჩამოსვლის პირველ დღეებშივე ვლადიმერ ილიას ძემ თქვა, რომ მას და ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს ცოტა აქვთ ტანსაცმელი, ხოლო წიგნი და გაზეთები ბევრი, ამიტომ უფრო მიზანშეწონილია კარადა ლიტერატურისათვის გამოვიყენოთ. ასეც მოხდა: კარადაში გააკეთეს თაროები, რომელზეც დააწყეს წიგნები, ბროშურები და გაზეთების დასტები.

ვლადიმერ ილიას ძე იწვა ჩვეულებრივ რკინის საწოლზე. იხურავ-

და უბრალო საბანს. ასევე უბრალოა ნ. კრუპსკაიას ოთახი. მარცხნივ კუთხეში მაგიდასთან დგას ფერადი ძაფებით მოქარგული სავარძელი, რომელსაც ოჯახში „ბებიას სავარძელს“ უწოდებდნენ, ვინაიდან ლენინის დედას სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ძალიან უყვარდა ეს სავარძელი. დედას აქ ჯდომა და ხელსაქმე. ლენინი ამ სავარძელს დიდი მზრუნველობით ინახავდა, ხოლო 1918 წელს, მოსკოვში გადასვლასთან დაკავშირებით, თან წაიღო.

ილიჩის ოთახიდან შეიძლება გასვლა სასადილოში — საკმაოდ დიდ ნათელ ოთახში. აქაც უბრალოება სუფევს: მაგიდა, დივანი, ბუფეტი. აქ იგი სადილობდა, მოკლე შესვენების დროს ისვენებდა სარწმევლაში ან ჭადრაკის მაგიდასთან, აქ ატარებდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა კრებებს, საუბრობდა მუშებთან, რომლებიც მისი ხშირი სტუმრები იყვნენ.

ოთხ ივნისს ლენინი მონაწილეობდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების I სრულიად რუსეთის ყრილობის მუშაობაში, რომელიც მიმდინარეობდა ვასილიევსკის კუნძულზე.

აი ტრიბუნაზე ავიდა ცნობილი მენშევიკი ირაკლი წერეთელი, რომელსაც იმ დროს მინისტრის პორტფელი ჰქონდა. გაისმა ნაცნობი ფრაზები ბურჟუაზიასთან შეთანხმების აუცილებლობაზე, „რევოლუციური დემოკრატიის“ მთელი ძალების გაერთიანებაზე... წერეთელი ამბობდა, რომ რუსეთში არ არის ისეთი პარტია, რომელიც თანახმა იქნებოდა ხელში აედო ხელისუფლება.

— ასეთი პარტია რუსეთში არ არის, — იმეორებდა წერეთელი.

და უცებ, გააწყვეტინა რა სიტყვა მენშევიკ ორატორს, უკანა რიგებიდან გაისმა ძლიერი და მტკიცე ხმა:

— არის ასეთი პარტია!

ეს იყო ილიჩის ხმა.

ივლისის ამბებმა შეწყვიტა რევოლუციის მშვიდობიანი განვითარება. ქვეყნის პოლიტიკური ვითარება ძირფულად შეიცვალა. ბურჟუაზია არავითარ საშუალებებს არ თაკილობდა, რათა სახელი გაეტეხა ბოლშევიკური პარტიისათვის. ლენინს სასტიკად დევნიდნენ. პეტროგრადის სასამართლო პალატის პროკურორის ცნობაში ნათქვამი იყო, რომ ლენინი და სხვა ბოლშევიკები გადაეცნენ სასამართლოს „სახელმწიფო ღალატისათვის“, ბრალდება შედგენილი იყო ჯაშუშებისა და პროვოკატორების ჩვენებების საფუძველზე.

5 ივლისს დილით ადრე ლენინი ინახულა ი. მ. სვერდლოვმა. მან შეატყობინა ილიჩს, რომ ღამით იუნკრებმა და კაზაკებმა დაარბიეს „პრავდის“ რედაქცია. ვლადიმერ ილიას-ძე ამ ღამეს მუშაობდა „პრავდის“ რედაქციაში და ბედნიერი შემთხვევის მიზეზით წავიდა იქიდან

დარბევამდე ნახევარი საათით ადრე. აქედანვე გადაწყდა ვლადიმერ ილიას-ძის არალეგალურ მდგომარეობაში გადასვლა. სვერდლოვს ბინის მხრებზე თავისი პალტო წამოასხა, და მათ ერთად დატყვევებულ შიროკაიას ქუჩაზე.

ორი დღის შემდეგ იმ ბინაში შემოიჭრა კონტრრევოლუციონერების შეიარაღებული რაზმი, რომელსაც დროებითი მთავრობის ბრძანებით უნდა დაეპატიმრებინა ლენინი. იუნკრებმა დაათვალიერეს ბინის ყოველი კუთხე, ხიშტს არჭობდნენ რბილ ავეჯში. ეძებდნენ ყველგან: სხვენზე, სარდაფში, სახლის ირგვლივ. გაჩხრეკამ აღმოფრთა უბრალო, უსწავლელი სოფლის გოგონა ანუშკა, რომელიც ელიზაროვებთან მუშაობდა. როცა დაინახა, რომ იუნკრები მის საბნებშიც ეძებდნენ, დაცინვით წარმოთქვა: „ფუნაკშიც (ღუმელშიც) ნახეთ, იქნება, ვინმე იყოს“.

დროებითმა მთავრობამ 7 ივლისს გამოსცა ბრძანება ვ. ი. ლენინის დაპატიმრების შესახებ და ასი ათასი მანეთი აღუთქვა ყველას, ვინც შეიპყრობდა რევოლუციის ბელადს.

დროებითი მთავრობის თავხედობამ მთელი ქვეყნის მშრომელთა აღმფრთხილება გამოიწვია. 9 ივლისს თბილისში მოეწყო გრანდიოზული მიტინგი (ყოფილ ალექსანდრეს ბაღში), რომელზეც მხურვალე სიტყვებით გამოვიდნენ მუშები და ჯარისკაცები, მიღებულ იქნა საპროტესტო რეზოლუცია.

კონსპირაციის მიზნით ვ. ი. ლენინი ფოფანოვის ბინიდან გადავიდა ნ. გ. პოლუტაევის ბინაში. აქედან მეორე დღეს იგი გადადის მუშა ს. ი. ალილუევის ბინაში (მე-10 როჟდენსტვენსკის ქ. № 17). აქ 7 ივლისს შედგა თათბირი, რომელზეც განიხილეს ლენინის სასამართლოში გამოცხადების საკითხი. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა ლენინი დარჩეს არალეგალურ მდგომარეობაში და არ გამოცხადდეს დროებითი მთავრობის სასამართლოში.

ატეერბურგში დარჩენა ძალიან საშიში იყო. დროებითი მთავრობის ჯაშუშები და პროვოკატორები ყველგან ეძებდნენ ლენინს.

11 ივლისს პეტროგრადის კომიტეტის დავალებით ალილუევმა ლენინი მიაცილა პრიმორსკის სადგურამდე (ახლა სადგური „ახალი სოფელი“). იქ ილიჩს უკვე ელოდებოდა სესტრორეცკის იარაღის ქარხნის მუშა, პარტიის ძველი წევრი ნ. ა. ენელიანოვი. მასთან ერთად ილიჩმა საგარეუბნო მატარებლით მიაღწია სადგურ რაზლივამდე.

ლენინი დაბინავეს ფარდულის სხვენზე. რამდენიმე დღის შემდეგ იგი ვადვიდა ტბაზე და დაბინადა კარავში მუშა-მთიბავის სახელით. კარავი, რომელშიც ვლადიმერ ილიას-ძე დასახლდა, გაკეთებული იყო ტოტებისაგან, ზემოდან გადაფარებული ჰქონდა თივა, ხოლო მის მახლობლად, გამოსაჩენ ადგილას იდო ნამგლები და ფიცხები. კოცონის

გვერდით იყო ჩატკობილი ორი გრძელი პალო, რომელზეც ეკიდა გაბო-
ლილი პატარა ქვაბი. ილიჩი ანთებდა ცეცხლს და ითბობდა ჩაის და
საქმელს.

ლენინის საცხოვრებელი წარმადგენდა წნელების, ტოტებისა და
ფოთლებისაგან გაკეთებულ დაბალ ქოხს. ვლადიმერ ილიას ძეს განსა-
კუთრებით თავს აბეზრებდნენ კოლოები, მათგან ძალიან ძნელი იყო თა-
ვის დაცვა. ძლიერი წვიმების დროს ლენინს უხდებოდა დაეფარა ქოხი
ტოტებითა და თივით. ქოხში ცხოვრება დაკავშირებული იყო დიდ სიძ-
ნელებთან, მაგრამ ლენინი ამის შესახებ არაფერს ამბობდა და არაფე-
რზე არ წუწუნებდა. დაძაბულ გონებრივ მუშაობას იგი უთავსებდა ფიზი-
კურ შრომას. თიბავდა, აწყობდა თივას, ამზადებდა ფიჩხს, თევზაობდა.

აქ ილიჩთან ჩამოდიოდნენ მისი თანამებრძოლები ი. სტალინი. ი.
სვერდლოვი, ფ. ძერჟინსკი, ს. ორჯონიკიძე. ისინი ილიჩს ამარაგებდნენ
წერილებით, გაზეთებით, ატყობინებდნენ მდგომარეობას. გაზეთებისა
და ცენტრალური კომიტეტის წევრების მოკლე ინფორმაციების საშუა-
ლებით ლენინმა კარგად იცოდა მუშათა კლასისა და გლეხობის განწყ-
ობილება, რევოლუციის მტრების განზრახვა. სწორედ ამიტომ იგი ზუ-
სტად ხედავდა და საზღვრავდა ამბებს, გამოჰქონდა მეცნიერული დო-
სკვნები, რომლებითაც ბოლშევიკების პარტია ხელმძღვანელობდა
თავის მუშაობაში.

ერთხელ სერგო ორჯონიკიძემ უამბო ვლადიმერ ილიას ძეს შეხვედ-
რაზე, რომელიც მოუხდა მას ვაგონში პეტროგრადიდან გამგზავრები-
სას. ვილაც მოხუცი მუშა კითხულობდა გაზეთს, რომელშიც მოთხრო-
ბილი იყო, რომ ლენინი საზღვარგარეთ გაიქცა. მუშამ რომ წაიკითხა
ბურჟუაზიული გაზეთი, აღშფოთებულმა დაჰმუჭნა, გვერდზე მოისროლა
და თავისთვის ხმამაღლა წარმოთქვა: „...გაიქცა საზღვარგარეთ, აი ნა-
ხავთ, ორი თვის თავზე ლენინი ახალი მთავრობის თავმჯდომარე იქნება“.

როგორი იყო სერგოს გაცვიფრება, როდესაც ილიჩმა, რომელიც
სტატიას წერდა, თავი მაღლა ასწია და სერიოზულად უპასუხა: „ორი-
თვის შემდეგ? შეიძლება უფრო ადრეც“.

ასეთი იყო რევოლუციის ბელადის მტკიცე რწმენა, მან იცოდა, რომ
მომწიფდა ამბები, რომლებსაც რევოლუციისაკენ მივყევართ.

კარავიდან თავისი თანამებრძოლების მეშვეობით ვ. ი. ლენინი ხელ-
მძღვანელობდა რსდმ(ბ) VI ყრილობას. ამ ყრილობამ მოუწოდა პარტი-
ას და მუშათა კლასს შეიარაღებული აჯანყებისაკენ, სოციალისტური
რევოლუციისაკენ.

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის ლენინგრადის ფილიალში
ინახება საგნები, რომლებითაც სარგებლობდა ლენინი რუსეთში. აი პა-

ტარა ძველი მაგიდა, გვერდით ორი ძველი სკამი, ფიცრის შეფუთვები საჯდომებით. ეს საგნები იდგა რაზლივში პატარა სახლის სხენზე.

დიდი ინტერესით ათვალიერებენ მოსულნი დუბლიკატებს, იმ საგნებისა, რომლებითაც ილიჩი სარგებლობდა. აი თუნუქის ჩაიდნები, ჭაქანები და ხერხი, ნაჯახი, ფოცხი, ნამგალი. აქვე გამოფენილია სურათები, ფოტომასალები, საბუთები, რომლებიც დაკავშირებული იყო ლენინის მუშაობასთან წიგნზე „სახელმწიფო და რევოლუცია“ და სხვა შრომებზე.

სურათს ქვეშ დევს გახუთებული ბამბის საბანი, პატარა ბალიში, ზეწარი...

მუზეუმში ინახება აგრეთვე ნავი, რომლითაც ილიჩისათვის საცმელი და გახეთები მოჰქონდათ სესტრორეცკის ქარხნის მუშის ნ. ა. ემელიანოვის ცოლსა და შვილებს.

ავვისტოს ბოლოს აცივდა. თიბვის პერიოდიც გათავდა. მთიბავის სახელით დამალვა უკვე საშიში იყო. დროებითი მთავრობის ჯაშუშები დაძვრებოდნენ ირგვლივ. ამიტომ ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა ილიჩის ფინეთში გადამალვა.

20 ავვისტოს ღამით ლენინმა სამი მუშა-ბოლშევიკის თანხლებით დატოვა რაზლივი.

გვიან ღამით ფეხით წავიდნენ სადგურისაკენ, სადაც მათ ორთქლმავალი ელოდებოდათ. გზა დაებნათ. მოხვდნენ ანთებულ ტორფში. ლენინი სერიოზულ საფრთხეში იმყოფებოდა. დიდი წვალეებით დააღწიეს თავი ტორფს და ილიჩი მივიდა სადგურ უდელნაიამდე. აქ წინასწარ მომზადებულ კონსპირაციულ ბინაზე გაატარა ლენინმა ნახევარი ღამე. მეორე დღეს კონსტანტინე პეტრეს ძე ივანოვის მოწმობით, ცეცხლფარეშის სახით გაემგზავრა ფინეთში № 293 ორთქლმავალით. იგონებენ, რომ ილიჩმა, როგორც კი ავიდა ორთქლმავალზე, სახელოები დაიკაპიწა და შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას.

ბელოოსტროვში მატარებელს დახვდა გაძლიერებული დაცვა. გაქცევა უაზრო იყო, რადგან ყველგან პატრულები დაძრწოდნენ. აგენტები გადადიოდნენ ვაგონიდან ვაგონში და ყურადღებით ამოწმებდნენ პასპორტებს, დაჟინებით ჩასცქეროდნენ მგზავრებს სახეში. შემოვლა დაიწყო ბოლო ვაგონიდან. შემოწმების დროს ვაგონების კარები იკეტებოდა. ისინი თანდათანობით უახლოვდებოდნენ ორთქლმავალს. აი, მეზობელ ვაგონში შევიდნენ. კიდევ რამდენიმე წუთი და დროებითი მთავრობის ჯაშუშები შეძლებდნენ აღმოეჩინათ ვ. ი. ლენინი. მართალია, მას ჰქონდა საბუთები სესტრორეცკის მუშის კონსტანტინე პეტრეს-ძე ივანოვის სახელზე, მაგრამ საფრთხე მაინც დიდი იყო.

მემანქანე ილავა არ დაიბნა. როდესაც დროებითი მთავრობის ჯა-

შუშები მიუახლოვდნენ ორთქლმავალს. მან სასწრაფოდ მოხსნა იგი შემადგენლობას და გაემართა წყალსაცავისაკენ წყლის ასაღებად. გამართა რამდენიმე წუთი. მგზავრების შემოწმება გათავდა. გაისმა მეორე შეხვედრა ბაქანზე აფუსფუსდა ხალხი, მთავარი კონდუქტორი აღელდა, მოხდა მთავარი შანი, მაგრამ ორთქლმავალი ისევ იმარაგებდა წყალს. მხოლოდ მესამე ზარის შემდეგ მემანქანე ილაგამ წყნარად მიიყვანა ორთქლმავალი შემადგენლობასთან, სასწრაფოდ გადაბა და გაუდგა გზას. ერთი წუთის შემდეგ მატარებელმა გადალახა ფინეთის საზღვარი, ილიჩი გადავიდა ფინეთში და ცხოვრობდა სოფელ იალკატიამი, სადაც განაგრძობდა მუშაობას თავის გენიალურ ნაწარმოებზე „სახელმწიფო და რევოლუცია“.

ოთახს, რომელიც ლენინს ეჭირა, ახლაც მზრუნველობით ინახავენ. შენობაზე არის მემორიალური დაფა.

ლენინის ხელმძღვანელობით პარტია ყოველდღიურად ამზადებდა პროლეტარიატს შეიარაღებული გამოსვლებისათვის. იმ მიზნით, რომ ილიჩი დაეახლოვებინათ აჯანყების ხელმძღვანელობასთან, ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა მისი გადმოყვანა პეტროგრადში.

ლენინს გრიმი გაუკეთეს და ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლის თანხლებით გააგზავნეს მატარებელზე. წინასწარ ჰქონდათ დათქმული, რომ ლენინის თანმხლებნი ილაპარაკებდნენ ფინურ ენაზე, ხოლო ვლადიმერ ილიას-ძე უპასუხებდა მხოლოდ სიტყვებით: კი, არა. თავის აზრებში გართულმა ლენინმა ვერ გაიგო, როდის დაიწყო ლაპარაკი, და როდესაც საჭირო იყო „კი“-ს თქმა, იგი უარყოფითად აქნევდა თავს, ხოლო როცა საჭირო იყო „არა“, ამბობდა „კი“-ს.

უცნობებმა ყურადღება მიაქციეს ამას. საბედნიეროდ მატარებელი უკვე სადგურს უახლოვდებოდა. ლენინი ჩამოვიდა და ნადეჟდა კონსტანტინეს ასულთან ერთად გაემართა მისთვის წინასწარ მომზადებულ ადგილას ვიბორგის რაიონში. ილიჩი პეტროგრადში ცხოვრობდა სერდობოლსკის ქუჩაზე № 1/112.

ეს იყო მისი უკანასკნელი არალეგალური ბინა.

ძველებურ პატარა ორთქლმავალს № 293, რომლითაც ლენინი 1917 წლის ოქტომბერში არალეგალურად ჩამოვიდა ფინეთიდან პეტროგრადში, მზრუნველობით ინახავდნენ ფინელი მუშები 50 წლის მანძილზე. 1967 წლის ივნისში ფინეთის მთავრობამ ეს ორთქლმავალი გადასცა საბჭოთა ხალხს, როგორც ისტორიული რელიქვია. ეს მატარებელი დღეს დგას ლენინგრადში, ფინეთის ვაგზალზე.

10 (23) ოქტომბერს შედგა ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომა.

ეს დაუვიწყარი სხდომა გაიმართა მდინარე კარპოვსკის სანაპიროზე № 32 სახლში. ბინა შეესაბამებოდა მკაცრი კონსპირაციის მოთხოვნას.

ნებს: იგი პეტროგრადის მხარის საკმაოდ მიყრუებულ ადგილად იყო. ბინაში შეიძლებოდა შესვლა როგორც ქუჩიდან, ისე ეზოდან, რაც საშუალებას აძლევდა ცენტრალური კომიტეტის წევრებს შეჭრის შემთხვევაში შეღწევისა და შეკრებისა. ნენ შეუმჩნევლად, ხოლო საფრთხის შემთხვევაში ადვილად დამალულიყვნენ. რაც მთავარია, ბოლშევიკი ქალის გ. ვ. ფლაქსერმანის (ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს მუშაის) ბინა პოლიციას საეჭვოდ არ მიაჩნდა, რადგან იგი ეკუთვნოდა მის ქმარს, ცნობილ მენშევიკ სუხანოვს, რომელიც იმ დროს ქალაქში არ იყო.

შეიკრიბნენ ცენტრალური კომიტეტის წევრები: სტალინი, სვერდლოვი, ძერჟინსკი, ურიცკი, ბუბნოვი, კოლონტი და სხვები, სულ 12 ამხანაგი.

ლენინს აცნობეს, თუ როგორ მზადდებოდა აჯანყება. ვლადიმერ ილიას ძემ სახელდახელოდ გამოკითხა ყველას და პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

სხდომაზე ლენინმა გააკეთა მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ და დასამტკიცებლად შეიტანა რეზოლუცია შეიარაღებული აჯანყების თაობაზე.

ზინოვიევი და კამენევი გამოვიდნენ შეიარაღებული აჯანყების ლენინური რეზოლუციის წინააღმდეგ.

ცენტრალურმა კომიტეტმა საკადრისი პასუხი გასცა კაპიტულანტებს. ლენინის რეზოლუცია მიიღეს ათი ხმით ორის წინააღმდეგ.

შეიარაღებული აჯანყების მომზადებისადმი პოლიტიკური ხელმძღვანელობის გაძლიერების მიზნით სხდომის ბოლოს ფ. ე. ძერჟინსკის წინადადებით გადაწყდა შექმნილიყო ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ბიურო.

1917 წლის 16 ოქტომბერს შედგა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებული სხდომა, რომელიც მოწვეულ იქნა ლენინის წინადადებით აჯანყების მომზადების მსვლელობის შესამოწმებლად და მუშაკების უფრო ფართო წრისათვის ცენტრალური კომიტეტის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილების გასაცნობად. ცენტრალური კომიტეტის წევრებთან ერთად სხდომას ესწრებოდნენ პარტიის პეტროგრადის კომიტეტის, სამხედრო ორგანიზაციის, პეტროგრადის საოლქო კომიტეტის, პროფესიული კავშირების, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების წარმომადგენლები.

ლენინი და მისი გამყოლი რაზმა დათქმულ ადგილზე ზუსტად დანიშნულ დროზე, 7 საათზე მოვიდნენ. მათ პირობისამებრ შეხვდა პიტერელი მუშა, ძველი ბოლშევიკი ალექსანდრე შოტმანი.

საიდუმლო შესასვლელით ისინი მეორე სართულზე ავიდნენ. წამოიჭრა საკითხი — ვლადიმერ ილიას ძე სხდომაზე პარკით შესულიყო თუ უპარიკოდ. გადაწყვიტეს მოეხსნა პარკი.

და აი ლენინი შევიდა ოთახში. ყველა წამოდგა, მივიდნენ მასთან. ხელს ართმევდნენ, დააყარეს შეკითხვები.

ვლადიმერ ილიას ძემ წამოაყენა წინადადება — დაეწყოს ^{ეროვნული} ~~ხალხური~~ ჩამოვარდა სიჩუმე. სიტყვა მისცეს ლენინს.

ბელადმა გააკეთა ორსაათიანი მოხსენება შეიარაღებული აჯანყების შესახებ ცენტრალური კომიტეტის 10 ოქტომბრის რეზოლუციის დასაცავად. კვლავ, როგორც ცენტრალური კომიტეტის 10 ოქტომბრის სხდომაზე, აჯანყების წინააღმდეგ გამოვიდნენ ზინოვიევი და კამენევი. ლენინმა და სხდომის სხვა მონაწილეებმა ამ გამოხდომას მყისვე გასცეს საკადრო-სი პასუხი.

სხდომის დამთავრების შემდეგ აირჩიეს აჯანყების ხელმძღვანელი სამხედრო-რევოლუციური ცენტრი ი. ბ. სტალინის, ი. მ. სვერდლოვის, ფ. ე. ძერჟინსკის, ა. ს. ბუზნოვის, მ. ს. ურიცკის შემადგენლობით. ეს ცენტრი შეყვანილ იქნა პეტროგრადის საბჭოსთან არსებულ სამხედრო-რევოლუციურ კომიტეტში, როგორც მისი ხელმძღვანელი ბირთვი. მის საქმიანობას წარმართავდა ვ. ი. ლენინი.

პარტია შეუდგა ცენტრალური კომიტეტის ისტორიული გადაწყვეტილების განხორციელებას. რამდენიმე დღეც და ძლევამოსილმა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა.

ამჟამად ოთახში, სადაც შედგა ცენტრალური კომიტეტის ეს სხდომა, ვ. ი. ლენინის სახლ-მუზეუმი. აქ ყველაფერი ისევია, როგორც იყო ოქტომბრის იმ დაუფიწყარ ღამეს. უბრალო შპალერი, გრძელი სასადილო მაგიდა, ირგვლივ სკამებით, პატარა წიგნების კარადა. ფანჯარასთან დივანი, მოპირდაპირე მხარეს მუხის ბუფეტი, ფანჯარაზე, რომელიც ეზოს გადაჰყურებს, ჩამოფერებულა სქელი ფარდა, რათა ქუჩაში არ გავიდეს სინათლე. ასე იყო მაშინაც, 50 წლის წინათ, როდესაც აქ სხდომა შედგა, ისტორიული სხდომა.

აჯანყება დაიწყო. 24 ოქტომბერს საღამოს ვ. ი. ლენინმა ცენტრალური კომიტეტის წევრებს მისწერა იატაკქვეშეთიდან თავისი უკანასკნელი წერილი. იგი წერდა: „ამ სტრიქონებს ვწერ 24-ს საღამოს, მდგომარეობა უაღრესად კრიზისულია. აჯანყების დაყოვნება სიკვდილს უდრის...“

ლოდინი შეუძლებელია. შეიძლება ყველაფერი დავკარგოთ! გამოსვლის დაყოვნება სიკვდილს უდრის“ (თხზ., ტ. 26, გვ. 269-271).

ეს წერილი სმოლნში წაიღო მ. ვ. ფოფანოვამ.

პიტერში მდგომარეობა უკიდურესად დაძაბული იყო.

ყოფნა-არყოფნის საკითხს წყვეტდნენ საათები და წუთები.

ვ. ი. ლენინმა არ დაუტოვია პასუხს და გადაწყვიტა წასულიყო სმოლნში. მან გაიკეთა ძველი პარიკი, რომელმაც უკვე ერთხელ დიდი საჰ-

სახური გაუწია. ლოყა წითელი თავსაფრით შეიხვია და დატოვა კინობირაციული ბინა. დიასახლისს დაუტოვა წერილი:

„წავედი იქ, სადაც თქვენ არ გინდოდათ წავსულიყავი“.

შუალამე იყო, როდესაც ლენინმა სმოლნს მიაღწია და მე-100 ოთხე-

ში მოიხადა ქუდი, მოიხადა პარიკი და... უცებ სხვადასხვა მხრიდან გაისმა ხმები: „ილიჩი! ილიჩი!“ იგი მხოლოდ მაშინ მიხვდა და თავზე იტაცა ხელი, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ამით გათავდა ლენინის კონსპირაცია.

ლენინმა უშუალოდ აიღო ხელში აჯანყების ხელმძღვანელობა. რევოლუციის ბელადი აჯანყების საჭესთან დადგა.

25 ოქტომბერს დილისათვის რევოლუციურმა ჯარებმა და მუშათა რაზმებმა დაიკავეს რკინიგზის სადგურები, ტელეგრაფი, ხიდები ნევაზე, ელექტროსადგური და სხვა უმნიშვნელოვანესი პუნქტები. მთელი ქალაქი აჯანყებული პროლეტარიატისა და ჯარისკაცების ხელში იყო. დროებითი მთავრობის ხელში რჩებოდა მხოლოდ ზამთრის სასახლე და მთავარი შტაბი.

25 ოქტომბრის (7 ნოემბრის) დილის 10 საათზე სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი, ახალი ხელისუფლების პირველი ოფიციალური ისტორიული დოკუმენტი — მიმართვა „რუსეთის მოქალაქეებისადმი“, რომელშიც ლაპარაკი იყო დროებითი მთავრობის დამხობასა და სახელმწიფო ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლაზე. იმავე დღეს 2 საათსა და 30 წუთზე სმოლნში გაიხსნა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს საგანგებო სხდომა. დეპუტატები ფეხზე ადგომით და მქუხარე ტანით შეხვდნენ ლენინს. თავის ისტორიულ სიტყვაში ლენინმა თქვა: „ამხანაგებო! მუშათა და გლეხთა რევოლუცია, რომლის აუცილებლობის შესახებ მუდამ ლაპარაკობდნენ ბოლშევიკები, მოხდა...“

ამიერიდან იწყება ახალი ხანა რუსეთის ისტორიაში და რუსეთის ამ მესამე რევოლუციას საბოლოო შედეგად უნდა მოჰყვეს სოციალიზმის გამარჯვება“ (თხზ., ტ. 26, გვ. 276).

1917 წლის 25 ოქტომბერს, საღამოს 10 საათსა და 45 წუთზე სმოლნში გაიხსნა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობა. დელეგატების უმრავლესობა ბოლშევიკები იყვნენ. ყრილობამ გამოაცხადა მთელი სახელმწიფო ხელისუფლების გადასვლა საბჭოების ხელში როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე.

ლენინი ყრილობის პირველ სხდომას არ ესწრებოდა, იგი სმოლნში იმყოფებოდა. ვლადიმერ ილიას ძეს მთელი ღამე არ უძინია და ერთი წუთითაც არ დაუსვენია, მთელი დღე სმოლნში იყო და ხელმძღვანელობდა ზამთრის სასახლის აღების უკანასკნელ ოპერაციებს და მხოლოდ მა-

შინ, როცა 2 საათსა და 10 წუთზე აღებულ იქნა ზამთრის სასახლე, ხოლო ლამის 4 საათზე დაპატიმრებულ იქნა დროებითი მთავრობა (ცერენსკი საიდუმლო გასასვლელით გამოვიდა ზამთრის სასახლიდან და გიგინეიშვილის რიკის საელჩოს მანქანით), ლენინი სმოლნიდან წავიდა ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩთან დასასვენებლად (ხერსონის 5/7, ბინა 9).

ახლა ამ ოთახში შემონახულია საგნები, რომლებითაც ლენინი სარგებლობდა. აი, საწერი მაგიდა, ორი სკამი, მაგიდის ლამპა, ტელეფონის აპარატი, საწოლი; ყველაფერი ეს უსაზღვროდ საყვარელი და ძვირფასია ყველა საბჭოთა ადამიანისათვის.

დილით სმოლნში ვ. ი. ლენინი წერს დეკრეტს ზავის შესახებ.

საბჭოების II ყრილობის მეორე სხდომა გაიხსნა საღამოს 9 საათზე. ლენინი ამ დღეს პირველად გამოჩნდა ყრილობაზე და გამოვიდა მოხსენებით ზავისა და მიწის საკითხებზე. მიღებულ იქნა პირველი დეკრეტები ზავისა და მიწის შესახებ. ყრილობამ შექმნა მსოფლიოში პირველი მუშურ-გლეხური მთავრობა — სახალხო კომისართა საბჭო. სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ვ. ი. ლენინი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა.

ბევრი ექსკურსანტი მიემართება სმოლნში, სადაც ყველაფერი დიდ ამბებზე მოგვითხრობს. აი ოთახები, სადაც შეიარაღებული აჯანყების შტაბი იყო მოთავსებული, ცნობილი სააქტო დარბაზი, საიდანაც გაისმა ვ. ი. ლენინის ისტორიული სიტყვები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესახებ.

სმოლნის მარცხენა ფრთაზე, მეორე სართულზეა პატარა, უბრალოდ მოწყობილი ოთახი, სადაც ლენინი ცხოვრობდა საბჭოთა მთავრობის მოსკოვში გადასვლამდე — 1918 წლის 10 მარტამდე. მას ეკავა არა ბინა, არამედ ერთი ოთახი, რომელიც ტიხრით გაყოფილია ორ ნაწილად. ერთ კედელთან პატარა საწერი მაგიდაა ნავთის ლამპით, მაგიდაზე უბრალო სამელნე მოწყობილობა და ტელეფონის აპარატი. მეორე კედელთან პატარა კარადაა წიგნებისათვის, გვერდით ორი რბილი სავარძელი და პატარა ოვალური მაგიდა, დაბალი ფიცრის ტიხრის იქით — ორი უბრალო რკინის საწოლი და პატარა ტანისამოსის კარადა, მაგიდა, მაგიდასთან პატარა სარკე, ჯარისკაცის ნაჩუქარი.

მზრუნველობით არის დაცული მომავალი თაობებისათვის ეს ოთახები, ექსკურსიის მონაწილეები ყურადღებით ათვალიერებენ თითოეულ საგანს.

საბჭოთა მთავრობის მოსკოვში გადასვლის შემდეგ ვ. ი. ლენინი ორჯერ ჩამოვიდა პეტროგრადში — პირველად 1919 წლის მარტში, მ. გ. ელიზაროვის დასაფლავებაზე და მეორედ, 1920 წლის ივლისში, როცა

იგი თავრიდის სასახლეში ხელმძღვანელობდა კომინტერნის კონგრესის მუშაობას.

ლენინგრადის მუზეუმის დარბაზებში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სავსეა ექსკურსანტებით, საზეიმო სიჩუმე სუფევს. ხანგრძლივად, მღუმარედ დგანან ექსკურსანტები კოსტუმთან, რომლითაც უკანასკნელად ჩამოვიდა ლენინი პეტროგრადში, გაცვეთილი პიჯაკი, ჟილეტი, შარვალი. მილიონობით ადამიანისათვის ნაცნობი კეპი... უყურებ ამ უბრალო კოსტუმს და თითქოს შენს წინაშე დგას ყველაზე ადამიანური ადამიანი, დაუვიწყარი ვ. ი. ლენინი.

1924 წლის იანვარში, ლენინის გლოვის დღეებში სსრ კავშირის საბჭოების II ყრილობამ დააკმაყოფილა პეტროგრადის მშრომელთა სურვილი, რომ პეტროგრადს ეწოდოს ლენინგრადი.

ლენინგრადის ისტორიულ ადგილებს, რომლებიც ლენინის ცხოვრებასთან და მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული, ნახულობენ არა მარტო ლენინგრადელები, არამედ ჩვენი დიადი სამშობლოს სხვა ქალაქებიდან და სოფლებიდან ჩამოსული ექსკურსანტები. აქ, ხშირად შეიძლება ნახოთ საზღვარგარეთელი სტუმრები მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხიდან.

ის, ვინც ერთხელ მაინც ყოფილა ლენინგრადში, არასოდეს არ დაივიწყებს იმ სამახსოვრო ისტორიულ ადგილებს, რომლებიც დაკავშირებულია დიდი ლენინის ცხოვრებასა და მჩქევნარე რევოლუციურ მოღვაწეობასთან.



მამია პარპანიძე

ჩ ე მ ი ქ უ ჩ ა

ამ ქუჩით მომაქვს ღვინოც, პურიც ჩემი არსობის,
ვიცი, ამ ქუჩით ოდეს ჩუმად გამასვენებენ.
ეს ქუჩა იყო ნატვრისთვალი ჩემი ბავშვობის
და სულის რხევის — ის ქარები არ მასვენებენ.
ეს ქუჩა იყო სიყვარულის ჩემის პრომეთე, —
დამაბარბაცა და კინალამ წამილო ტალღამ.
წუთისოფელო, ნაღვერდლებად მე აქ მომენთე,
აი, აქედან აღვიჭერი მაღლა და მაღლა.
და ჩემს ბარათებს ამ ქუჩიდან ვგზავნი სად არა,
და ვესალმები შორს მეგობრებს, თბილ ხელებს ვუწვდი.
ყველა კეთილ კაცს ენაცვალოს ჩემი ჭაღარა.
დღეს მინდა ვარგო... ხვალ ვიქნები?! ეჰა, ვინ უწყის!
მე მიყვარს ქუჩა, ჩემი ქუჩა ხმაურით, ზათქით,
ჩირალდნებივით ჩაივლიან ჩვენი ბალები.
ძმებო, გახსოვდეთ ჩემი გული და მისამართი,
შორს ხართ თუ ახლოს... მოგონებით თქვენით ვლადდები.
თეთრ კიბეებზე ამივლია... თქვენი ტალახიც
ჩემს კიბეებსაც შერჩენია, ვით მერცხლის ბუდე.
ტალახი რაა, ორგულები ღმერთმა დალახვროს,
ღმერთმა დალახვროს შავი გული და გზები მრუდე.

აქ დავიბადე

აი, გახედე მთებს ანარიის,
იქ მთებს აჩნია, აჩნია კიდეც
კვალი სათუთის ბიჭის პატარის,
დღეს მოგონებად ცეცხლს რომ მიკიდებს.

გულთამხილავო ველო კახაბრის,
გახსოვს ალალი ბიჭის გულისთქმა?!
შენი ტრფიალის ვიყავი ხარბი,
ახლაც სავსე ვარ სიყვარულითა.
ჩემო მინდორო, ალბათ შენ უწყი
ყმაწვილის გულის იდუმალეზა.
ის დღე ჩემშია, მიჭირს თქმა — „უწინ“,
რომ მივატოვო, დამენანება...
ვახსოვდეს, მგზავრო, აქ დავიბადე
მე პოეტი და ამ მიწის მკვიდრი,
და ცად აფრენა აქედან ვცადე
და ჭექა-ქუხილს არ შეგუშინდი.
აქ დავიბადე მე ამ სერების
მოტრფიალე და მესაიდუმლე,
და ვიდრე მიწას ჩავესვენები,
არ გავაკარებ ამ სერებს მუშალებს.
აქ დავიბადე, ამ მთათა შორის,
მესაიდუმლე ამ მიწის მკვიდრთა.
ჟამმა მატარა შორით და შორით,
ძისკენ მეძახდა ადგილი წმინდა.
შოველ და გულში რომ ჩამიხუტა,
სიცოცხლის ძალა მაშინ ვიგრძენი.
შენს მამულში ხარ?
ვეფხი ხარ მუდამ,
ვეფხი ბწყლიანი, ბოროტის მძლევი.

პიტი ჩამოხვალ...

შავი ზღვისპირად მე დავიბადე,
შენ ჩემს ქალაქში თუკი ჩამოხვალ,
ნახავ ჩემს აკვანს და ზღვას ჩემს გამზრდელს,
ნახავ, ჩემი მზე სადაც აღმოხდა.
ცისკარი ჩემი შენ გაგაოცებს,
ცისარტყელები ცას ჩამოსწყდება,
ადგილის დედა სტუმარს გაოცებს,
არასდროს იგრძნობ ჩვენთან მოწყენას.
თუ არ გინახავს ზღვათა მოქცევა,

თუ არ გინახავს წვიმა ისხარი,
მოდი და ნახე...
რა სიცოცხლეა,
და სამდურავი მერე მითხარი.
უნდა მიყვარდე, უნდა გიყვარდე,
შენ ჩემს ქალაქში, ვიცი, ჩამოხვალ.
მიხვდები მგოსნად რად დავიბადე,
ნახავ, ჩემი მზე, სადაც აღმოხდა.

მ ე თ რ ი ნ ი ს ლ ი

ქვენა ქარს მოჰყვა, მომაყარა ბუმბული თეთრი,
შემომამბერტყა ნახი ფრთები ცვარ-ნამის მფრქვევი.
ნაძვებს შტოებში ჩაეხლართა, თითქოს და ეტრფის
და ჰა, ქარაფში გადიცოლებს უცებ ნამქერი.
ჩემი პატარა თეთრი ნისლი საით გამიქრა,
რად მომიტანა, რად წამართვა კვლავ ქვენა ქარმა?!
ის არის, კვნესის და ფართხალებს, ურტყამს ქარი რქას...
და უცებ, თითქოს პირცისკარა ლამაზმა ქალმა,
ამოიხედა, ამოუხსლტა იმ ლუსკუმ ქარაფს.
გადაეფუძელა ჩემს ლურჯ მდელოს ვით თოვლის ფიფქი...
წკრიალებს ჩემში მიბნედილი ჩურჩული მისი.
ქარო ჩადექი, ნუ მირეკავ იქით და იქით,
არ გამიფანტო ჩემი თეთრი პატარა ნისლი!

მ ე ზ ვ მ კ ლ დ ე ბ თ დ ე ...

ცამ იქუხა თუ ჩემმა კრწანისმა,
იქნებ ხიხანმა, იქნებ მარაბდამ?!
მარადისის თუ ერთი წამის ვარ,
მინდა სიმშვიდე ყველგან მარადეჟამს.
კოცნად მიწვევდეს ცის კაბადონი,
არ იმღვრეოდნენ მდინარეები.
დიდ გალობათა ახლოს გამგონი,

ხმათ ხავერდებში მინარევები,
მეც ვმალდებოდე, მეც, ვინმე მესხი.
ქვეყანავ ჩემო, შენი ნერვების
მეათასედი რხევანიც მესმის.

* * *

ეჰ, გული იწვის და იდაგება,
დაე, დაიწვას, მეხვიოს კვამლად.
თურმე, არც კვამლი დაიკარგება,
კვამლსაც ჰქონია ეშხი და ძალა.
დაიწვას ჩემი მთრთოლვარე გული,
რომ აღვაშენო გულის ტაძარი,
ტაძარი ძმობის და სიყვარულის,
სადაც გათბება სულიც და ძვალიც.



ჯონი ჯიჯიშვილი

ჩემი პირველი მხატვარი

ასე თუ მოხდებოდა, რას წარმოვიდგენდი. მე მაშინ მატარებელში ვიჯექი და სახლში მოვდიოდი. საჩუქრებიც კი წამოვუღე და დიდად ნასიამოვნები დავრჩი ამით. ახლა ვიწექი კუბეში და ათასნაირად ვხატავდი გონებაში ჩვენს შეხვედრას. ზოგჯერ ვიფიქრებდი, პირველად თავდაპირილი ვყოფილიყავი, შემდეგ ასე არ მომეწონებოდა და სხვას მოვიფიქრებდი. მოკლედ, უამრავი ვარინატი გავიაზრე და სიგარეტიც კარგა ბლომად მივაწვი ზედ. კუბეში ორი მამაკაცი იწვა. ერთს ეძინა. მეორე კითხულობდა და პაპიროსს ეწეოდა. ისე ხარბად კითხულობდა და თან გზნებით ეწეოდა, ნამდვილად დეტექტიური წიგნი იყო. მე კვლავ შეხვედრაზე ვფიქრობდი. ბოლოს თავი გამოცარიელებულს დაემგვანა. დაძინება ვცადე. დათვლით არასოდეს დამძინებია. მომაგონდა ერთი ხერხი, რომელილაც ვაზეთი რომ სთავაზობდა ძილგატეხილებს. მისი არსი შემდეგში მდგომარეობს: უნდა დაწვე მოხერხებულად, ტანი, სხეული მოადუნო და ჩააგონო თავს, რომ შენი სხეულის ცალკეული ნაწილები მშვიდად არის და მოშვებულია. მაგალითად, ჩემი სახე მშვიდადაა, ხელები მოდუნებულია, ტანი არაა დაძაბული... და ბოლოს დაგეძინებაო. მოკლედ, უებარი საშუალება ჩანდა. მეც მივყევი ასეთ შეგონებებს და ერთხელ კიდეც მომიჩვენა, მძინავს, რომ ამ დროს კარები გაიღო და გოგონა შემოვიდა. მერედა რა გოგო! ამის შემდეგ რაღა დამაძინებდა. კუბის კარი ღია დატოვა, ალბათ ჰაერის გასანიაველად. აჰა, აწი მშვიდობით ძილო და სიგარეტებო! გოგონამ ჩემოდანი დადგა და გარეთ გავიდა თეთრეულის მოსატანად. სწრაფად გადავიცვი. დერეფანში გამოვედი მოსაწევად. ფანჯრის მინა ჩამოვწიე. ზაფხულის ღამე იყო. თურმე დავხუთუღვარ კუბეში. ის გოგოც მოვიდა თეთრეულით. მგონი გაუკვირდა კიდეც ჩემი აღგომა. ვიფიქრე ცოდვაა, რა აიყვანს ზემო თაროზე-თქო, მაგრამ ჩემი ადგილის შეთავაზებაც უხერხული მეჩვენა — ზედმეტი თავაზიანობა გამოდიოდა. ერთხანს შევყოვნდი, მერე კუბეში შევედი. მკრთალი ცისფერი შუქი ციალებდა. დავწექი. ჩემდა გასაოცრად უმაღვე ჩამეძინა.

უცნაური სიზმარი ვნახე. თუმცა, მე ყოველთვის უცნაურ სიზმრებს არ ვნახულობ?! ხანდახან ისეთია, მგონი, ბევრ სცენარისტს არ მოუვიათ ემი. ესაა, მავიწყდება შემდეგ. ერთხელ ჩემმა ამხანაგმა სამხედრო მხარეში თხრობა დაწერა და წაგვიკითხა. ყველამ გამოთქვა თავისი აზრი. ყველა მეც მკითხეს როგორიაო. ვუპასუხე, ამაზე კარგ მოთხრობებს სიზმრებში ვნახულობ მეტქი. ერთი სიზმარი კიდევ მოვუყევი. მოეწონათ, თუ არ ვიცოდა იყო, ამის შემდეგ ბიჭები დამსდევდნენ — თუ ძმა ხარ, რაიმე სიზმარი მოგვიყევიო. მოკლედ, ვერთობოდით რა!

რომ გამეღვიძა კუბეში არავინ იყო. ერთხანს სიზმარს ვიხსენებდი. მერე ჩავიცვი და ღერეფანში გამოვედი. გოგონა ფანჯარასთან იდგა და ხატავდა. მატარებელი რომელიღაც პატარა სადგურში გაჩერებულიყო. რკინიგზის ხაზს იქით მინდორში ძროხა ეკიდა ხეზე უკანა ფეხებით. სამი კაცი ატყავებდა. მერე ერთმა ძროხის თავი აიღო მაგიდიდან და ჩქარი ნაბიჯებით აქეთ წამოვიდა. უკან ქალი მოსდევდა და რაღაცას ეუბნებოდა. კაცს მისკენ არ მიუხედავს, ძროხის თავი გადაინაცვლა მეორე ხელში და მოჭრილი კისრით ახლა ჩვენსკენ ეჭირა. „შეაბრუნოს მაინც“ — ვიფიქრე, მერე ხმამალღაც ვთქვი. ვაგონთან რომ ჩამოიარა, დავაკვირდი. საოცრად მოწყენილი სახე ჰქონდა კაცს. ალბათ არც მას სიამოვნებდა მაინცდამაინც ამ ძროხის დაკვლა, ანდა თავის მეტი რომ არაერგო, ნაწყენი დარჩა. გოგოს გავხედე. მივხვდი, კარგახანია მიცქერდა, თანაც თითქოს გაკვირვებული. თვალებს არ ვხრიდით. გამიჭირდა ასე! სიგარეტს მოვუკიდე, მხრები ავიჩეჩე და სტვენით შევედი კუბეში. ზურგით მივეყრდენი კედელს და ასე ნახევრად წამოწოლილი ვიყურებოდი ღია კარებში. პანამის ქუდი ჩამოვწიე თვალებზე და გოგოს სუსტ მხრებს მივაჩერდი, მაღლიმალ რომ ამოძრავებდა ხატვისას. ჩამოშლილ წაბლისფერ დაკუთლულ ბულ თმებს ნიავი ურხევდა. გამისარდა, თმები შეღებილი არ ჰქონდა.

ჩემზე უცნაურად მოქმედებდა მისი მხრების მოძრაობა, ნერვიული თრთოლვის მაგვარი.

ცოტა მოგვიანებით ფეხებზე შევავლე თვალი. წარმოვიდგინე ასეთი სწორი, გამხდარი ფეხებით რა თავისუფლად ირბენდა ეს გოგო. უქუსლო ფეხსაცმელები ეცვა, ფანჯარასთან იდგა ოდნავ წინგადახრილი, ჩემკენ ზურგით და კვლავ ხატავდა. ვიფიქრე, კარგი სურათი გამოვა, რომ დახატო ასე — კუბის ღია კარებიდან ჩანს გამხდარი გოგო ფანჯარასთან, ხოლო იქით მინდორი თითო-ოროლა სახლებით... ანდა ზღვა იალქნიანი ნაკვებით. ბოლოს ისევ სახლები ვარჩიე, ოღონდ ბუხრიდან კვამლი უნდა ამოდიოდეს.

რა ჯობს ბუხარს! მითუმეტეს ზამთარში. დედა კუპატს წვავს, კუპა-ტი შიშხინებს, ბროწეული ტკაცანით სკდება. დაბალ სამფხება მაგიდაზე ყვია: ყველი, ღორის ხორცი, მჟავე, ტყემლის წვენი, ახალგაქმეებზე მჭადს ცხელი ოხშივარი ასდის. მე და ჩამი ძმა კატას ვაწვავდით: დათმავ ვირთობთ თავს, სანამ მამაჩემი წერას მოათავებდეს. დაჯექი მერე და წრუპე ცოლიკაური.

ამის გახსენებაზე ისე მომენატრა სახლი, გულში უცნაური სითბო ჩამომელვარა, მომენატრებოდა, აბა რა, მთელი წელიწადია შინ არ ვყოფილვარ.

ჩემოდნიდან სათამაშოები ამოვიღე. ვალაგებდი მაგიდაზე და თან იმ წერილებზე ვფიქრობდი, ჩემოდანში რომ ეყარა. ნახევარი უცნობი გოგონებისაგან იყო მონაწერი. ეშმაკმა იცის, საიდანღაც გაიგებდნენ მისამართს და ავზავნიდნენ ბარათებს. პირველად მგონი მიხაროდა კიდეც, ის არადა, გულის ფანცქალით ველოდი და უმაღლვე ვპასუხობდი. შემდეგ კი ნერვებზე მოქმედებდა და მაღიზიანებდა წერილები. ღმერთმა უწყის ვინ არის, რას აკეთებს, დაჯდება და გწერს ორფურცლიან ლამაზ წერილს, რომ ამა და ამ წიგნს კითხულობს, ამა და ამ კინოფილმს ნახულობს, მეგობარ გოგონებთან სეირნობს და მაინც მარტოობას განიცდის. მერე რომელიმე წერილში მიამიტად შემოგაპარებს კითხვას, რა არის სიყვარული და საერთოდ თუ არსებობსო. ადრე მეც ვლაილაობდი სიყვარულის დიდ ძალაზე — როგორ არა, არსებობს და შეიძლება უნახავდაც შეგუყვარდეთქო; მოკლედ, რასაც პასუხი საჭიროებდა, თუმცა კარგად ვიცოდი ვერცერთს ვერ ვნახავდი. არადა ტიტინებდნენ სიყვარულზე უცოდველი კრავებივით.

არ იფიქროთ ცუდი შეხედულება მქონდეს მათზე — აჰ, სულაც არა! მათ რომ იცოდნენ, როგორ მოქმედებს ახალგაწვეულ ჯარისკაცზე წერილები, როცა ჯერ კიდევ ვერ შეჩვევიან სამხედროს და სახლზე ნაღვლობენ, უფრო გაახშირებდნენ წერას. ასეთ დროს წერილი წამალივითაა, ისიც გოგოსაგან, ვინც არ უნდა იყოს ის. ზოგი ჯარისკაცი საერთოდ არ წყვეტს მიწერ-მოწერას მათთან და ბოლოს მიდის იმასთან, ვისიც წერილი და ფოტოსურათი უფრო მოსწონს და ცოლად ირთავს კიდეც.

უკანასკნელ დროს გულგრილად ვხვდებოდი ამ ბარათებს და აღარ მაღიზიანებდა, არც ვპასუხობდი. მათ თავიანთი როლი შეასრულეს თავის დროზე და მეტად არ ვსაჭიროებდი; ხოლო, გადაყრა მაშინ დიდი უმადურობა იქნებოდა. ახლა კი იქვე მაგიდაზე დავაწყე, ჩემოდანში დავტოვე ის წერილები, რომლებიც ახლობლებისა და მეგობრებისაგან იყო გამოგზავნილი და კიდეც ერთი მეზობლის გოგოსაგან, ვისთანაც შეხვედრაზე წუხელის ამდენს ვფიქრობდი და არამარტო წუხელის. ეს სათამაშოებიც მისთვის მიმიქონდა საჩუქრად.

მაგიდაზე დაყრილი წერილები დავხიე, კუბის ვიწრო სარკმელი გაშალე. ქალაქის ნაფლეთები ქარმა უცებ გაიტაცა. ახლა მივხვდი, რატომ რებელი კარგახანია დაძრულიყო. სათამაშოები საბოლოოდ ეწვევებოდა მოვიყვანე. ადრეც ვირთობდი ასე თავს; პატარა მწვანე მალღობს ციკქნა კოხტა ხატა, მოშორებით ორი პალმის ქვეშ ვაჟისა და გოგოს ფიგურა, ვაჟს ჩამოჩაჩული შარვლის ჯიბეებში ჩაეწყო ხელი და მაცდურად უყურებდა გოგოს, თან სიგარეტს აბოლებდა. სიცილით მოკვდებოდი, რომ გენახათ, ისე ისვროდა კვამლის რგოლებს. გოგოს კიდეც მოკლე ლურჯი კაბა ეცვა. თავი ოდნავ დაეხარა და ვაჟს ამოსცქეროდა. მოკლედ, მთელი სიყვარული იყო. პალმას და ფიგურებს როგორც მინდოდა ისე გადავადგილებდი. იქვე, მაგიდის კიდეზე, მოხუცი მეთევზე ჩამოვსვი, ანკესით ხელში, მივეყრდენი ზურგით კედელს, სიგარეტს მოვუკიდე. ვუჭვრეტდი პანამის ჩამოწეული ფარფლიდან ამ სურათს და ვტკბებოდი. მერწმუნეთ, ნამდვილად ვტკბებოდი, ისე, ბიჭის გამოხედვა არ მომწონდა, თითქოს ქალიშვილის გრძნობებს სადღაც შელახავდა... მაინც თანავუგრძნობდი, როგორც მამაკაცს.

თავს ვაიმედებდი, მაინცადამაინც ცუდს არაფერს მოიმოქმედებდა, ხოლო კოცნა და მცირე ალერსი ცოდვაში როგორ ჩაითვლებოდა.

გვიან შევამჩნიე, მხატვარი გოგო შემობრუნებულობდა და გვიყურებდა. გვიყურებდაო რომ ვთქვი, ჩემი პატარა სამყაროც ვიგულისხმე. მგონი გვხატავდა კიდეც. ასეც დარჩა. შემოვიდა კუბეში და ქალაქი გამომიწოდა. მსგავსება დიდი იყო. ირონია იცქირებოდა პანამის ქუდიდან; ირონია ჩანდა სახეზე, ტუჩის კუთხეში. არასოდეს დავუხატივარ ვინმეს და სურათმა შინაგანად ამაფორიაქა. თანაც უცნობი გხატავს, ისიც ქალი და იჭერს შენი ბუნების მთავარ ნიშანს, რომელიც წესით მან არ უნდა იცოდეს. არ ვიცოდი გამხარებოდა თუ არა, რომ მან ჩემი ხასიათი ამოიცნო. ნახატი მსუბუქად იყო შესრულებული, ცალკეული ხაზებით. ხელში წერილი მეჭირა. სურათი დაუმთავრებელი ჩანდა, თუმცა მშვენიერი იყო.

— რაღაც ირონიული ღიმილით ათვალიერებდით წერილებს — მი-თხრა გოგომ.

— გასაკვირია, საიდანაც გაიგებენ მისამართს და გწერენ — ავიჩეჩე მხრები. — არც კი იცი ვინაა, ხოლო... ირონიულად ალბათ ამის გამო ვიღიმებოდი. იშვიათად მომდის! — თავი გააქნია.

— აი, ახლაც სათამაშოებსაც ირონიულად შესცქეროდით.

— ოო, იცით ეს პატარა გოგუცანა მეცოდება. ამ ბიჭს მთლად კეთილი ზრახვა არ უნდა ჰქონდეს.

ისე გადამდებად გაეცინა, მეც ავეყვი.

— არა, ცუდი ბიჭი არ ჩანს. გოგოს ბრალი იქნება. ალბათ ვერ ფარავს სიყვარულს.

— რატომ. თუ კი ორივეს ნამდვილად უყვართ, დაფარვას რა აზრობს?
ეროვნული
გმობიერება

აქვს.

არაფერი უთქვამს: სათამაშოებს დასცქეროდა.

— კარგად ხატავთ. მე მაინცდამაინც დიდად ვერ ვერკვევი ნახატებში, მაგრამ ვგრძნობ კარგად ხატავთ.

ვარდისფერმა დაკრა. — ჯერ კარგამდე სად არის. მართალი გითხრათ თქვენ მეტად რთული სახე გაქვთ, დასახატად ძნელი და ამავ დროს ძალიან საინტერესო.

„რა თქმა უნდა რთული და არა ლამაზი — ჩამეცინა მე — ასე იყოს. მე კი ვხედავ, შენ ლამაზი სახე გაქვს და საერთოდ კოხტა ხარ... თუმცა ეს შენ თვითონაც იცი და ალბათ სხვებიც გეუბნებიან“.

— კვამლი არ გვნებთ?

— არა, სულაც არა. მოსწიეთ. წუხელის ძილის წინ გავანიავე. — თითქოს გაიმართლა თავი და გამიღიმა — მშვენიერი ფანტაზია გაქვთ, ძალიან მომწონს ეს.

გაზეთი აიღო.

— ნახეთ — ორი ინგლისელი გასულა პატარა აფრიანი ნავით დედამიწის გარშემო სამოგზაუროდ. ნამდვილი გმირობაა ამის გაბედვა.

— გმირობა? — ავიჩეჩე მხრები — სულ არ მგონია. გმირობა ომში ხდებოდა. გმირობა აღენ ბომბარმაც ჩაიდინა. ამათ კი სახელის და სენსაციის სურვილი კლავთ. თუმცა ახლა... ყველაფერს გმირობად ნათლავენ.

— აგრე გგონიათ? ვითომ ამჟამად გმირობის ჩადენა არ შეიძლება?

— ვინ იცის... იქნებ... — სიგარეტს მოვუკიდე.

— თქვენ ალბათ ყველაფერს ირონიულად უყურებთ. ადამიანს თვით უნდა შეეძლოს საგმირო საქმის გაკეთება, სხვისას რომ დაცინვით შეხედოს.

— რატომ დაცინვით. მე არ დაცინი და... ამას გარდა მომიწია ისეთი საქმის შესრულება, რაც შემდეგ საგმიროდ მოინათლა. თუმცა მე არ ვეთანხმები.

— მაინც? — დაინტერესდა გოგო. — რა იყო ასეთი.

— დიდი არაფერი. იმ ქალაქში, სადაც ჩვენი ნაწილი იდგა, გერმანელებს უკანდახვევისას ბომბები და ნალმები დაეტოვებინათ მიწაში ჩაფლული. ჰოდა, იმის გაწმენდაზე ვმუშაობდით რამდენიმე დღე.

— აფეთქების საშიშროება ხომ იყო?

— როგორ არა. პირველად აფეთქდა კიდეც, საკანალიზაციო მილის გაყვანისას. სამი კაცი იმსხვერპლა.

— თქვენ მუშაობდით ნაღმების და ბომბების გაუენებლუბაზე და ამბობთ ეს გმირობა არ არისო?

— ამას მოითხოვდა საჭიროება, რომ ადამიანს უბრალოდ არ დაეშინებოდა რად გეცხოვრა. საჭიროების საქმეს საგმიროს სახელი?! — კვლავ ავიჩეხე მხრები და ავდექი.

— არ გეთანხმებით, — დაიწყო მან, რომ საშინელი ბიძგი ვიგრძენით. მე იმ დროს კართან ვიყავი მისული. კედელს მივეხეთქე და ძირს გავიშხლართე. გონს რომ მოვედი, მთელი სხეული მტკიოდა. ის გოგო საწოლზე პირქვე იწვა, უხერხულად. გადმოვაბრუნე. ცნობიერება არ ჰქონდა. ფრთხილად ავიყვანე. მარჯვენა ხელზე მაჯის ზემოთ ტალღისებურად აბურცვოდა ხორცი. მცხვდი, ძვალი გატეხილა. ბევრი ფიქრის დრო სად იყო. კარი მივწიე და დერეფანში გავედი. წონასწორობას ძლივს ვიცავდი. ვაგონი გადაფერდებულიყო. საშინელი აურზაური იდგა. ქალები კიოდნენ. გარეთ გასვლაზე ერთი ამბავი შეიქნა. კარებში ექედებოდნენ. როგორც იქნა ძირს ჩავაღწიე. გოგო მინდორზე დავაწვინე. ხელზე აქეთ-იქედან ჯოხები ამოვადე და ცხვირსახოცის ნახევრებით შევუკარი. რომ ვუსწოვრებდი, ჩემმა თითებმა შეიგრძნეს როგორ გაეხახუნენ ძვლები და ბოლოს ტკაცანით როგორ ჩაჯდნენ. წამოიკვნესა და თვალი გაახილა.

მატარებელს გავხედე, კარგად რომ გამეგო, რა მოხდა ასეთი საშინელი. ვაგონები მარჯვნივ მაღლობზე იყო მიწვენილი, შპალები მიყრილ-მოყრილი. წუხელ ამ მხარეს მაგრად უწვიმია და მაინცდამაინც ახლა, ჩვენ რომ მივუახლოვდით მაღლობს, მეწყერი ჩამოწოლილა.

შედარებით იოლად გადარჩენილები შევუდექით ხალხის გამოყვანას ვაგონებიდან. სულ იმის შიში მქონდა — მკვდარს არ წავაწყდე ვინმეს მეთქი. ბოლო ვაგონი ლამის წაქცეულიყო. ძლივს მოვახერხეთ რამდენიმე კაცმა შეძრომა ფანჯრიდან. ერთ კუბეში გოგონები ვნახეთ. გულწასულები ეყარნენ ძირს. ზოგს თავი ჰქონდა გატეხილი, ზოგს კიდევ ხელფეხი მოტეხილი. მთელი საათი მოვუნდით ამ ვაგონის დაცლას ხალხისა და ბარგისაგან. გარეთ გამოსულმა სასწრაფო დახმარების მანქანა დავინახე. გამიკვირდა, ასე მალე საიდან-თქო. რკინიგზიდან ორასიოდე მეტრის დაშორებით გზა გადიოდა. ვილაც მაღლიანს, მანქანით ქალაქისაკენ მიმავალს, თან ერთი მძიმედ დაშავებულიც წაუყვანია საავადმყოფოში.

დაზიანებულებს საკაცეებზე აწვენდნენ და გზისპირთან გაჩერებულ მანქანებში ათავსებდნენ. მხატვარი გოგო არ ჩანდა, წაუყვანიათ ჩემს იქ არ ყოფნაში.

ერთი სქელი კაცი მომადგა — შენი ჭირიმე, იმ წაქცეულ ვაგონში ღვინო დამრჩა პატარა კასრით და გამომიტანეო. გამიკვირდა: თვითონ როგორ გადარჩა მთელი-თქო. ისე, საკვირველია ადამიანი საერთოდ: მაშინ ალბათ თავბედს იწყევლიდა, ახლა კი ღვინოს დარდობს.

გული არ დამიწყვეტია, გამოვუტანე ის კასრიც.

ყველაფერზე კიდევ შედარებით კარგად ჩაივლიდა, ქალებს ხელი არ შეეშალათ უადგილო ყვირილით და შენიშვნებით. ვითომ გვეხმარება და დანებდნენ და ფეხებში კი გვედებოდნენ. სულ არ მეგონა ასეთი პანიკორები თუ იყვნენ.

ბოლოს ჩვენს კუბეში შევედი ჩემი და მხატვრის ჩემოდნების გამო-სატანად. სათამაშოები და სურათიც არ დამვიწყებია. იატაკზე მიმოფანტულიყო. ყველა მოვძებნე, კაცუნას პატარა სიგარეტიც კი. ქოხი დამტვრეულიყო. ისე მეწყინა, თითქოს საკუთარი დამნაშავეოდე. თურმე შევჩვეოდი... ნამტვრევებიც თან წამოვიღე, დამენანა დატოვება.

ნაშუადღევს ჩავედით იმ ქლაქში, სადაც სასწრაფოთი წაიყვანეს ავარიში მოყოლილნი და მათი ჭირისუფალნი.

მგზავრთა ნაწილი ავტობუსს ან შემხვედრ მანქანას გაჰყვა სახლისკენ, ხოლო ვინც ვერ მოახერხა, სასტუმროში დაბინავდა. ჩემოდნები შემნახველ საკანში დავტოვე. შემდეგ გავიგე სად იყო საავადმყოფო და მხატვარი გოგოს სანახავად წავედი.

სავადმყოფო დიდ გალავანშემოვლებულ ეზოში იდგა. შენობას მრავალი განშტოება ჰქონდა. ვიღაც თეთრხალათიანს ვკითხე, სად იქნებოდნენ სასწრაფოთი მოყვანილნი. მეორე სართულზე აღიო, მითხრა. იქ დერეფანში ახალგაზრდა ექიმი ქალი იჯდა მაგიდასთან და ტელეფონით ლაპარაკობდა. სახე მეცნო, ალბათ მატარებელთან თუ იყო მაშინ და დამამახსოვრდა. რომ მოიცალა, ვუთხარი ერთი ქალიშვილი უნდა ვნახოთქო. რომელიო მკითხა. მე მხრები ავიჩეჩე — სახელი არ ვიცი მეთქი. თუ არ იცნობ, მაშინ რას ნახულობო. ვეუბნები — შე კაი ქალო, იმ არეულობაში სახელის და მისამართის კითხვის დრო სად იყო მეთქი. ექიმი მიხვდა — ასე გეთქვა თავიდან, მაინც როგორი გოგაო.

— მაღალი, გამხდარი... მხატვარია.

სახეზე შევატყვე, ვერაფერი გავაგებინე. მომეშალა ნერვები, როგორ ვერ უნდა ავუხსნა გარკვევით-თქო. მერე ის გამახსენდა, ჯოხებითა ცხვირსახოცით რომ შევუკარი მოტეხილი ხელი.

— აჰ, თქვენ ხართ ის ჯარისკაცი? — წამოიძახა მან.

მე ვერ მივხვდი რას ნიშნავდა „ის ჯარისკაცი“, თუმცა თავი დაუქნინე, მე ვარ მეთქი.

ექიმი პალატაში შევიდა. მალე გამობრუნდა და ხელით მანიშნა მოდიო.

პალატაში შესვლამდე არც წარმომედგინა, რომ იმ გოგოს გარდა სხვების მონახულებაც მომიწევდა. მის საწოლთან მივედი. ხეირიანად გაღიმება და კითხვა ვერც კი მოვასწარი თუ როგორ გრძნობდა თავს, რომ ვიღაცამ დაიძახა, ნახეთ, ვინ მოსულაო! თუკი ვინმეს შეეძლო, თავი წამო-

სწია და ატყდა ხმაური. მიწოდებდნენ მშველელს, გმირს და ათას ათას მავარს, მადლობას მიხდიდნენ. სხვა გზა არ იყო, ჩამოვეყვი საწოლზე. ვესალმებოდი ავადმყოფებს, კკითხულობდი მათ ჯანმრთელობას, მთლად მზრუნველად გადავიქეცი.

როგორც იქნა დავბრუნდი მხატვართან. ისე დავიღალე სხვების ჯანმრთელობის გაგებით, თუ არ ვიცი რა იყო, მისთვის არაფერი მიკითხავს. ხელი გიპსში ჩაესვით. ისე მიღიმოდა, თითქოს დიდად ბედნიერად გრძნობდა თავს, რომ ის იწვა ხელმოტეხილი და მე კი მის სანახავად მივედი.

— ხომ ხედავთ, ყველა გმირს გეძახით. თქვენ კიდე გმირობა არ შეიძლებაო, ახლა?

— კარგით ერთი, — გამეცინა, — რა დროს ეგაა. გტყვიანთ? თავი გააქნია.

„ნახე რა ვაჟკაცი გოგოა. ვიცი სტკივა და ამბობს არაო. იქნება გმირობაც ეს იყოს, რომ შემდეგ ხატოს და უფრო კარგად. ვინ იცის...“

— რაო ექიმებმა, როდის მოგიჩვენებო.

— ორ თვეში. ჩემიანების ჩამოსვლას ველოდები.

— დეპეშა გააგზავნეთ?

— წერილი. ვიფიქრე დეპეშა დააფეთებთ-თქო.

— მე მინდოდა წერილის გაგზავნა, მაგრამ არც მისამართი ვიცოდი თქვენი და არც გვარი.

— მეც არ ვიცი თქვენი სახელი. აქ ყველა „გმირი ჯარისკაცის“ სახელით გიცნობთ.

— მე კიდე მხატვრის სახელით გეძებდით, რომ მენახეთ, მაგრამ ექიმს ვერაფერი შევასმინე. მერე ჯოხები მომაგონდა.

გავვეცინა. სკამზე დავჯექი.

— თქვენი ჩემოდანი შემნახველ საკანში დავტოვე. მოგიტანოთ?

— არა. თუმცა, მგონი, ცოტა ფული მაქვს შიგ, იქნებ დამჭირდეს. არა, არა, — თქვა მერე, — არ ღირს.

სახეზე ალმური გადაკრა. მივხვდი ჩემოდანში ისეთი რამეებიც ეწყო, ერცხვინებოდა ჩემგან ნახვა.

— არა უშავს. ფული მეც მაქვს. გვეყოფა.

— როგორ? თქვენ სახლში არ მიდიხართ?

— თქვენების ჩამოსვლამდე დავრჩები.

— რას ამბობთ. მთელი წელიწადი სახლში არ ყოფილხართ და ჩემს გამო იცდით?

— რა მოხდა მერე, — ავიჩეჩე მხრები, — ეგ არაფერია.

— არა, წადით, უსათუოდ წადით, გთხოვთ.

სიგარეტი ამოვიღე. გამახსენდა, აქ მოწევა არ შეიძლებოდა. ერთ-

ხანს ჩუმად ვიჯექი. „იქნებ ისეთ ვინმეს მისწერა, არ უნდა ჩემი თანხას-
წრებით დახვედრა. ალბათ ასეა“. წამოვდექი.

— კარგით, გასაგებია. — მისი ჩემოდნის ქვითარი სკამზე ჩაქოვს და
ნებ მომეტანა, მაგრამ სად შეინახავს აქ.

— მალე გამოჩანსალებას გისურვებთ. — თავი დავუკარი.

— აჰ, კინალამ დამავიწყდა, — ჯიბიდან პატარა ფიგურები ამოვიღე
და სკამზე დავალაგე. — ამას დავტოვებ. — სიგარეტის მოკიდება მინ-
დოდა კაცუნასთვის, მაგრამ გადავიფიქრე. მთლად გამიფუტდა განწყობი-
ლება. უადგილოც მეჩვენა. ალბათ, ახლაც ირონიულად ვიღიმებოდი, სა-
თამაშოებს რომ ვაწყობდი.

— აბა კარგად. — მგონი მისთვის არც შემიხედავს.

— მოიცათ! — შემომესმა კართან მისულს. ნელა შემოვბრუნდი.

— ისე მიდიხართ, ერთმანეთის სახელიც არ ვიცით, თანაც ჩემგან
განაწყენებული?

— რას ამბობთ, აბა რა გამანაწყენებდა, — გავიღიმე, — რას ამბობთ!
— სახელები კი... მოდი და თქვენთვის ისევე დავრჩე, როგორც აქამდე
მიწოდებდით თურმე, ოღონდ „გმირის“ გარეშე, ამ სამყაროთი — სათა-
მაშოებზე ვანიშნე — თქვენ კი მემახსოვრებით, როგორც ჩემი პორტრე-
ტის მხატვარი.

შეენიშნე ტიროდა. მივედი, დავიხარე და ჩუმად ვკითხე — გტკივათ?
გაუძელით, ტკივილზე ნუ იფიქრებთ.

თავი გააქანა — არა, არ მტკივა.

სხვების ყურადღება რომ არ მიგვეპყრო, გაღიმებულმა მივაჩოჩე სკა-
მი საწოლთან და დავჯექი. კაცუნას სიგარეტზე მოვუკიდე. ვუცქერდი პა-
ტარა ფიგურებს და მახსენდებოდა ყველაფერი: სახლი, ნაწილი, წერილე-
ბი კუბის, სარკილიდან რომ გადავყარე და ისინიც, ჩემოდანში რომ დავ-
ტოვე, რომლის გამოგზავნაზეც ამდენს ვფიქრობდი და ეს სათამაშოებიც
რომ ვუყიდე.

— ასე ნუ იღიმებით, ძალიან გთხოვთ, გეხვეწები... ჰო, აი, ასე! იცით
რა? არ მინდოდა ჩემს გამო დარჩენილიყავით. რამდენი ხანია სახლში არ
ყოფილხართ და...

— მომენატრა, როგორ არა! უბრალოდ ვიფიქრე, მე ხომ არ დამტო-
ვებდნენ-თქო მართოდ ასეთ შემთხვევაში.

ნამტირალევზე გოგოს გაღიმება ხომ გინახავთ? ჰოდა, სწორედ ისე
გამიღიმა და თავი დამიქნია. ერთხანს კიდევ დავრჩი. მერე ვუთხარი, სა-
ლამოთი გინახულებ მეთქი და წამოვედი. სასტუმროში ცალკე ნომერი
ავიღე. საკვირველია, ასე თავისუფლად როგორ დარჩა ნომრები. ოთახი
მომეწონა, სადა იყო, მოხერხებული. ჩემი ჩემოდანი მოვიტანე, ვანა მი-
ვიღე, გავიპარსე და წამოვწექი. დაღლილს მალე ჩამეძინა. როცა გამომე-

ლვია, დაღმებულიყო. გასტრონომში შევირბინე. ტკბილეული არ მიყვარდა და ამორჩევა გამიძნელდა. ბოლოს გოზინაყი, შოკოლადი, მოხალული თბილი და რაღაც ამისდაგვარი ვიყიდე და საავადმყოფოში მივედი. მეკარემ კაი ხეწნა-მუდარის შემდეგ (რომ ახლა გვიანაა, ვინაობა ლევის მიღება არ შეიძლებაო) ზემოთ ამიშვა.

მელოდა. ტკბილეულს დახედა.

— თქვენ რა იცით, მე რა მიყვარს?

— მე მხოლოდ ამას ვჭამ.

გაეცინა — ამას მეც ვხვდები, მოკლებული ჩანსო.

— ჰო, ხარისხს ვამოწმებდი გზადაგზა.

ვიცინოდით და კჭამდით. მას განძრევა არ შეეძლო და მე ვაძლევდი. გოზინაყი ძნელი გასაკვნეტი აღმოჩნდა და ერთხელ ზედ ჩემი თითიც კინალამ მიაყოლა. ვიყვირე. მას გაუკვირდა, კბილები მე მეტკინა და ნეტა თქვენ რა გაყვირებთო.

— შეიძლება, — ვუთხარი, — მაგრამ რატომღაც ვფიქრობ ჩემი თითიც მოყვა შიგ.

ყველაფერზე ვიცინოდით. შემდეგ მკითხა ღამეს სად ათევო, მგონი ცოტა კიდეც დაიმორცხვა — გვიან გამახსენდაო. ისე დაეუხატე ჩემი საცხოვრებელი, მოეწონა, ოღონდ ის არ ვიცი ოთახი მოიწონა თუ მონაყოლი.

— კარგად რომ გახდები, განახებ ჩემს ბინას, ახლა კი დაიძინე.

— პატარა კიდეც მოიცა, არ მეძინება.

ეს პატარა მოცდა ერთ საათს გაგრძელდა. ვგრძნობდი, ტკიოდა და ვუყვებოდი სასაცილო ამბებს, რომ ტკივილზე არ ეფიქრა. ჩაეძინა. მეკარესთან კაი ჯიჯლინის მერე (ამჯერად გარეთ არ მიშვებდა) სასტუმროში მივედი. გამახსენდა — არც ახლა გვეთქვა ჩვენი სახელი და გამეცინა.

მეორე დღეს მაწონი ავუტანე. გაინაზა — მყავეო. დავუშაქრე, მაინც უარობდა. ჰოდა, მიყვები ბავშვობაში რომ იცოდნენ — ეს დედის ხათრისთვის, ეს მამის, ეს დის, ეს ძმის და ასე... რის შემდეგაც გამოვარკვიე, რომ ბებია და ბაბუა საერთოდ არ ჰყოლია, არც კი ახსოვდა და ამიტომ მათი ხათრით ერთ ლუკმასაც არ შევჭამო. მე ვუთხარი, შე კაი ქალი, რამდენჯერ შემისვამს ჩემი ამხანაგების ბებიას თუ ბაბუას შესაძლობარი, რომლებიც თვალად არ მინახავს და საკუთარს არ სცემთ პატივს-თქო? ერთი კოვზი მაწონი გადაყლაპა და მორჩა. ვეუბნები ახლა ჩემი ხათრისთვისო. სამი კოვზის შემდეგ მითხრა, თქვენ ხათრს ბოროტად ნუ იყენებო.

— მაშინ ერთი სხვა ვაჟის ხათრით.

— რომელი სხვა ვაჟის? — შემომხედა..

მე მხრები ავიჩიჩე.

— აჰა, თურმე რა იკითხეთ — გესლიანად თქვა — კი ბატონო! მისი ხათრით მთელ ქილას შევჭამ.

ჰოდა, დაიღო მკერდზე ქილა და ისე ჭამდა მარცხენა ხელით.

— ეს სულ მისი ხათრით და პატივისცემით. გთხოვთ მადლობა წუხლებით. ამისთვისაც უდიდესი მადლობა.

— აბა რა შეწუხებაა, განა ღირს თქმად?

— როგორ არა. ხვალ ის ვაჟიც ჩამოვა. ისიც გადაგიხდით მადლობას. ნახე, რა ბავშვია? მართლა არ განაწყენებულა? მივხვდი უაზრო მდგომარეობაში ჩავიგდე თავი ვიღაც ვაჟის სხენებით და ახლა ხუმრობით უნდა გამოვსულიყავი“.

— მით უკეთესი, თუ ჩამოვა. მან ხომ უკეთ იცის რა გიყვართ და რა არა. მე კიდეც თავის მტვრევა არ მომიწევს, როგორ შეგაჭამო ერთი კოვზი მაწონი-თქო.

სიცილი წასკდა და უმაღლეს გაბუტულის იერი მიიღო.

— დიახაც რომ მისი ხათრით ყოველდღე სამ ქილა მაწონს შევჭამ.

— კი ბატონო, ოღონდ ნუ გამოტეხეთ მაგას ფსკერი.

გაეცინა და მერე როგორ! მეც ავყევი. იმდენი იცინა, რომ ის ქილა გადმოვარდა და გატყდა. ამაზეც ვიცინეთ.

— რა ვაზა გაგვიტყდა?

— ეგ არაფერი. ერთი იყო და ახლა რამდენია.

— ჩვენს შერიგებას შეეწირა. არადა რა პატარებივით მოგვივიდა, არაფრის გამო.

— აბა, არ დავამტვრიეთ აქაურობა?

ნამსხვრევები ავკრიფე.

— მაწონი ხომ შევჭამე. ახლა დაჯექით და მიამბეთ რაიმე.

მე ფეხბურთი მომაგონდა. ერთხელ გერმანელების არმიის გუნდს შევხვდით. მეტად პრინციპული თამაში იყო, უმაღლესი ოფიცრობა გვესწრებოდა. დავჯარიმდით. ვინც ურტყამდა, ბურთი ერთი მეტრით წინ დადო. სახიფათო არ ეთქმოდა, მაგრამ მე მაინც წავუტარი ჯეხი, უკან დავუბრუნე. იმან კვლავ წინ დადო, მეც შევუტსწორე და ავყევით ასე. გამოვგველია მოთმინება მეც, მასაც, სხვებსაც. ჰოდა, მეუბნება ამხანაგი, დაანებებთ ორი მტკაველი მიწა, ახლაც ომი ხომ არ არისო. ამაზე სიცილი აგვიტყდა. იმდენი ვიცინეთ, სანამ ჩვენს კარში არ შევარდა ბურთი, ჩვენი გაჩერება არ იქნა. ბიჭებმა ლამის შეგვჭამეს, ისინი კიდეც გვეხვეოდნენ და გვკოცნიდნენ.

გოგომ იმდენი იცინა, კინალამ მისავათდა. — წააგეთ? — მკითხა მერე

— არა. წარმოგიდგენიათ, ორი გოლი გავიტანე, როცა მე დიდად არ მიყვარს გოლის გატანა.

— დამცველი ხართ?

— არა, ნახევარმცველი, — გამიხარდა, რომ ფეხბურთში ერკვეოდა.
— ძალიან მსიამოვნებს დრიბლინგი, ლამაზი პასი, მოედნის შეპყრობა
ში თამაში. ბურთს რომ მეკარეს გაუტანენ, მეცოდება და სინჯავს
ვგრძნობ, ვისიც არ უნდა იყოს, — ავიჩეჩე მხრები.

— ალბათ, მწვრთნელები სულ არ გიფასებენ დიდსულოვნებას.
— რას ამბობთ, სულ ამას არ მსაყვედურობდნენ? კარში წესიერად
დარტყმასაც გადავეჩვიე. იმ დღეს კი სენსაცია მოვახდინე, ოლონდ მცირე
მასშტაბით.

— თანრიგის ნიშანს რატომ არ ატარებთ?

— ვერ ვიტან ასეთ რამეებს. საერთოდ არ მომწონს, ექტონებით რომ
გაიცესებენ მეკრდს.

სადილი შემოიტანეს. სულ ცოტა მოციცქნა.

— რაღაც ვერ ვჭამ. სულ არ მაქვს მადა.

— რატომ აქამდე არ მომაგონდა, — შემოვირტყი თავში ხელი და წა-
მოეხტი.

— რაო, ვაუბატონო, გაგვიანდებათ ვინმესთან?

— დიახ, ქალბატონო, მალე მოვალ.

— ნუ იჩქარებთ, — დამადევნა.

გამეცინა. ბაზარში მივედი. ვიყიდე კიტრი, პამიდორი, მწვანელი, სუ-
ლგუნი, კახამბალი, თონის პური, ლიმონათიც დავამატე და ასე ავედი მას-
თან. ყველა ავადმყოფს თავს ედგა ნათესავი თუ ახლობელი, მხატვრის გა-
რდა.

— ამას ხომ არ მიირთმევდით, ქალბატონო?

თავი გააქნია და პატარა ბავშვივით თქვა — ნწ...

— ჰოო? მე — დიდი სიამოვნებით.

სადილს შევუდექი. პილპილს მთელად ვაყოლებდი. მიყურა ერთხანს
და მერე ამოიოხრა — რა უღმერთობაა, აღარ მაჭმევ!

— ნწუ — გავაქნიე თავი.

გაგვეცინა. პამიდორის დიდი ნაჭერი მივუტანე. იმანაც თავი წამოსწია
მე კი შევჭამე. ამაზეც გაუთავებლად ვიციინეთ. მაღიანად ჭამდა. აღარ და-
მჭირებია ბებიას და ბაბუას გახსენება. მასაც ჰყვარებოდა პილპილი. შე-
მდეგ კახამბალს გეახელით. სხვებსაც დავუირიგეთ.

— ახლა ლიმონათი მომართვით.

— ინებეთ, ქალბატონო.

— აწი შეგიძლიათ წახვიდეთ. საღამოს 7 საათზე აქ გაჩნდებით.

— უეჭველად, მოწყალეო ქალბატონო!

წამოვედი. გზად, წიგნის მაღაზიაში, რომელიღაც მწერლის წიგნი
ვიყიდე. ოთახში ავედი, წამოვწყე. დიდი სიამოვნებაა წამოწოლილი
კითხვა. ნეტა ვინ მოიგონა, თვალებს ტკენსო. რას ამბობთ! რა ჯობს, თან

სიგარეტიც გააბოლეთ. ყდაზე მწერლის სურათიც ესაბა. კითხვისას ხშირად დავხედავდი ზედ. ასეთი ჩვევა მაქვს: როცა ვკითხულობ, მწერლის სურათს დავხედავ ხოლმე. მაინტერესებს ამნაირი ფიზიონომიის პატრონსა თუ შეეძლო ეს აზრები ჰქონოდა, ასე ეწერა, ანდა შემთხვევით ჩამწერდა მოცდა დიდებული აზრები. მის სახეზე ვიკვლევ ყველაფერს. მგონივრულად, ეს არა მარტო სიამოვნებას მანიჭებს, არამედ ენით გამოუთქმელი ძიებაა ჩემთვის. იმ აზრებსაც ვეძებდი, რომლის გაფიქრებაც შეეძლო ამა თუ იმ სახის მქონე მწერალს. ბოლოს დავიღალე და დამეძინა.

სალამოს 8 საათი იქნებოდა, მხატვართან ავედი. ვიცოდი გაბუტული იქნებოდა დაგვიანების გამო და ყვავილები ვიყიდე. მე ყვავილებში დიდად ვერ ვერკვევი, ვარდისა და იას გარდა ყველას „ფიალეთას“ ვეძახი. არა და ლამაზები იყვნენ, წითელი, ხავერდოვანი, დიდ ღეროებზე.

მოლუშული დამხვდა.

— მთელი საათი მალოდინეთ.

— სულ იმას ვშიშობდი, არსად არ წავიდეს-თქო, — შევეძელი მისი გაცინება. ყვავილები დავანახე, — ამათი ბრაღია, ახლავე გადავყრი.

— აბა რას ამბობ? მოიტა! რა კარგებია! დაგვიანებას ამ ერთხელ გაპატიებ.

კარგახანს შევრჩი. ვცვებოდი რაღაც ამბებს, ვივანშმეთ და როდის-როდის დამართო წასვლის ნება.

დილით ასვლა შემაგვიანდა, უღვთოდ მეძინა. მისი მშობლები კიდევ არ ჩამოსულიყვნენ. ტკივილები აწუხებდა. გვიან ღამემდე დავყავი მასთან. ვართობდი, რაც შემიძლო. რომ მივდიოდი, მითხრა თქვენი დახატვა მინდოდა მეორეჯერ და არ მგონია გამომივიდესო.

— რატომ? მოგიჩვენებ ხელი და უკეთესსაც დახატავ.

— არა, მე სხვას ვამბობდი. ხატვისას ხასიათს ვეძებ. მაშინ კი მხოლოდ ირონია დავიჭირე. ახლა გამიძინელდება თქვენი ნამდვილი ბუნების გადმოცემა.

— ოო, მაგ საქმეს მოევლება. ნახატების მთელ სერიას გააკეთებთ ჩემზე. — ვნახე გამოსავალი, — მხოლოდ ეს სამყარო არ დაგავიწყდეთ.

— ამას რა დამავიწყებს.

— ქოხი რომ დაინგრა?

— არაფერია, ახალს გავაკეთებთ. ნახე, მე და შენ უფრო კარგ ქოხს თუ არ ავაშენებთ.

შევკრთი, „შენო“ მითხრა.

უცნაურად სერიოზული სახე ჰქონდა.

ვერაფერი ვთქვი.

— ჰო — ვუთხარი ბოლოს, თავზე ხელი გადავუსვი — იქნებ...

შეიძლება... ვინ იცის...

ხელი მხრით დაიჭირა და ლოყაზე მიიკრა.

— აბა, ხვალამდე, პატარა მხატვარო, — მოუეჩეჩე თმები.

დილით წვიმდა. სასაუზმეში შევედი. კარებში მეზობლები შემხვდნენ. მძლოლი. აქ საიდანო მეკითხება.

— მთელი ისტორიაა. ავარია მოხდა.

— ჰო, ვიცი. ჭერაც არ აღუდგენიათ რკინიგზის ხაზი.

კონიაკი მოიტანა.

— მანქანაზე ხომ ზიხართ?

— კი. მე სულ ცოტას შევსვამ, შენ ბევრს. ჩვენი შეხვედრა არ აღეზვნოთ?

ვსაუბრობდით, თან ნელ-ნელა ვწრუპავდი კონიაკს. მითხრა ერთ საათში გავდივარ და ხომ წამოხვალ.

— მგონი წამოვალ.

საავადმყოფოში ავედი მხატვართან. კონიაკი ცოტათი გამჟღავნდა. თავში.

— ჩამოვიდნენ.

— ოო, დიდებულია. ჩემს გადიობასაც დაესვა წერტილი.

— ხუთი დღე კიდეც უნდა ვიწვე აქ. შენ დღეს მიდიხარ?

თავი დავუქნიე — ნახევარ საათში.

— ასე მალე! რატომ?... რატომ ასე მალე?

— მანქანა მელოდება.

— ჰოო? ჩემს მშობლებს სურდათ გაეცანი. სასტუმროში წავიდნენ ნომრის ასაღებად.

— კარგი იქნებოდა...

— მთელი ეს დღეები გაგაცდენინე.

— რას ამბობთ. არ მგონია ამ სამ დღეში დიდი მნიშვნელოვანი რამ მომხდარიყო სახლში.

გავჩუმდი. თითქოს სათქმელი არაფერი დავგრჩა.

— წავედი — ვთქვი ბოლოს, დავიხარე და შუბლზე ვაკოცე. მანაც მოასწრო. ესაა ცხვირზე მომიწია. გავველიმა. მას უცნაურად ნაღვლიანად გაეღიმა.

— გინახულებ. უეჭველად გინახულებ.

სახლში ღამით მივედი. სამზადისის ღია კარებიდან სინათლე გამოდიოდა. ნაწვიმარ მოლზე სინათლე მბრწყინავ ლენტეხით მოჩანდა.

დედაჩემი ცეცხლისპირას იჯდა. თავი დაეხარა, ცომს ზელდა.

ვხედავდი მის თმებს, თეთრ თმებს. სულ ასეთი მახსოვს დედაჩემი.

ნეტავი რატომ გაუთეთრდა ადრე, ახლა გავიფიქრე რატომღაც. სა-

ხეზეც ნაოჭები გაუჩნდა. თუმცა ჩამოშლილი თმა ფარავდა, ვერცხვადი რაც არ მენახა, მომრავლებოდა. ვუცქერდი და რაღაც უცნაური გრძნობა შეუფლებოდა, რომ მან არ იცოდა ჩამოვედი, მე კი იქვე ვიჯდებოდი. ვიდექი და ვუყურებდი როგორ ზელდა ცომს. თითები არ ჩანდა, მაგრამ მე მაინც გარკვევით ვხედავდი კაცის თითებივით დაყოფრებულს, გაუხეშებულს. გამახსენდა, როცა მომეფერებოდა, ნელა მომისვამდა სახეზე დედაჩემი, თითქოს მხეხავსო, თან ისე ტკბილად, ვიტრუნებოდი და განძრევას ვერ ვხედავდი.

წარმოვიდგინე მისი გავკირვება: — „ოჰ“-ს წამოიძახებდა, გამილიმებდა. ამ ხნის ქალია და გადასარევი კბილები აქვს, ახალგაზრდასავით. რომ იცინის, ნაცრისფერი თვალები ცისფრად აუტიმციმდება.

საოცარი არაა?

— დე, მჭადი სქელი არ გამოვიდეს, დე!

— ოჰ, — წამოიძახა, — ღმერთო!..

თითქოს შეშფოთება შევნიშნე მის სახეზე. მოვეხვიე. ხელები გამაღა, რომ არ დავესვარე.

— ჩემი დედა, — ვკოცნიდი სახეს; — ხომ კარგად ხარ დე?

— თავი მოვაშორე და შევხედე. კვლავ შეშფოთებული ღიმილი ჰქონდა სახეზე, თვალები ცისფრად არ უციალებდნენ.

— ხალხი სად არის, დედა!

დედა დაჯდა, კეცი გადმოიღო ნაკვერჩხლებიდან და ცომი დააქრა.

— მამაშენი სკოლაში შერჩებოდა, საწერი ჰქონდა ბლომად. აწი სადაცაა მოვა. ბიჭი ქორწილში წავიდა.

— ვის ქორწილში? — დავინტერესდი.

სამფეხა სკამზე დავეშვი. კატა მოცუნტულდა და ჩექმაზე ზურგი კრუტუნით ამისვ-ჩამომისვა.

— ოო, გამარჯობა თავიქამიავ. როგორ ხარ? — კუდით ავიტაცე.

კატამ დაიხსავლა და ეცადა კლანჭებით მომწვდომოდა.

— კარგი, გაუშვი! ნუ დაიწყე ძველებურად კატის წვალება.

— ა, ბატონო, რახან ასე ძველებურად გეცოდება ეს მხეცუკა. დედას გაეცინა.

— რა, დე, ვის ქორწილში წავიდაო?

— აგერ... მეზობლად... — ჩუმად თქვა და ამომხედა. თვალები გავუსწორეთ დიდხანს. მერე თავი დახარა, ალბათ კეცზე ნაკვერჩხლის დასაყრელად.

მაგრამ არა! თავი ჩაეკიდა და ვღუმდით. წამოვდექი.

— ჰოო? ქორწილი კარგი საქმეა. რა, ჯობს ქორწილს.

მომცრო ხელადა ავიღე — დე, ღვინოს ჩამოვასხამ.

გარეთ გავედი — სიგარეტს მოვუკიდე.

უეცრად თვალწინ ისევ გაიელვა თავიდან ყველაფერმა: საქართველოს
განმანათლებლო
სისტემა

ნაწილმა, მატარებელმა, წერილებმა — დახეულებმა და დაუხეველებმა, სა-
თამაშოებმა, მეზობლის გოგოსთვის რომ მომქონდა, მხატვარმა გოგომ.

უცხო ქალაქში გატარებულმა სამმა დღემ... ჩამოსვლამ...

თითქოს წამით გაიელვა, მაგრამ ჩემი ხედვის არეში ყველაზე დიდ-
ხანს მხატვარი გოგოს სახე დაილანდა...



მომავალ დღეთა სიკეთის გვჟერა...

— იქნებ კი ჯობდა...

ფიქრობ და უცებ

ეგ წამიერი სისუსტეც გაკრთობს.

და მოთმინებით ელი და უცდი

სტრიქონებს —

შენი სიცოცხლის პატრონს.

მომავალ დღეთა სიკეთის გჯერა,

და იმედებით ცოცხლობ და თბები.

შენი ოთახის დაბალი ჭერი

მიიწევს მაღლა ჩიტების ფრთებით.

და ღრუბლებიდან უმზერ და ხედავ

პატარა გზებით მიმავალ ტოლებს.

ისინი შენი უცნაურ ხვედრით

ართობენ სახლში დარჩენილ ცოლებს.

ლოცავ ფიქრებში გაფრენილ წამებს,

და გეცოდება ტოლები შენი...

მეგობარივით მოსული ღამე

სულს წამალივით არჩენს და შველის.

თვალებში ისევ იმედი გიკრთის,

იმედის ფასი მხოლოდ შენ იცი

და შენი ცხელი სუნთქვით და ფიქრით

შენი ოთახის სიცივე იწვის.

ადიდებ ისევ საკუთარ იღბალს,

იმედებს ისევ ღამეებს უთევ

და გელანდება ტყეების მიღმა

ჩამონგრეული ჩიორას ბუდე.

და ემატება სიმაღლე სურვილს,

ველარ ისვენებ, ღელავ და შფოთავ...

საქართველოს მტრებს ქორივით უვლის

ფიქრი, — რომელიც გაეჭა ოთახს.



ჩემი მეგობარი სიბილე

ამ ორიოდ წლის წინათ მოძმე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინემატოგრაფისტები ბათუმში იღებდნენ ფილმს „ჩემი მეგობარი სიბილე“. ესაა კინოსურათი ცნობილი გერმანელი იუმორისტის რუდი შტრაუსის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით. ნაწარმოების გმირები მოგზაურობენ შავი ზღვის სანაპიროებზე, ეწვევიან აჭარასაც და ათასნაირი ფაფრაკი გადახდებთ. ეს ფილმი უკვე იხილა ჩვენმა მაყურებელმა. ახლა გთავაზობთ ნაწყვეტებს ამ ვრცელი მოთხრობიდან, რომელსაც უშვებს გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“.

ბათუმში რომ შევედით, საუზმის დრო იყო. აქედან თურქეთი ერთი ფეხის ნაბიჯზეა. მაგრამ წესიერი კაცი, რა თქმა უნდა, უცხო ქვეყანაში არ გადაალაჩებს. საბანაო სეზონი აქ ორჯერ უფრო ხანგრძლივია, ვიდრე ჩვენთანო, მეუბნება გემის მზარეული. საბჭოთა მესაზღვრეების სასულე ორკესტრი ჩვენდა პატივსაცემად უკრავს მშვენიერ მელოდიას „უნტერ დენ ლინდენ, უნტერ დენ ლინდენ...“ რომელიც პალმების ქვეშ განსაკუთრებით სასიამოვნოდ ჟღერს. მოსწავლეებიც მოსულან ჩვენს შესახვედრად; მოკლე შავკაბიანი და თეთრწინსაფარიანი გოგონები და მწვანეჭუდიანი ბიჭები. მსოფლიოს სხვა ქვეყნების ბავშვებივით, ისინიც სამკერდე ნიშნების მოყვარული არიან, მაგრამ ვალში არც თვითონ რჩებიან. ჩემს უბრალო პლაკატებში, რომლებზედაც ბერლინური დათვი ახატია, სუვენირების მთელი კოლექცია მივიღე: სამი მშვენიერი მკილისოდენა ნიჭარა, გაგარინის სურათი, ორი თეატრის ბილეთი, წითელი პიონერის ყელსახვევი და უამრავი ბროწეული.

— მადლობელი ვარ, — ვეუბნები ყველას და მიხარია, რომ ერთი პატარა ჯიბის კომპასი კიდევ შემიძლია გავაჩუქო. სამაგიეროდ თავზე მახურავენ ამოქარგულ ქართულ ქუდს.

ბავშვები გერმანულად მღერიან ახალგაზრდობის სიმღერას. ჩვენც ხმას ვაყოლებთ და ცოტათი გვრცხვენია კიდევ, რომ სიმღერის მხოლოდ პირველი ტაეპი გვახსოვს.

ეს დღე, ასე ვთქვათ, ინდივიდუალურია; ყველა ისე იქცევა, როგორც მოესურვება. მე და ლამაზი ქალიშვილი მივეშურებით ქალაქის ცენტრის შესახებ მხოლოდ ის გამიგონია რომ ერთ დროს თურქებმა დაიპყრეს.

— ეს ქალაქი, — ვეუბნები მას, — წინათ თურქებს ჰქონდათ დაპყრობილი.

— ჰოო, — ამბობს ის და ირგვლივ იხედება.

— მაგრამ მას შემდეგ დიდი ხანია, — კვლავ ვეუბნები მე და საშინლად მრცხენია, რომ ჩემი ცოდნის მარაგი ამით ამოიწურა. აბა, მის ცხვირწინ ჩვენი გემის მზარეულის გზამკვლევაში ხომ არ ჩავიხედავდი.

ქალიშვილს ვებრალები და არაფერს მეკითხება... ასე უდრტვინველად დავსერირობ მასთან ერთად პალმების ქვეშ და მიხარია, გამვლელე-ბი რომ ქალიშვილს უცქერია.

ბათუმი ცისფერი ქალაქია. ასე მგონია, თითქოს სახლებს თავიანთი ფერი მაღალი ზეცისა და ზღვისაგან გადასდებიან. მაგრამ მწვანე თუ ბაცი ყვითელი, ვარდისფერი თუ ქათქათა შენობებიც საოცრად ჰარმონიულად შეხამებიან მიმზიდველ სილურჯეს. და ჩემს სიცოცხლეში პირველად ვინანე, რომ თან არ მქონდა ფოტოაპარატი. კიდევ უფრო შევწუხდი, როცა ზღვისპირა პარკი, ქალაქის გულის ფართო, მოასფალტებული ქუჩები გავიარეთ და თავი ძველ უბნებში შევრგეთ. მერე ბაზარს მივადექით, სადაც თვით ჩემი ქალიშვილიც კი, რომელსაც ათასფერადი კაბა აცვია, ხალხის ჭრელ, ხმაურიან ტალღაში იკარგება.

სადღაც რეპროდუქტორი უნდა იყოს. გაჭიანურებული მუსიკალური პროგრამა მიგვანიშნებს, რომ ახლოა აღმოსავლეთი. ისე ოსტატურად უკრავენ, ყოველი ჯახისტი შურისაგან გულზე გასკდებოდა. მაგრამ მუსიკა მხოლოდ იმ მჩქეფარე ცხოვრების კულისებია, რომელიც გვიზიდავს და ქალაქის ქუჩაბანდებისავენ გვეწევა.

ეს გოლიათი, რომელსაც პაპანაქება სიცხის მიუხედავად შავი მხედრული სამოსი აცვია და თავზე უზარმაზარი ბეწვიანი ქუდი ჩამოუფხატავს, დათვებზე მონადირე ან მთასვლელი უნდა იყოს. იქნება ასეცაა. რაკი მთები და დათვები ორიოდ კილომეტრზეა. მაგრამ აქ იგი ყიდის ოქროსფერსა და მოყავისფრო თამბაქოს, რომლის ერთ დანახვაზეც კი ჩემი ფილტვები ძალუმად იბერება.

მაგრამ სანამ ჩემს მანეთებს მოლურჯო კვამლად გადავაქცევდე, ხალხის ტალღა შორს გვიტაცებს. ყველგან ატმის, ვაშლის, მსხლის გორებია. ზოგან ერთმანეთში არეულია ვაშლი და მსხალი. ქლიავსა და ნესვს ველარაუხვალ კაცი. დახლთან კვლავ ვაჟკაცური, ქარდაკრული სახეებია. ეს ნაკლებად შეეფერება ხილეულისა და თამბაქოს გამყიდველს. აქა-იქ მოჩანან თეთრთავსაფრიანი ბებიები და გოგონები, ნაწნავები რომ წელამდე წვდებან. ისინი ხმამაღლა აქებენ, და ალბათ, სამართლიანადაც, თავიანთი

ცხვრის ყველს, მყავე კიტრს, ცოცხალსა და დაკლულ ფრინველს, ხელი
ნაქსოვ საბნებს, ასხმულებს, ტყავის ქუროთუებსა და ათას სხვა რამეს.

ბაზრის ერთ კუთხეში ძლივს ვუსხლტებით მყიდველებსა და მოყვარულთა
მოყვარეთა ტალღას. ჩვენს წინ დახლზე აწყვია მუცელგამობერილი, ლა-
ლისფერი სითხით სავსე ბოთლები. და მომაგონდა ამასწინანდელი საღამო,

— კაპორი! — ამბობს გამყიდველი და ენას აწკლავუნებს. მაშ, არ
შევმცდარვარ. ერთ ჭიქა ღვინოზე ვეპატიეები ლამაზ ქალიშვილს.

ერთი რომ გადაკრა, სულ სხვანაირად გამოიყურება. არც მეორე ჭი-
ქაზე ამბობს უარს.

— მოგეწონა, განა?

გამყიდველს ვეკითხები, რა ღირს-მეთქი. იგი უზარმაზარ ბოთლზე
მიმითითებს და ფასს ამბობს.

— არა, — შეშინებული ვეუბნები მე, — მაშინ ბერლინამდე რაღა
გამოგვაფხიზლებს, სამი ჭიქა, ამხანაგო...

როცა მიხვდა რასაც ვეკითხებოდი, ხელი ჩაიქნია. ჭაშნიკისათვის,
აბა, ფულს როგორ აიღებს. ისე კარგი ჭაშნიკი კი იყო, დალოცვილი. ვემ-
შვიდობებით და გზას ვაგრძელებთ. ჩემი ქალიშვილი ოდნავ ბარბაცებს,
მაგრამ ეს კიდევაც უხდება.

ვერ გამიგია გემის ამდენი მგზავრიდან რაღა მაინცდამაინც დოქტორ
რემუსს ვხედებით, სიბილეს საყვარელ მამას. იქნება ქალიშვილს იმწამსვე
პირში არ მიახალოს, მე და მზეთუნახავი რომ ხელხელგადახვეული გვნა-
ხა. აბა, რომ წაქცეულიყო! მაგრამ იცის კი ეს ამბავი? სიბილე ხომ სულ
არ დამიჯერებს. ან „ჰოო“ მეტყვის, ფროილიან გრიუნზე უფრო გესლი-
ანად მეტყვის.

მაგრამ დოქტორი რემუსი ისეა გართული, მზეთუნახავს არც კი ამჩ-
ნევს. სამაგიეროდ, თითქოს მხსნელად მოვევლინეო, ისე მესალმება. ვირ-
ზე მჯდარი წვერებმოშვებული ბერიკაცის გადაღებას აპირებს ძველი სახ-
ლების ფონზე. გადაღებას კი აპირებს, მაგრამ ეს არც ისე ადვილი საქმეა.

— მინდა სურათი გადავუღო, მაგრამ უარს მეუბნება. მაინც რატომ?
— მეკითხება დოქტორი რემუსი.

ღიჯ, ბერიკაცი უარზეა. არა, გადაღებით გადაუღონ, — დამახასია-
თებელი თავი აქვს და გამოჩენა არსად არ შერცხვება, — მხოლოდ ამ ძვე-
ლი და დაცხავებული სახლების ფონზე ნუ გამოჩნდება.

— მაგრამ ეს ხომ რომანტიკულია? — ეუბნება დოქტორი რემუსი.
— რომანტიკული კი არა ის არ გინდა! — ბრაზობს ბერიკაცი. მერე თი-
თით ლამაზ, თანამედროვე სახლებზე უჩვენებს და ცდილობს დოქტორ
რემუსს აუხსნას, აი ამ სახლების ფონზე მირჩევნია გადამიღო.

— მაგრამ ის ქოხი ხომ ნამდვილად რომანტიკულია, — მაინც თავი-
სას ადგას დოქტორი რემუსი.

— წარსულის დაცხავებული გადმონაშთი, — ავითატორივით გამ-
ბობ მე, — რომელსაც მალე დაანგრევენ და მის ადგილზე ასეთივე კოხ-
ტა, თანამედროვე სახლს წამოჭიბავენ.

ახლა, მგონია, ბერიკაცსაც სჯერა, რომ როგორც ჯგუფის ხელმძღვა-
ნელმა რუსული უნდა ვიცოდე. მესმის, რატომ არ უნდა მოხუცს ქოხის
წინ სურათი გადაულონ და დოქტორს ასე ვეუბნები: თქვენს მეზობლებს
სახლში ხომ ეგონებათ, თითქმის ბათუმში ყველა სახლი ასე გამოიყურე-
ბა. ამიტომ უარზეა ბერიკაცი.

— მე ხომ სხვა სახლებსაც გადავიღებ, — მეუბნება დოქტორი და
ვიცი, ასე მოიქცევა. მაგრამ როგორ გინდა გააგებინო ეს ბერიკაცს? ტი-
პიურობაზე ჟესტებით ვერ იკამათებ კაცი, ეს პრობლემა ენამჭევრობას
მოითხოვს. მაშინ ორთავე კომპრომისზე მიდის; დოქტორი ბერიკაცს რო-
მანტიკული ქოხის ან თანამედროვე სახლის ფონზე კი არა, ლამაზი პალ-
მის გვერდით უღებს სურათს. დაუვბრუნდეთ ბუნებას!

...აიხადა ფარდა, სცენაზე დაჰქრის ოციოდე ვაჟი. რა ტემპია! რა რო-
მანტიკულობა! კაცს სუნთქვა გეკვრის.

ნეტავ ისინი ხომ არ ცეკვავენ, ბაზარში რომ თამბაქოსა და ღვინოს
ჰყიდიან და მთებში დათვებზე ნადირობენ, ჯანიანი, ათლეტური აგებუ-
ლების ვაჟკაცები, რომელთაც ხელოვნების სიყვარულით ბუნებრიობისა-
თვის არ უღალატიათ. თითოეული ნომრის დაწყების შემდეგ დარბაზში
ჩურჩული გაისმის. საბჭოთა მაყურებლები ჩვენს უკან ერთმანეთს ეუბ-
ნებიან ცეკვის სახელწოდებას. აჰ, როგორც ჩანს, ხალხური ხელოვნება
სამუზეუმო საკუთრება კი არაა, განსაკუთრებული შემთხვევის გამო რომ
გამოამხეურებენ ხოლმე. ყოველი ცეკვის შემდეგ ტამის გრიალი კიდევ
ერთხელ გვარწმუნებს, რომ ჩვენი თუ საბჭოთა ჯაზის ტრფიალი ისევე
აღტაცებულა, როგორც ხანშიშესულები, ჩა-ჩა-ჩაც რომ სიგიჟედ ეჩვენე-
ბათ. მარტო ფსიქიატრი ვერ ისვენებს ერთ ადგილზე და სულ იმას მეკი-
თხება, ლამაზკანჭიანი ქალიშვილები როდისღა გამოვლენო.

— აი, ახლა, — ვეუბნები მე, თუმცა ჩემს ხმას დამაჯერებლობა აკლია.

მართლაც გამოვიდნენ, მაგრამ გრძელი, თავისუფალი კაბები აცვიათ
და უფრო ხელებს ამოძრავებენ, ვიდრე ფეხებს. მთავარი როლი მაინც მა-
მაკაცებს აკისრიათ. არცაა გასაკვირი. ეს ცეკვები ხომ ძველისძველია, იმ
დროისა როცა ქალი მაშინღა ამოიღებდა ხმას, ქმარი რომ რაიმეს შე-
ეკითხებოდა.

ყველაფერი ეს რომ დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა, გარეთ გასვლისას დავრწმუნდი, როცა ახალგაზრდა ქართველმა ქალმა თავისი ქმარი კარგა ლამაზად შეახურა. შეიძლება მან სხვა ქალს დაადგა თვალი, მაგრამ ნებ სულაც ამხანაგებთან ჭუჭყუკი უნდოდა. ასეა თუ ისე, ახლა თავჩალუნული მისდევს თავის მშვენიერ მეორე ნახევარს.

საუცხოო ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებულ ჩვენს უფროსს ახლაც დაწყობილი მივყავართ ნავსადგურისაკენ. ესაა მხოლოდ, უდისციპლინო ტურისტები ჯგუფებად და ქვეჯგუფებად ბრუნდებიან უკან. მეც ეს მინდა. გასასვლელთან ვდგავარ და მზეთუნახავს ველოდები. დღეს შენ მას აკოცებ! — ვეუბნები ჩემს თავს.

მაგრამ მის მოსვლამდე სიბილემ დამინახა და, რა თქმა უნდა, მანამდე ფეხს ითრევს, სანამ ყველა გაიკრიფებოდეს. შემდეგ უტიფრად მეუბნება, რა ვქნა გემამდე გზას ვერაფრით ვერ გავაკვლევო.

— კარგი, წავიდეთ, — ბედს ვემორჩილები მე. ბრიგადის წევრებმა და მედიკებმა ალბათ ხელში ჩაიგდეს მზეთუნახავი და აღარ მოეშვენენ. მას მხოლოდ მეორე დილით მოვკარი თვალი, როცა ერთ კოლონად დაწყობილი თერთმეტი ავტობუსით ბოტანიკური ბაღისაკენ გავემგზავრეთ. მაგრამ ბაღი იმოდენაა, მზეთუნახავთან შეხვედრის იმედი სრულიადაც არა მაქვს. ჩვენმა გიდმა გაიგო, რომ ჯგუფში ბოტანიკოსები გვყოლია. ასე რომ, ახლა ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან ცოდნაში და კითხვა-პასუხს თავი და ბოლო აღარ უჩანს. ჩვენ ჯერ ბაღის ევროპული განყოფილება არ მოგვითავებია, სხვებმა კი უკვე აზიაც გადაიარეს.

მხოლოდ ევროპისა და აზიის ფლორა როდის ხარობს ამ საოცარ კლიმატურ პირობებში, აქ მსოფლიოს ყველა კუთხის მცენარეულობაა წარმოდგენილი. თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე ერთიმეორის გვერდით ცოცხლობენ და თავიანთი მარადმწვანე პარმონიულობის მაგალითს აძლევენ სხვა ნებისმიერ ინტერნაციონალურ საკრებულოს.

— ევკალიპტის ხე ბუნებრივი ტუმბოა, — უზადო გერმანულით გვიხსნის ბოტანიკოსი, — იგი უხვად ისრუტავს ტენს ჰაერიდან და უწყლო ნიადაგში შეაქვს...

ეს განმარტება საკმარისია, რომ ევკალიპტმა უფრო გამაოცოს, იერომირს კი პირიქით, დაწვრილებით უნდა მოისმინოს ყველაფერი. ბოტანიკოსი სიამოვნებით ასრულებს მის თხოვნას. აბა, რომელი მეცნიერი დაეჭვდებოდა მონაყოლის სისწორეში? სანამ ევკალიპტის ხეს ძირიანფესვიანად „არჩევენ“, ყოველ შემთხვევაში თეორიულად მაინც — შეუმჩნე-

ვლად ვიპარები და დავეხეტები ავსტრალიასა და ამერიკაში, ავსტრალიის
 ბანანის ჭალებში. აქ ისეთი სიხუმეა და გრილა, რომ სინდისის ქეჩენს, ბედ-
 ნიერების ამოძახილებით ვაყუჩებ, ვხვდები რამდენიმე კაცს, რომლებიც
 ჩემსავით ექსკურსიას გამოქცევიან და ამ აუწერელი სილამაზის ბუნებით
 ტკბებიან. სხვათა შორის, ბადის დამაარსებლებს ჩვენზედაც უფიქრიათ:
 ვერსად ნახავ წარწერებს ლათინურ ენაზე. უკვე დავიწყებული სკოლის გა-
 კვეთილებს რომ გაგონებენ, და არც ის წარწერებია, ჩვენში რომ ყველა
 უბადრუკ პარკში ჰკიდია: „ყვავილების მოწყვეტა სასტიკად აკრძალულია“.

გერმანიულიდან თარგმნა **ბ. მახუტაძემ**.



ზაქრო ქაქერაძე

დრონი მეფობენ

დღეები ასე მიდიან ზანტად
და განშორების გვაფენენ წუხილს...
ასე თანდათან, ასე ანაზღად
ვემშვიდობები პირველ წვას, დუდილს.
მაგრამ რაც დრო-ჟამს გამოეკვერა, —
აბოლდა, როგორც სხივებით თოვლი.
ვერც მისწვდებოდა სხვა ბედისწერას...
დრონი მეფობენ გამგებნი ყოვლის!



მოხუცი მეთევზის ზიქრები

ყველაფერს თავისი ისტორია აქვს. ეს ითქმის მეთევზეობაზეც, ზღვაზეც... ამ ლოდზეც კი, ნაპირზე რომ გდია და ტალღები უმოწყალოდ ეხეთქებიან.

იბრაიმ სეიდიშვილს ხომ მით უფრო აქვს თავისი ბიოგრაფია, თავისი ისტორია...

იგი დაიბადა ბათუმში 1895 წელს; დაიბადა აქ, აი, ახლა რომ დგას, ზღვის ნაპირზე, ნავსაყუდელთან; არა, ცოტა მოშორებით, მაშინდელ ბაქოს ქუჩაზე, მაგრამ რაც თავი ახსოვს, ამ ადგილის ტრფიალია და ასე ჰგონია, მისი აკვანი აქ დაირწა.

აქედან ხელისგულივით მოჩანს უსაზღვროდ გაშლილი, ლურჯად მოლივლივე შავი ზღვა.

საოცარია, რატომ უწოდებენ შავს — ის ხომ ლურჯია. იქნებ თვალე-ბი ატყუებს? ო, არა, ნამდვილად არა — ნახევარ საუკუნეზე მეტია, ამ ზღვას დაჰყურებს და მუდამ ასე ლურჯია. ლურჯია და რალაცნაირი ანდამატური მიმზიდველობა აქვს.

ახსოვს იბრაიმს — თხუთმეტი წლის ჭაბუკი იყო მაშინ: მამამ ორთა-ბათუმში წაიყვანა და ხასან-ალა ქიქავას სახლში გახსნილ სკოლაში მიაბა-რა. მიაბარა იმიტომ, რომ ეშინოდა, ზღვაში არ დამეხრჩოსო, თორემ ახ-მედს იბრაიმს გარდა შვიდი შვილი აწვა კისერზე. ყველასათვის რომ ეს-წავლებინა, თანაც ოჯახი ერჩინა, ამდენს იმ ერთი ძველი და პატარა ნა-ვის შემოსავალი რას აუთავდებოდა! ნავი მარტო მისიც არ იყო — ორი მო-ზიარე ყავდა.

ახმედმა ზღვის სიყვარული მაინც ვერ დაავიწყა ჭაბუკს — გული ბათუმისაკენ მიუწევდა, ლურჯად მოლივლივე ზღვის ტალღებში შედვა-ფუნება და განავარდება ეწადა.

და რა მისი ბრალია, ამ უსაზღვრო ლტოლვამ დასჯაბნა — მესამე წელს სწავლა მიატოვებინა.

დანის წვერზე ეგებოდა მამა — ის და მისი უფროსი ვაჟიშვილი ხუ-

სეინი მეთევზეები იყვნენ და არაფერი გამოსდიოდათ, იბრაიმსაც რომ მე-
თევზეობა ესწავლა, რა ჯანდაბად უნდოდა, რა ყრია მასში! 150 მეტრის
სიგრძისა და ორი მეტრის სიმაღლის სამი წყება ბადე აქვს ^{გაქვს} ~~აქვს~~ ^{აქვს} ~~აქვს~~
რის საღამოს და დილით რომ ამოსაღებად მიაკითხავს, გული შეუღონდ-
ება — თევზი ან სულ არ გაბმულა, ანდა ათიოდე ლიფსიტაა. რამდენჯერ
ბადეც კი არ დახვედრია, შტორმს გაუტაცნია და დაკარგულა. ერთი წყე-
ბა ბადე ოთხი ნაჭრისაგან შედგებოდა. თითო ნაჭერი რამდენიმე მეტრი
იყო და საწყალ ახმედს დღეში 10-12 საათი უნდა ემუშავნა, რომ დაახ-
ლოებით ოც დღეში მოექცოვა. ეს კიდეც კაი ვაჟკაცობად ითვლებოდა. ყა-
ვის დასალევადაც კი ვერ იცლიდა, ხელში მუდამ კემსი ეჭირა.

თავისას მაინც არ იშლიდა იბრაიმი; მამამ რომ ზღვაზე არ წაიყვანა,
ნავის ტრიუმში ჩაიპარა, მაგრამ დახეთ უბედურებას: ნაპირს რომ კარგა
მანძილით მოშორდნენ, ღელვამ ცუდად იმოქმედა, ლებინება დააწყებინა,
ახველებდა, ბორგავდა. ახმედმა ნიჩბების მოსმას თავი ანება და სმენად
იქცა. პირველად ეგონა თუ მომესმავო, მაგრამ შემდეგ შვილის ხმა ნათლად
გაიგონა და ტრიუმს მივარდა. იბრაიმი ცოცხალ-მკვდარი იყო, ძლივს სუ-
ნთქავდა და ახმედს შეეცოდა, თანაც მეგობრებმა თხოვეს, არ გალახო.
რალას იზამდა? მოაბრუნა ნავი და ნაპირზე გამოიყვანა. მერე ისევ ზღვას
მიაშურა და დაღამებამდე ძლივს მოასწრეს ბადის ჩადება.

მეორეჯერ თუ გაბედავდა ტრიუმში ჩაძვრომას, აღარ ეგონა, და რო-
ცა ერთხელ კიდეც იბრაიმმა ტრიუმიდან თავი ამოყო, ახმედი ერთხანს
გაოგნებული იდგა, თვალს არ უჯერებდა. მერე სახეზე წამოენთო და ხუ-
სეინი რომ არა, იბრაიმი შემოაკვდებოდა: უფროსი ძმა წინ გადაეღობა.

მერე მამა-შვილი ზღვაზე გასვლისას ტრიუმს საგულდაგულოდ ამო-
წმებდნენ და კუთხეში მიყუჟულ იბრაიმს რომ დალანდავდნენ, თით-
ქოს დიდი ღორჯო იყო, ზევით ამოათრევდნენ და ნაპირზე ისროდნენ. მა-
გრამ ზოგჯერ ტრიუმის გასინჯვა ავიწყლებოდათ. ბოლოს ცემაც მობე-
ზრდათ, თანაც ეცოდებოდათ და თუ გაძრომას მოახერხებდა, უკან აღარ
აბრუნებდნენ, ოღონდ სასტიკად აფრთხილებდნენ, მანდ დაეგდე, ფეხი
არ გაანძრიო.

იბრაიმს ძალიან უჭირდა „შინაპატიმრობა“, მაგრამ მაინც კმაყოფი-
ლი რჩებოდა — შეეძლო ეცქირა, როგორ თევზაობდნენ.

ო, რა სიხარული განიცადა, როცა ახმედმა, ხუსეინმა და იბრაიმის ბი-
ძამ მუსტაფა სეიდისვილმა ტრიუმი და წავიც მსხვილი სტავრიდულებით
ავსეს. საცოდავები, რა რიგ ხტუნავდნენ, ნავის კედლებს თავს ვამეტე-
ბით უხატუენდნენ, ლაყუჩებიდან სისხლი სდიოდათ. სისხლი რომ და-
ინახა, სიხარული მწუხარებით შეეცვალა, გული აუჩუყდა, თვლებზე
ცრემლებიც მოადგა და მეთევზეებს წყენით გახედა — რა უღმერთობაა,
ესენიც ხომ ცოცხალი არსებანი არიანო.

მაგრამ ნათქვამია, ადამიანი ყველაფერს ეჩვევაო და შემდეგ იბრამს თევზი ისე ძალუმაღ აღარ ეცოდებოდა.

ვერაფერი გააწყო მამასთან — იგი კვლავ უშლიდა ^{ერქიწნულს} შვილს ^{მისთვის} ვასვლას. ამიტომ ვილაც-ვილაცებს ეხვეწებოდა და მამის უჩუმრად დაუვებოდა. ბოლოს პატარ-პატარა ძველი ბადის ნაჭრები იშოვნა და ოცდაათი მეტრი სიგრძის ბადე შეაკოწიწა.

სიხარულით ცას ეწია. იგი უკვე დამოუკიდებელი მეთევზე იყო, თავისი ბადე ჰქონდა.

იბრაიმისათვის ის ბადე ყველაფერს წარმოადგენდა. ოღონდ როგორ გამოეყენებინა, აი ეს იყო საქმე.

ღმერთო, გაჭირვებულს ხელი მოუმართეო, და იბრაიმსაც გამოუჩნდნენ მშველელები — მუსტაფი და ხუსეინი. მათ თავიანთი ბადეები რომ ჩადეს, ზედ იბრაიმის ბადეც წააბეს.

— ბედი გქონია, ჩემო იბრაიმ, ბედი! — შესძახა მუსტაფ სეიდი-შვილმა. — შენს ბადეში სამი მოზრდილი კამბალა გაბმულა.

აი, პირველი და უდიდესი სიხარული!

იბრაიმმა თევზი გაყიდა და ფული ხუსეინს ჩააბარა, შემინახეო.

მეორეჯერ ბედმა შვიდი თავი კამბალა არგუნა. მესამედ კი...

ეკ. დიდ სიხარულს დიდი მწუხარებაც მოჰყვებოდა და ასეც მოხდა — თევზს ვინღა დაეძებდა, ბადის ნაფლეთი მაინც ენახა.

რა კარგია ზღვა, ღელვა რომ არ იცოდეს, რა კარგია ზღვა, ადამიანი რომ ებრალეობდეს, ანგარიშს უწევდეს!

ზღვა უტალღებოდ არ არსებობს. მაშინაც კი, როცა საოცრად მშვიდი გეჩვენებთ, აბა დააკვირდით, საიდანღაც ჩქამს მაინც გაიგონებთ — სუსტი, ღონემბზილი, თითქმის შეუმჩნეველი ტალღა წყლის ზედაპირზე ოდნავ ამოიბურცება და ნაპირისაკენ გაიწევის.

დიახ, ტალღა ზღვის განუყრელი თანამგზავრია და ადამიანსაც უჩნდება ხოლმე ასეთი თანამგზავრი. იბრაიმსაც აეტორლიალა ზღვის სიყვარული და უკვე ძნელი იყო მისი კლანჭებიდან თავის დახსნა.

ამას ხედავდა მამა და ღუმილი დასჩემდა. ღუმილი კი თანხმობის ნიშანია. მაგრამ ჯიუტი იყო ახმედი. ჯიუტი კი არა, თავისი თავმოყვარეობა ჰქონდა — რაკი შვილს ერთხელ უარი უთხრა, აღარ უნდოდა, თავისი სიტყვა უკან წადო. ისე კი, ახლა რომ ეთხოვა, ხმასაც არ ამოიღებდა, მაგრამ იბრაიმი მუდამ მორიდებული იყო მამის მიმართ. და არა მარტო მამის, — უფროსების მიმართაც. ხუსეინისაც ერიდებოდა.

ძმა ძმისთვისო, ნათქვამია და ხუსეინი მხარში ამოუდგა იბრაიმს — მიბარებულს თავისი ფულიც დაუმატა და ძმას ახალი ბადე აყიდვინა, მოსადები ბადე. მერე ერთ მსხვილ მეთევზეს მოელაპარაკა და ამ უკანასკნელმა იბრაიმის შეამხანაგებაზე თანხმობა განაცხადა.

ამ მეთევზეს იბრაიმი ყოველდღე მიყვებოდა წილზე; მასზე ^{წილზე} ბადაც არ მუშაობდა. არც მას ექცეოდნენ ცუდად — რასაც დიჭეოდნენ, გაყიდნენ და ძმურად იყოფდნენ.

გავიდა დრო და იბრაიმ სეიდიშვილს კაი მეთევზის სახელი გაუწავრა, მაგრამ სიღარიბე მაინც ვერ გადააგდო.

ო, რა ძნელია წარსულის მოგონება... ლუკმა-პურის შოვნა სჭირდა. მწუხარება მწუხარებას მოჰყვა: პირველი მსოფლიო ომის დროს იბრაიმს მომდევნო და სულბიე და მისი მეუღლე ხასან ჯაფარიძე იძულებით მოხვდნენ თურქეთში. ომის შემდეგ მხოლოდ ხასანი და მისი მცირეწლოვანი ძე ჰაიდარი დაბრუნდნენ. საშინელი სენი შეეკროდა სულბიეს. მერე ამ სენმა 24 წლის ხუსეინი და 20 წლის შაქირიც — უცოლშვილო ვაჟაკები იმსხვერპლა. ავადმყოფობას შეეწირა ღურსუნიც და დისა და ძმების საფლავებს დიდხანს დასტიროდა იბრაიმი. მოთქვამდა დედა, გოდებდა ახმედი. შვილების სიკვდილმა სიცოცხლე გაუნახევრა დედ-მამას...

მოთქმა-გოდებას ჰგავდა მეთევზეთა სიმღერაც და იბრაიმი ნატრობდა, კიდევ უფრო შორს წაეღოთ იგი ზღვის ტალღებს.

წაიღეს... და სიხარულად დაუბრუნდათ ექო — დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე თავისუფლების მზე ამობრწყინდა; წელში გაიმართნენ მეთევზეები — ახლა ისე შავხახადაღებული აღარ ეჩვენებოდათ ზღვა, ნადავლიც ხვავ-ბარაქიანი გახდა.

მეთევზეობას უძველეს დროიდან მისდევს ადამიანი. იბრაიმს სმენია, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე-პირველი საუკუნეების გამოჩენილ ბერძენ ისტორიკოსებს მოსინიკების სახლებში დიდ ქილებში ჩადებული, დაჭრილი და დამარილებული ზღვის ღორის ანუ დელფინის ხორცი უნახავთ. დოქებში კი ამ თევზის ქონი ჰქონიათ შენახული, რომელსაც მცხოვრებლები ერბოს მაგივრად ხმარობდნენ. ეს მოსინიკები ბათუმიდან რამდენიმე ათეული კილომეტრის მოშორებით, ახლანდელ ქალაქ რიზეს მახლობლად ცხოვრობდნენ. და იბრაიმს უხარია, რომ შესაძლებელია, ვივარაუდოთ, მეთევზეობა პირველად სადღაც აქ, მის კუთხეში დაიწყო. იბრაიმს ეამაყება, რომ თავისი სახელოვანი წინაპრების ტრადიცია გრძელდება. სეიდიშვილების გვარიდან ბევრი კარგი მეთევზე გამოსულა. ურიგო არც მასზე ითქმის; ამაზე მისი „წარჩინებული მეთევზის“ სამკერდე ნიშანი მეტყველებს, მეტყველებს მრავალი სიგელი, რომელიც დიდი ხნის შრომით მიიღო. იბრაიმს გული უსაზღვრო სიხარულით ევსება, რომ დღეს შესანიშნავ მეთევზეთა მთელი არმიაა, რომ ამ დიდმნიშვნელოვან დარგს კიდევ უფრო უკეთესი მომავალი აქვს.

იბრაიმს გუშინდელ დღესავით ახსოვს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, 1921 წლის 31 მაისს სახელმწიფომ თე-

ჯზის მრეწველობასა და მეთევზეობაზე დეკრეტი რომ გამოსცა. ამ დეკრეტმა ახალი გზები და ამოცანები დასახა.

მას შემდეგ მთავრობის ზრუნვა არ მოკლებიათ მეთევზეობის განვითარებას. არა, თავიდანვე ყველაფერი რიგზე როდი იყო: საბჭოთა მთავრობის პირველ წლებში მეთევზეობა ხელთ ეპყრათ კერძო მეწარმეებს. კულაკ მეთევზეებს. ისინი სარგებლობდნენ მეთევზეობა გაუნათლებლობითა და უვიცობით, მათზე ზეგავლენას ახდენდნენ და თავიანთი მიზნებისათვის იყენებდნენ. მაგრამ მდგომარეობა თანდათან სწორდებოდა; იღვეწოდნენ მეთევზეობა კულტურული და პოლიტიკური გათვითცნობიერებისათვის, წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრისათვის, მეთევზეობიდან იღვეწებოდნენ კულაკები, კაპიტალისტური ელემენტები, იქმნებოდა მეთევზეობა ამხანაგობები, პატარ-პატარა არტელები, იხსნებოდა თევზის მისაღებ-გადასამუშავებელი პუნქტები, წესრიგდებოდა თევზის ჩაბარება...

1925 წელს მეთევზეობი საკმაოდ მსხვილ ორგანიზაციაში — „აჭარ-წარმოკავშირში“ გაერთიანდნენ, რამაც ერთგვარად ხელი შეუწყო მეთევზეობის განვითარებას. მერე კი მეთევზეობა და მონადირეობა კავშირი შეიქმნა.

1929 წელს ბათუმში მოეწყო თევზის ქარხანა, რომელიც ახლადშემილი „საქთევზის“, შემდეგში „საქთევზტრესტის“ ბათუმის განყოფილების ძირითად ბაზას წარმოადგენდა. თევზის ქარხანას ევალებოდა საკუთარი ძალებით დაეჭირა, აგრეთვე მეთევზეობის კოლმეურნეობიდან შეესყიდა თევზი და გადაემუშავებინა.

მომდევნო წელს აჭარის მონადირეობა და მეთევზეობა კავშირს გამოეყენენ მეთევზეობი და ჩამოყალიბდა თევზმჭერი კოლმეურნეობა „წითელი მეთევზე“. მას მხარში ამოუდგნენ სარფის, გონიოს, მახინჯაურის, ქობულეთის, ფიჭვნარისა და შეკვეთილის თევზჭერის არტელები.

1931 წელს ბათუმში მუშაობას შეუდგა თევზის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევო სადგური, რომელიც ამჟამად საზღვაო თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს განყოფილებად იწოდება. იგი ახალგაზრდა მეთევზეობას მეცნიერულ კონსულტაციას უწევდა და ეხმარებოდა უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა გატარებაში. თევზის მრეწველობას მეზღვაურთა ახალ კადრებს უმზადებდა ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებელი, რომლის ისტორიაც 1929 წლიდან დაიწყო...

აი, ამ პირველი ნაბიჯების ცოცხალი მემკვიდრეა იბრაიმ სეიდიშვილი. დიახ, საქმე ძნელად, ძალიან ძნელად, მაგრამ მაინც წინ მიდიოდა. ამისათვის ძალ-ღონეს არ იშურებდნენ მეთევზეობი და ხელმძღვანელობა.

— ხელმძღვანელები... ხელმძღვანელები... — ბუტბუტებს იბრაიმი — ჰაი, დედასა, რა ბიჭები იყვნენ, მართლაც რომ რკინას კენეტდნენ კბილით, რა სიძნელეს, რა წინააღმდეგობას შეუღრკებოდნენ! ახალსაწყობი დავით მინდაძე, ბათუმის თევზის ქარხნის პირველი დირექტორი, რა ვაჟ-კაცი იყო! სანიმუშო საწარმო შექმნა, მიიზიდა გამოცდილი მეთევზეები და ისინი ბრიგადებში გააერთიანა. ჩვენი დავითი, კაცური კაცი, ჩვენი ჭირ-ვარამის მოზიარე. როგორ შეიძლებოდა, მეთევზეს გაჭირვებოდა და მასთან არ გაჩენილიყო. ყველას მხარში ედგა ზღვასა თუ ხმელეთზე.

ანდა კოლმეურნეობა „წითელი მეთევზის“ გამგეობის პირველი თავმჯდომარე ბორის ყურული! მან ხომ პირველი ხნული გაავლო. მერე ამ ხნულს თანდათან აღრმავებდნენ ისაკ ვარდანაშვილი, ნიკოლოზ ამირიდი, ხასან კიტაზბა, ალექსანდრე შანიძე, ალექსანდრე ვაჩიშვილი და აკაკი კილასონია.

1962 წელს კოლმეურნეობა „წითელი მეთევზის“ გამგეობას სათავეში ჩაუდგა დიდ სამამულო ომში გამოწრთობილი მეზღვაური, სადესანტო კატარღის მამაცი და უშიშარი კაპიტანი ახმედ წუწუნავა. იგი მთავარ ყურადღებას, რა თქმა უნდა, თევზჭერის შემდგომ განვითარებას აქცევს. მაგრამ ამასთანვე გამოძებნა და ამოქმედა ახალი რეზერვები, შექმნა დამხმარე მეურნეობა. ამან კი კოლმეურნეობა მილიონერი გახადა.

ეჰე, რას ნიშნავს დრო: ცხოვრება როგორ წინ წავიდა, განვითარდა ტექნიკა. ის კი არა და აღმაინამა მთვარეზეც კი დაადგა ფეხი. გესმით? აღმაინა მთვარეზე!.. ეს საოცრებაა, ეს ზღაპარშიაც არ გაუგონია იბრაიმს — ამ დროულ კაცს, ბევრის მომსწრესა და მნახველს. ახლა მარსსა და ვენერაზე გაფრენა დგას დღის წესრიგში; უწინ კი მოტორიანი ნავი რომ მიიღეს, სიხარულით ცრემლები მოერიათ. მერე ხის სეინერები გამოჩნდნენ ჰორიზონტზე. ისინი რკინისკორპუსიანმა მძლავრმა შავი ზღვის საშუალო სეინერებმა შეცვალეს. 1963 წელს კი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან „შოთა რუსთაველი“ ჩამოგუგუნდა. ეს იყო საქართველოს მეთევზეობის ისტორიაში ტროპიკის ტიპის პირველი საოკეანო თევზჭერის დიდი ტრაულერი, რომლის ეკიპაჟმა ოკეანე დალაშქრა და საქვეყნოდ გაითქვა სახელი.

ეს დიდი საჩუქარი ბათუმელმა მეთევზეებმა მიიღეს და საოკეანო თევზჭერის პიონერები გახდნენ საქართველოში.

აგერ ახლა ბათუმის სახელმწიფო თევზჭერის ბაზამ ასეთივე ტიპის მეორე ტრაულერი მიიღო, რომელსაც აჭარის მშრომელთა შესანიშნავი წარმატებების აღსანიშნავად ჩვენი კოპწია ბათუმის სახელი მიენიჭა.

ერთ რამეზე ძალიან წყდება გული იბრაიმს — სწორედ მეზღვაურის დღის დაწესების წინ გავიდა პენსიაში. რა იქნებოდა, პირველ დღესასწაულს მაინც შეხვედროდა შრომის ფერხულში?!

მაგრამ არა უშავს რა — მისი მიმდევრები ხომ ხვდებიან. პოლ... ეს იგივე იბრაიმის შეხვედრაა. მიმდევარი ბევრი ყავს, ძალიან ბევრი მერე რა ვაუჟაცები! მათ სახელი გაითქვეს იმ ბადით, რომელიც ქვემოთ იბრაიმ სეიდიშვილმა გამოიგონა. ეს ბადე თავისი სიდიდით პირველი აზოვ-შავი ზღვის აუზში. მერე იგი ფართოდ გავრცელდა და მეთევზეები არნახულ წარმატებებს აღწევდნენ. მართალია, პირველად 350 მეტრი სიგრძისა იყო და ახლა 750 მეტრს აღემატება, თანდათან გაუმჯობესდა, მაგრამ მთავარი ხომ საქმის დაწყება, ყამირ მიწაზე პირველი ხნულის გავლებათა? ბუნების კანონია: ერთის დაწყებულ საქმეს მეორე აგრძელებს და აუმჯობესებს. ასე იქმნება ისტორია.

და იბრაიმს უხარია, რომ მეთევზეობის ისტორიაში მცირეოდენი წვლილი მასაც მიუძღვის.

დიახ, ყველაფერს თავისი ისტორია აქვს — ქალაქს, ზღვას, მდინარეს, გემს... იბრაიმ სეიდიშვილს... ამ დიდ ლოდსაც კი, რომელიც ნაპირზე გდია და საცაა ხავსი დაახრჩობს.

თქვენ ალბათ წაიკითხავდით ლექსს „იბრაიმ“. იგი სეიდიშვილს მიუძღვნა პოეტმა.

იბრაიმს თვალეზე ცრემლები ადგება. რატომ? რატომ და ამ ლექსში მთელი მისი ცხოვრებაა ჩაქსოვილი. ცხოვრება კი ადამიანის ისტორიაა...

1934 წელს ბათუმიდან ანაკლიაში ექსპედიცია მიდიოდა. მოტოფელუკას ხუთი ნავი ყავდა ჩამობმული. თითოეულ მათგანში ხუთ-ხუთი კაცი იჯდა, რამდენიმე ფელუკაზე იყო. ამ მეთევზეებმა იცოდნენ, რა სიძნელეები მოელოდათ; იცოდნენ, რომ ეს რეისი შეიძლება მათთვის უკანასკნელიც ყოფილიყო. მაგრამ მაინც უშიშრად მიაპობდნენ ზღვის ტალღებს. მიდიოდნენ იმ მიზნით, რომ ახლადგებადგმულ სამშობლოს სუფრას არ მოკლებოდა მრავალფეროვნება; მიდიოდნენ იმიტომ, რომ ქვეყანას ჰქონოდა ხვავი და ბარაქა. ქობულეთს რომ გაცდნენ, დაღამდა. მალთაყვას უახლოვდებოდნენ. უეცრად ქარიშხალი ამოვარდა. სტიქიასთან უთანასწორო ბრძოლაში ერთი ნავიდან ოთხი ვაჟკაცი დაიღუპა, მეხუთე კი გადაარჩა — ჰაიდარ ლაშბა. იგი დღესაც მკლავმოუღლეოდ მუშაობს. ეს სიმხნევეს მატებს სხვებს, განსაკუთრებით ახალბედებს. და საქმე წინ მიდის.

1945 წელს ქერჩის ექსპედიციაში ფაშისტების ნაღმს დაეჯახა თევზით დატვირთული სეინერი, რომელიც ნაფლევებად იქცა. ეკიპაჟის წევრები წყალში ჩაცვივდნენ და სასწაულებრივ გადარჩნენ. დაიღუპა მხოლოდ ქობულეთელი ვაჟკაცი მეთევზე ჯემალ ემირიძე. მისი სახელის უკვდავსაყოფად მეთევზეებმა ერთ-ერთ ახალ მოტოფელუკას „ჯემალი“ შე-

არქვეს. მასზე მოხვედრა ყველა მეთევზის სანუკვარი ოცნება და მი-
ეკიპაჟი გმირული შრომის ბრწყინვალე მაგალითს იძლეოდა. და ისტორია
თევზის ისტორია: მეთევზეს ყოველ წუთში ხიფათი ელის. იბრაიმი რამ-
დენჯერ სიკვდილის პირისპირ მდგარა, მაგრამ გული მაინც ზღვისაკენ მი-
უწევდა — თუ ნამდვილი მეთევზე ხარ, როგორც თევზი, ვერც შენ უნდა
გაძლო უწყლოდ.

იბრაიმს უყვარს ზღვა და ასე ჰგონია, მისი აკვანი აქ დაირწა, ზღვის
ნაპირზე, ნავსაყუდელთან. მან ნახევარ საუკუნეზე მეტი, მისი ცხოვრების
ყველაზე ძვირფასი წლები ზღვაზე გაატარა და ზღვის სიყვარული, ზღვის
სუნთქვა ზღვის მარილიანი წყლით დამბალ ძარღვებში აქვს გამჯდარი.

იბრაიმი დინჯად გაჰყურებს ნავსაყუდელს და მისი სიმშვენიერით
ტკბება: ყალყზე შემდგარან სეინერები, რომლებსაც კიჩოებზე გამობმუ-
ლი მსხვილი ჯაჭვების გრძელი სადავეებით ძლივს იმაგრებენ წყალში გა-
რთხმული ღუშები.

ამ „ავაზებზე“ მკლავმოუღლეოდ შრომობდა იბრაიმი და მისი ბრი-
გადა ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იყო. ამ ლურჯად მოლივლივე, მა-
გრამ, ზოგჯერ გიჟმაჟ და ფაფარაყრილ ზღვაზე ნახევარ საუკუნეზე მეტი
იშრომა იბრაიმ სეიდიშვილმა. ბევრჯერ სიკვდილისათვის თვალი თვალში
გაუყრია და წარბიც არ შეუხრია, ერთხელაც არ შემდრკალა. და კიდევ
ნახევარი საუკუნის სიცოცხლე რომ მისცა, თვალი და მუხლი რომ უჭრი-
დეს, კვლავ მეთევზის ხიფათებით საცხე გზას დაადგებოდა უყოყმანოდ,
კვლავ მებადურის ბედს აირჩევდა, რომ ბათუმის ნავსაყუდელმა მხრები
გაშალოს, მის ცისფერ უბეში საოკეანო ტრაულერები არ ეტეოდეს და
შუა ზღვამდე მკერდი გაიწვდინოს, რომ ბათუმელი მეთევზეები გიგანტუ-
რი ტრაულერებით მიაბოტებდნენ შორეული ატლანტის, ინდოეთისა თუ
წყნარი ოკეანის თვალუწვდენ სივრცეებზე და ავსებდნენ ჩვენი ქვეყნის
სიუხვის თასს...

იბრაიმ სეიდიშვილი თავიდან შეუდგებოდა მებადურის ცხოვრებას
და შექმნიდა ახალ ისტორიას, მაგრამ იგი ახლა დაღლილია და ისვენებს.
ისტორიას კი სხვები აგრძელებენ — მისი მოწაფეები, მიმდევრები, ახალი
ადამიანები, ზღვის მეუფეები!..



ნელი ლუგაძე

ნოველის დიდოსტატი

გამოჩენილი ქართველი მწერალი სერგო კლდიაშვილი, როგორც ცნობილია, არა მარტო ნოველების ავტორია, არამედ მოთხრობებისა და პიესებისაც. მაგრამ თუ მწერლის შემოქმედებითი გზის გასათვალისწინებლად ნოველები ავიღეთ, ჯერ ერთი იმიტომ, რომ თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა მან ნოველებით დაიწყო და თანმიმდევრულად მიყვება ამ ჟანრს, ამასთან მწერლის შემოქმედებითი უნარი და მხატვრული ნიჭი, ჩვენი აზრით, ყველაზე მეტად ნოველის ჟანრს მოერგო. ისიც უურადასაღებია, რომ სწორედ ნოველებში ჩანს წინააღმდეგობები, რომლებიც ს. კლდიაშვილმა გამოიარა სიმბოლიზმიდან სოციალისტურ რეალიზმამდე.

ს. კლდიაშვილი ქართველი სიმბოლისტების კორპორაციაში 1916 წლიდანვე, ე. ი. ამ დეკადენტური დაჯგუფების ჩამოყალიბებიდანვე შევიდა, მაგრამ ჟურნალ „ცისფერ ყანაებში“, რომლის სულ ორი ნომერი გამოიცა ქუთაისში, მისი ნაწარმოები არ დაბეჭდილა. სადებიუტო ესკიზების ბეჭდვა ახალბედა მწერალმა დაიწყო ქართველი სიმბოლისტების რიგით მეორე ჟურნალში, რომელიც 1919 წლიდან თბილისში გამოდიოდა (რედაქტორი ვალერიან გაფრინდაშვილი) და ცნობილია „მეოცნებე ნიამოვების“ სახელწოდებით. ამ ჟურნალის მეორე ნომერში დაბეჭდილია სერგო კლდიაშვი-

ლის ესკიზი „მთვრალ საუბრით“ (გვ. 10), რომლის ერთი თვალის გადავლენაც კი ცხადყოფს ავტორის დეკადენტურ განწყობილებებს. მოგვაქვს ეს ესკიზი მთლიანად.

„დღეს ისევ მეგობრებში ვარ.

და, როგორც ყოველთვის, თრობა ფერად საუბარით. ო, ეს სიტყვებით დათრობა, ო, ეს საუბარი რჩეულ მეგობრებში.

ის მაღლარის წვეწვზე უტკბესი და ძლიერია. თამბაქოს კვამლი ამძიმებს ოთახს... აქ, პატარა ოთახში, კვამლით დამთვრალ ოთახში უცხო სამყაროა და ყოველი საათი, ყოველი წუთი ქარავანია ზღაპართა და ჭიშკრების. ოთახში თრთიან იღუმალი კუთხეები და ცხოვრობენ ლანდები, კედელზე ფრთხილად რომ დადიან... ცოცხლებიან ხავსიანი ქვეყნები და ჰკივიან ჯერ არ ნახული. დაორთქლილი ფანჯარა საზღვარია ორი სამყაროს. კვამლიან ოთახში, სადაც ჩემი მეგობრებია, ცოცხლებიან უცხო ქვეყნები — კვამლიან ოთახში, სადაც ჩემი მეგობრებია, გვწამს შეუძლებლობა. დღეს ისევ მეგობრებში ვარ... უსაზღვროების მშვიდი თავადი ფერადებით მთვრალ, ნაწამებ ოთახში“.

ასეთი გატაცება ელემენტარულ რეალურ საფუძველს მოკლებული ოცნებით, მისწრაფება უსაზღვროებისაკენ, რომელიც შეპირობებული იყო უსამართლო.

სოციალური ყოფის უარყოფით, თრობის აპოლოგია და სხვა მისთანანი — თანაბრად ახასიათებდათ ცისფერყანწულებს, მაგრამ თითოეულ მათგანს, ამ საერთოს გარდა, ინდივიდუალური შემოქმედებითი სტილი ჰქონდა.

ესკიზი „მთვრალ საუბრით“ დაწერილია ეგრეთ წოდებული „ამერიკული დეპეშური სტილით“, რომელიც აკვიატებული ჰქონდათ დასავლეთეუროპელ ექსპრესიონისტებსა და სიმბოლისტებს. „დეპეშური სტილის“ ავტორია სიმბოლისტი პეტრე ალტენბერგი. მისი თეორიის თანახმად პოეტს უნდა შეექმნა „ორიგინალური სტრიქონები“, რომლებიც შეიძლებაოდა ყოფილიყო ფრაგმენტი, აზრების, წინადადებების ან სიტყვის ნაწილი. რუსული სიმბოლიზმის ფუძემდებელმა ე. ბრიუსოვმა, როგორც ცნობილია, მთელი უკიდურესობით გაიზიარა პეტრე ალტენბერგის „დეპეშური სტილი“ და ლექსის ნაცვლად ჟურნალში «Русские символисты» დაბეჭდა წინადადება «О, закрой свои бледные и очи». უაზრობისა და სიტყვის ეკონომიის ამ დონემდე ქართველი სიმბოლისტები არ მისულან, მაგრამ ფრაგმენტები, რომლებსაც უმთავრესად სერგო კლდიაშვილი და სანდრო ცირეკიძე წერდნენ, „დეპეშური სტილის“ გაზიარების შედეგი იყო.

მისწრაფებამ არაჩვეულებრივისაკეხ, რაც მოდერნისტული ძიების საფარველი უფრო იყო, ვიდრე ნოვატორობა, ცისფერყანწულები და მათ შორის ს. კლდიაშვილიც შემოქმედებით ჩიხში მოამწყვდია. საკმარისია დავასახელოთ 1920 წლის „მეოცნებე ნიაშორების“ მეოთხე ნომერში დაბეჭდილი ესკიზი სათაურით „წმინდა ქალწულის ცისფერი გადმოხედვა ციდან ქვეყანაზე“. აქ არის მხოლოდ სათაური და მეტი არაფერი. სათაურს ქვემოთ ცარიელი სტრიქონებია და მინაწერი — p s „ძვირფასო სანდრო... — მიმართავს სერგო კლდიაშვილი თანამოკალმე სანდრო ცირეკიძეს, — სათაურსა და მინაწერს შუა, რომელიც ახლა ცარიელია, იყო სტრიქონები (აღბათ, რო-

მელთა დაწერა განზრახული ჰქონდა ნ. დ.), შენ იცი, რომ სიტყვა უფრო ძლიერად მათრობს ვიდრე უაზრულობის სურნელი ან ღვინო, როცა ჩვენი ყველა ვართ სარდაფში, მაგრამ აქ უნდა გამოეტყველ ჩემს სისტემაში, — მის ღვინოურ გადმოხედვას, რომელიც ვიგრძენი ერთ საღამოს, ვერ შევკადრებ ჩემს სტრიქონებს ძონძებიდან...“

რას ნიშნავს „სტრიქონები ძონძებიდან“? ხომ არ არის ეს სიტყვის უარყოფა? ფორმალური უარყოფა სიტყვისა უეჭველია — რაც ჰქონდა მწერალს სათქმელი, აღარ უთქვამს და ცარიელი ადგილი დაუტოვებია. მაგრამ სიტყვის, როგორც აზრის გამოხატვის საშუალებაზე უარის თქმა, როგორც ამას პოლ ვერლენი მოითხოვდა, აქ არ უნდა იგულისხმებოდეს. აქი იქვე ამბობს ს. კლდიაშვილი, რომ მას სიტყვა უფრო ძლიერად ათრობს, ვიდრე ყვავილის სურნელი ან ღვინო. მაშ, რა ჰქონდა მხედველობაში ავტორს, როცა წერდა — წმინდა ქალწულს ვერ შევკადრებ სტრიქონებს ძონძებიდან? იქნებ ღვთის მოკრძალება? არც ეს შეიძლება ვიფიქროთ, რადგან ს. ცირეკიძისადმი მიმართვა სწორედ ზეცის უარყოფით იწყება: „ჩემთვის ამ ქვეყნის გარდა არაფერი არის“, აცხადებს ს. კლდიაშვილი და დასძენს: მე ძალიან უბედური ვარ, რომ ვერ მივიღე ზეცა. ის ზმირად გამწვიდებს შენ. ჩემთვის კი ცარიელია“.

ასე რომ, გამოთქმა „სტრიქონები ძონძებიდან“ და მთელი ესკიზი (თუ კი შეიძლება ესკიზი ეწოდოს) ციტირებულ სათაურსა და მინაწერს) მკითხველისათვის ბუნდოვანია, ბუნდოვანება კი სიმბოლისტური „ესთეტიკის“ ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო.

ფრანგი სიმბოლისტებიდან ცისფერყანწულებმა არა მარტო ესთეტიკური ნაზრევი ისესხეს, არამედ მხატვრული სახეებიც. როგორც ცნობილია, სტეფან მალარმემ შექმნა ე. წ. „ოთახის ესთეტიკა“, ოთახის ნივთებიდან განსაკუთრებით გამოყო სარკე, როგორც ორეულეებისა და ლანდების გამომსახველი და იგე

სამყაროს აღქმის, შეცნობის ძირითად საშუალებად გამოაცხადა. სარკის ამგვარი გააზრება სიმბოლისტიკისათვის სრულიად ბუნებრივი იყო, მათ სწამდათ, რომელიმე ქვეყანა: რეალური და ირრეალური — ფანტასმაგორიული, მაგრამ აირჩიეს უკანასკნელი, რამდენადაც სძულდათ სინამდვილე, და, აი, სარკე, როგორც შთაგონების საგანი გამოჩნდა ე. გაფრინდაშვილის პოეზიაში (აღ. აბაშელთანაც) და ს. კლდიაშვილის ესკიზში — „ნატურ მორტი“ და სხვ.

სარკე ს. კლდიაშვილისთვისაც ლანდების, გარდასული დროისა და უსაზღვროების გამომსახველი საშუალება იყო: „კედლების იქეთ ღამეა და გახელებული ქარი, — ვკითხულობთ ესკიზში, — ცოცხლდებიან თეთრი ლარნაკები, გამშრალი კათხები, ძველი სურათები და თაროებიდან გადმოდიან ფრთხილი ნაბიჯებით, მორიდებით გადაივლიან ხალიჩებს და სარკეების უფსკრულში გადაიხედავენ. ეძებენ წარსულს მის უსაზღვროებაში, სადაც შენახულია დრო და სთვლემენ ლანდები...“

ქართველი სიმბოლისტიკისათვის წარსულით გატაცება და სარკის ლანდებში მისი ძიება, ამასთან სინამდვილისა და ცხოვრების უარყოფა თვითმიზნური არ ყოფილა. იგი გაპირობებული იყო სამშობლო ქვეყნის კოლონიური მდგომარეობით, დასავლეთეუროპელი და რუსი სიმბოლისტიკისაგან განსხვავებით ცისფერყანწლებს ჰქონდათ ნათლად ჩამოყრდნობული პოლიტიკური იდეალება, რომელთა ქვეყნობიდან იყო საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობა. ისინი ვერ ეგუებოდნენ ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას, მაგრამ ვერ სახავდნენ ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლების ქეშმარიტ გზას და ოცნებით ქმნიდნენ სისურველ მირაჟებს, სარკეში ეძიებდნენ უსაზღვროებას, სადაც ს. კლდიაშვილის სიტყვით რომ ეთქვამთ, „შენახულია დრო და სთვლემენ ლანდები“.

ამ პერიოდში (1919-1925) დაწერილი და გამოქვეყნებული ნაწარმოებებიდან, როგორიცაა „მზე ბალახინზე“, „დაბ-

რუნება“, „გონორარი ყელსახვევების“, „ტავერნა გზაჯვარედინზე“ და სხვ., პირველი ორი ესკიზი, ისევე როგორც განხილული ესკიზები, მწვერვალისკენ დენტურ განწყობილებებს შეიცავს, უსიუფეტოა. არც ამბავი, არც კვანძი, არც ფინალი, არის მხოლოდ ესკიზი, ლირიკული გმირის განცდათა ფრაგმენტები, ისიც ავადმყოფური და სტატიკურად წარმოსახული, ესაა და ეს. რაც შეეხება ორ უკანასკნელს — „გონორარი ყელსახვევისათვის“ (1925 წ.) და „ტავერნა გზაჯვარედინზე“ (1927 წ.) — გამონაკლისად უნდა მივიჩნიოთ. მათში ჩნდება ამბავი, რომელიც მართალია დუნედ, მაგრამ მაინც ვითარდება; ისახებიან პერსონაჟები, რომელთა ხასიათი აღარაა სტატიკური. მართალია, ისინი განიცდიან განწირულებას, ამაოებას და საკუთარი ცხოვრების უაზრობას, მაგრამ ისწრაფვიან გარკვეული მიზნისაკენ და, რაც მთავარია, მოქმედებენ ასე, რომ წერის რეალისტური, მართალია სუსტი, მაგრამ მაინც რეალისტური მანერა ჯერ კიდევ მაშინ გამოჩნდა ს. კლდიაშვილს, როცა სიმბოლიზმის გავლენისაგან თავისუფალი არ იყო. მოვიტანთ მაგალითს ნოველიდან „გონორარი ხელსახვევისათვის“.

„როცა ქალაქის უფროსი ამალით გაივლიდა მთავარ მოედანზე, დიდი საათი ტაძრის მაღალ კედლიდან დარეკდა თორმეტს. მრავალი მოქალაქე საგანგებოდ მიდიოდა ამ დროისათვის მოედანზე, რომ დაენახათ როგორ გაივლიდა გაჟღერულ პარიკით თავდახურული მაღალი ხმელი უფროსი. შეწყდებოდა წუთით ვაჭრების ყაყანი, მოქალაქეთა მოძრაობა, დარბოდა მხოლოდ ერთი: ეს იყო მოედნის დამგველი, რომელიც თუ ვერ მოასწრებდა დავას, დახტოდა ქალაქის უფროსის წინ და ნავავს წინსაფარში იყრიდა. ეს იცოდა უფროსმა და მოსწონდა კიდევ“...

ციტირებული სურათი საინტერესოა იმით, რომ მასში ჩანს თუ როგორ გაიზარდა ს. კლდიაშვილის, როგორც მხატვრის, ინტერესთა სფერო. იგი დაინ-

ტერესდა სოციალ-პოლიტიკური საკითხებით. ეს ცხოვრებასთან, რეალურ სინამდვილესთან მჭერის უშუალო კავშირის მომასწავებელი იყო. და, აი, 1925 წლიდან მოკიდებული, იმ დროის სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში („დროშა“, „მნათობი“, „ნადირობა“ და სხვ.) სისტემატურად იბეჭდებოდა ს. კლდიაშვილის ესკიზები და ნოველები, რომელთა თემა არსებითად განსხვავდებოდა წინა პერიოდის თემებისაგან. რა თქმა უნდა, თემა ყველაფერი როდია. მთავარია მწერლის დამოკიდებულება თემისადმი, რა თვალსაზრისით აშუქებს მას, გვიჩვენებს თუ არა მოვლენებს განვითარებაში, იცავს თუ არა მხატვარი ცნოვრების სიმართლეს? ავიღოთ ნოველა „1921 წელი“ (დაბეჭდილია ჟურნალში „დროშა“ 1925, № 24). აღწერილია სადგური, მატარებლების მიმოსვლა, მგზავრების ხეტიალი, დავიდარაბა, მენშევიკური მთავრობის გაქცევა ბათუმიდან. „მიმავალმა მთავრობამ — წერს ს. კლდიაშვილი, — აზიზებს მოედანზე გამოსათხოვარი პარადი გამართა... გამოაცხადეს, რომ მსურველს შეეძლო გაპყოლოდა უცხოეთში მიმავალ მთავრობას“. გიორგი და მიხო გადაწყვეტენ გაჰყვენ უცხოეთის გემებს. ემშვიდობებიან ამხანაგებს. მიდიან. „შეუხვედრს ნავსადგურისაკენ და დინახეს გაჩაღებული გემები. მიხო გადაუდგა გიორგის და შეჰყვირა — დაბრუნდი, მაგრამ მათი გზები დაშორდნენ. მიხო მარტო დაბრუნდა ლუბხანაში მეგობრებთან...“ აქ, როგორც იტყვიან, კინოლენტეივით გაიბნენს მეთხველის თვალწინ ცნობილი ისტორიული ფაქტი — 1921 წელს მენშევიკური მთავრობის კრაზი და უცხოეთში გაქცევა. მწერალი დაინტერესებულია თვით მოვლენის ჩვენებით, მაგრამ ხანგრძლივად როდი ჩერდება ერთ რომელიმე მომენტზე. მომდევნო სურათში ვეცნობით მენშევიკების ხანმოკლე ბატონობის პერიოდში ჯარის ნაწილების დემორალიზაციას, მხატვარს სურს ამით დამთავროს ეპოქის ერთი მონაკვეთის დახასიათება. მთავარია გზები, რომელ-

თაც მიეყვართ ფინალამდე. როგორ ფინალში გამოიკვეთოს ნაწარმოებში დედაზრი, მოთხრობის დრამატული სინამდვილის რომელიმე მხარე, სრული დახასიათება, წარმოსახვა. ვითარების სრულყოფილად გათვალისწინებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე სურათიც:

„მთავარსარდალმა უკანასკნელად დაუხარა ჩამწერივებულ გუნდებს.

არავინ აქცევდა ყურადღებას თუ როგორ იღგნენ ჯარისკაცები, გამართული იყო თუ არა მწყობარი.

შტაბმა საჩქაროდ ჩამოიარა ჯარისკაცების დაღალული, პირუტყვის უგვანო სახეები, რომლებზედაც ევრაფერს ამოიკითხავდი, ევრაფერს გაიგებდი და გამოიცნობდი. ისინი მოიყვანეს დღეს დილით ცივ კოლოფებიდან, მათ უთხრეს წამოსვლა და ისინიც წამოვიდნენ.

მოთმინებით იღგნენ ცივ ქვაზე, გრძნობდნენ მხოლოდ თოფების სიმძიმეს. სადგომისაკენ დაბრუნებაზე არ ფიქრობდნენ. იქაც ნესტი და გაზაფხულის სიცივე დახვდებოდათ“.

ეფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია. მწერალი ამჟღავნებს თანადროულობის ალღოს, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ იძლევა მომავლის პერსპექტივას, თუმცა იცავს კი ისტორიულ კალმობიტს. ვითარება აქაც სტატიკურადაა წარმოსახული.

საგულისხმოა ერთი რამ. ციტირებულ ნოველას სათაურის ქვეშ აწერია — „კოსსპექტი მოთხრობისათვის“. ამ ნოველის სიუჟეტი და აგრეთვე ნოველისა „დიდი შაბათი“ („დროშა“ 1925, № 26) მწერალმა გავრცობილი სახით გაიმეორათვის ცნობილ ნაწარმოებში „ფერფლი“. მოთხრობა „ლიპი“, რომელიც პირველად „მნათობში“ დაიბეჭდა 1929 წელს, არა მარტო თემატიკით ემთხვევა მოთხრობა „პროვინციის მთავრეს“, არამედ განმეორებულია პერსონაჟებიც (მაგდა, გოგი, სიმონი). ამავე მოთხრობაში ეპიზოდის სახით ჩართულია ნოველა „მარტია“. ამგვარი ჩართვის საშუალებას ნოველა თავისუფლად იძლევა, იგი შეიძლება იყოს ერთი თავი მოთხრობისა და რომანისა..



სიუჟეტების განახლება, ძველი თემების გამოერება-გაერთობა, მათი ახალი კუთხით წარმოსახვა დამახასიათებელია ს. კლდიაშვილის სტილისათვის.

აზრიად, 1925-1930 წლებში ს. კლდიაშვილის ნოველების თემატიკური არე საგრძნობლად გაფართოვდა. მწერალი დაინტერესდა სოციალური საკითხებით და ძირითადად სხავედა რეალურ ფაქტებს. იგრძნობა მხატვრული დაოსტატებაც. ფსიქოლოგიური მოტივირების სიმძიმე გადატანილია ოსტატურად გამოართულ დიალოგებში, რომლებშიც გარკვეულად მიზნოვებულია არა მარტო საერთო განწყობილება, არამედ პერსონაჟის ხასიათის რომელიმე თვისება. მაგალითისათვის დავასახელებთ ბეკოსა და მარიამის (ნოველიდან „მარტია“), ჟანიხა და მაგლას („პროვინციის მთვარე“) და სხვა დიალოგებს.

ასე თანდათანობით თავისუფლდებოდა ს. კლდიაშვილი სიმბოლისმის გავლენისაგან. ოცდაათიანი წლებიდან მის შემოქმედებაში ნოველის ჟანრმა განვითარების ისეთ მაღალ საფეხურს მიაღწია, რომ სერგო კლდიაშვილი აღიარეს მკვეთრად ინდივიდუალური სტილის შემოქმედად.

თავის ახალ რეალისტურ ნოველებში მწერალს ერთი ძირითადი თემა აქვს — სამშობლო, რომელსაც იგი მეტად ორიგინალური კუთხით აშუქებს. მოვლენებიდან არჩევს ყველაზე არსებითსა და ცხოვრებისეულს, ამასთან პატარა ამბავსაც კი ფილოსოფიურ-სოციალურ განზოგადებას აძლევს. თუ რომელიმე თანამედროვე ქართველი მწერალი დაიქაღის „წვრილმანები“ შთაგონებული ვართ, ერთ-ერთი პირველი სერგო კლდიაშვილია. იგი თითქმის არასოდეს არ მიმართავს რაიმე არაჩვეულებრივსა და დიდს. მიუხედავად ამისა, ერთი შეხედვით წვრილმან ამბებზე დაწერილი მისი ნოველები გამოირჩევიან აზრების ტევადობით, ეროვნულობით და ღრმა იდეურობით. მათი წაკითხვა ერთხელ კიდევ გვარწმუნებს საყოველთაოდ აღიარებულ ჰეშმარიტებაში, რომ „ნიჭი

და ხელოვნება სავსეა სიღრმისადაა და არის, არამედ მათს გამოხატულებასა და გათვალისწინებაში“ (აგაძე). საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

სერგო კლდიაშვილი ნაცნობ თემებსაც ორიგინალური კუთხით და მისთვის ჩვეული მაღალი ოსტატობით ამუშავებს. ასე, მაგალითად, ნოველის „ნაბოლარა“ თემა საკმაოდ ძველია, მოგვაგონებს შექსპირის „მეფე ლირს“. ასეთ ასოციაციას იწვევს ამ ნაწარმოებთა მთავარი პერსონაჟების ერთნაირი ტრაგიკული ბედი — მოხუცებულობაში იხიწი შევლებმა მიატოვეს. მოვლენათა თითქმის ერთნაირი განვითარება არ ნიშნავს, რომ ამ ორი ნაწარმოების იდეური კონცეპცია ერთნაირია და არაფრით არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. თითოეულ პერსონაჟს აქვს თავისი საკუთარი ინდივიდუალობა, რასაც განსაზღვრავს პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური, ყოფაცხოვრებითი და ა. შ. განვითარების თავისებურება. რა თქმა უნდა, საინტერესოა, რამდენად სისახა ეს თავისებურებანი ნოველაში „ნაბოლარა“, ე. ი. რამდენად შეძლო სერგო კლდიაშვილმა ძველი თემის გათანადროულება.

მწერალი „ნაბოლარას“ სიუჟეტურ ქარავს ისე ავებს, რომ მკითხველის წინაშე დააყენოს თანადროულობის აქტუალური საკითხები, ამხილოს ნაკლოვანებები, რომლებიც ხელს უშლიან ჩვენი ცხოვრების განვითარებას. „ამ ნასწავლ ზღბს სოფლად არ დაეღვამება, თუ რავა საქმე? აქ მათთვის საქმე არ მოიძებნება, რომ ქალაქ ადგილს ვარბიან? ან რომელ წიგნებში ამოიკითხავ სახლკარი მიატოვე, გადაშენდი, გადავვარდი, შენთანაც დაივიწყე და შენი ბუდეც მოშალოვ?“ ამბობს იორდანე. მისი ფიქრები და განცდები, მისი იდეა. სავსებით შეესაბამება როგორც მწერლისას, ისე თითოეული ჩვენთაგანის ფიქრებს და გრძნობებს. როგორ შეიძლება არ დაეთანხმოთ იმას, რომ თანამედროვე სოფელს ინტელიგენცია სჭირდება, რომ ახალგაზრდობა მორალურად სანიმუშო უნდა იზრდებოდეს, უყვარდეს შრომა, პირნათლად რომ მოიხადოს თავისი მოქალაქე-

ობრივი ვალი მშობლისა და ქვეყნის წინაშე. ასე იკითხება იორდანეს საყველურის ქვეტექსტი და, ჩვენი აზრით, ნოველის დედაზრცი ესაა. სიმბოლმატურია, რომ ამაზე მწერალი ალაპარაკებს იორდანეს, ადამიანს, რომელმაც პირადად თავის თავზე გამოსცა ცხოვრების სიმწარე. ამით ხაზგასმულია მამბილელის კეთილგონიერება; იორდანემ შესანიშნავად იცის, რომ კაცს ისარი კლავს, მაგრამ დამნაშავე ისრის მსროლელია. ცხოვრება თავისთავად როდია მწარე, მას ამწარებენ, ამახინჯებენ ადამიანები, რომლებსაც იორდანე ამბილეს. იორდანეს მხატვრულ სახეში მწერალი განსაკუთრებით ხაზს უსვამს ამტანობას, სიმწვდეს და ადამიანის ღრმა რწმენას.

იორდანეს ხასიათი ტიპიურია და ნაწევნებია ტიპიურ გარემოებაში. სამამულო ომში კარპატებთან ბრძოლისას და ელუბა მას უფროსი შვილი. შემდეგ რძალმა ქონება გაუყო და ოჯახიდან წავიდა. დაიწერა ბედნიერი ცხოვრება. იორდანემ მწარედ განიცადა ოჯახის ბურჯის — უფროსი შვილის სიკვდილი: „სასიცოცხლო პირი აღარ მქონდა ჩემი ბიჭის დამკარავს, მარა რა მექნა, თუ თვითონ არ ამოძვრა ოხერი სული? ა, რა მექნა? ძალათი მომეკლა თავი? გაგონილა ამისთანა ცოდვის კითხვა?“ როგორც ვთქვით, იორდანეს უბედურება საქვეყნო, საყოველთაო უბედურების ნაწილია. მწერალი ტიპიური გარემოების ხაზგასმით ხსნის პერსონაჟის ცხოვრების ტრაგიკულობას და ხასიათის სიმართლე ეფუძნება გარემოების სიმართლეს. მწუხარებამ მოღრია იორდანე, მაგრამ ცხოვრებაზე ხელი ვერ ააღებინა. იგი შვილის გლოვაშიც ქართველია და აქაც მკლავდება მისი ეროვნული თავისებურება.

იმედად იორდანეს უმცროსი შვილი, ნაბოლარა ალექსანდრე დარჩა და მასზე ლოცულობდა: „ეს ბიჭი ჩამიდგამს სულს, ეს მაეცხონებს მე!.. და თავისი მომავალი ცხოვრება რაღაც დიდი ნათელით მოსილი წარმოუდგებოდა“. მაგრამ ბედმა უმტყუნა. სწავლის დამთავრების შემდეგ ალექსანდრემ სოფლად ცხოვრება

ბა იუცადრისა და იორდანე ელლად დატოვა: „რა ვქნა, მამაჩემო, შენ რომ ფიქრობ, ისე არაა საქმე, სოფელში ვცხოვრობდელი არა ვარ. სწავლა იმდენად მიყვარდა, რომ ქოტივით გამოყრუებულ ფულდროში ვიცხოვრო. ახლა ძველი დრო ნუ გგონია. ყველას საშუალება აქვს დიდი კაცი გახდეს“.

რამდენად ტიპიურია ალექსანდრე ჩვენი სინამდვილისათვის?

შემთხვევით კი არ უწოდა მწერალმა ნოველას „ნაბოლარა“. ეს მეტახელი ზედმიწევნით ზუსტად ახასიათებს ალექსანდრეს. იგი არა მარტო ასაკითაა ნაბოლარა, არამედ თავისი მისწრაფებებითა და მთელი თავისი სულიერი სამყაროთი. ალექსანდრე ჩვენი ცხოვრების ნაბოლარაა. ამრიგად, სერგო კლდიაშვილი ახდენს ნაკლებგავრცელებული უარყოფითის ტიპიზაციას და გვარწმუნებს, რომ განვითარების პოტენცია გააჩნია არა ალექსანდრეს, არამედ მშრომელ და პატიოსან ადამიანს, ყველას ვინც კი ახალი ცხოვრების მშენებლის მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდება: „კიდევ მაღლობა ღმერთს; — იმედია ნადი დასძენს იორდანე, — ყველა ჩემი შვილივით არ არის. ზოგ-ზოგი ვინმე, ვინც აქ დარჩა, ურიგოდ არ ცხოვრობს. ვინც შრომას არ გაუქცა, ეგრეთ შენც ხედავ, ახალი ოდა სახლები წამოჭიმა. წინათ რომ ჭრაქით ვიჭკარტლებოდით, ახლა აქაურობა ელექტრონით არის გაჩაღებული“.

აქ ნათლად ჩანს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების წამყვანი ტენდენცია, ცხოვრების განვითარების სოციალური კანონზომიერებანი. სერგო კლდიაშვილი თვალს არ ხუჭავს ნაკლოვანებებზე, ცხოვრებას ასახავს მთელი თავისი მრავალფეროვნებით. ამასთან არ ივიწყებს მთავარს, ძირითად, წამყვან ტენდენციას, რაც განსაზღვრავს ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ხასიათს. ნაკლოვანებათა მხილებით სერგო კლდიაშვილი აგრძელებს ქართული რეალისტური მწერლობის პროგრესულ ტრადიციებს — მის სიახლოვეს ხალხის ცხოვრებასთან, მის-

წრფეებსა და სასიცოცხლო ინტერესებთან.

დამახასიათებელია, რომ ალექსანდრე-სა და მისი მსგავსი ნაბოლარა ადამიანების უდიდესი საქციელს იორდანე კიცხავს არა მარტო მშობლის პოზიციებიდან. იგი ითვალისწინებს მთელი სოფლის, ხალხის საერთო ინტერესებს. „ეს ხალხი თუ შემოეცალა სოფელს, ვიღას გაუნათოს ელექტრონმა?... თუ ყველა შენსავით ახალგაზრდამ სოფლად ცხოვრება იუკადრისა და გაქცევა არჩია, ჩემისთანამ რა გააწყოს-მეთქი?“—ეკამათება იორდანე შვილს და სწორედ აქ მჟღავნდება მისი მოქალაქეობრივი კეთილშობილება, მისი ამიდლებული პატრიოტული სულისკვეთება. იორდანე ბუზაშვილი ქართველი გლეხკაცის ერთ-ერთი მესხნიშნავი, სამავალითო ტიპიური მხატვრული სახეა.

დიდმა შექსპირმა „მეფე ლირში“ გვიჩვენა მშობლის ტრაგედია სოციალურად უთანასწორო ეპოქაში და ორივეს ერთად — წყობილებისა და მისი ტიპური წარმომადგენლის დაღუპვის აუცილებლობა. რაც შეეხება იორდანეს, იგი სულ სხვა ვითარებაში მოქმედებს და სრულიადც არ არის მარტო. მის გვერდით არიან მეზობლები, რომლებიც არ ივიწყებენ და „ხელის შეწყობით თუ ალერსიანი სიტყვებით ამხნევენ ხოლმე“. იორდანე დამსახურებულია სარგებლობს მთელი სამკოთა საზოგადოების მხარდაჭერით და მასთან ერთად იბრძვის ადამიანის შეგნებიდან წვრილბურჯუაზიული გადმონაშთების აღმოსაფხვრელად.

აი ამიტომ ვერ დავეთანხმებით გიორ-
გი ხუბაშვილის იმ მოსაზრებას, თითქოს
„მწერალი არც კი შეეცადა ოდნავ მა-
ინც შეეცადა ის ტრადიციული სიტუა-
ცია მიტოვებული და შეურაცხყოფილი
მამის ურთიერთობისა უფულო შვილებ-
თან, რომელიც ჯერ კიდევ „მეფე ლირ-
ში“ ფართო ფილოსოფიურ-მორალურ
გაზარებაში მოგვცა დიდმა შექსპირმა“
(„მწერალი და ცხოვრება“. გვ. 41, 1956
წ.).

სერგო კლდიაშვილმა ძველი, მამა-

შვილის ურთიერთობის თემა გაათანაღ-
როულა და დაუკავშირა სამშობლოს სო-
ციალურის, ამაღლებული პატრიოტიზ-
მის გრძნობას. მთელი ნოველა შექმნილი
აქვს თილისა ჯანსაღი ოპტიმიზმით, სიამაღ-
ლოვნად და შემოქმედებითი შრომის
რწმენით. რაც შეეხება სოციალისტურ
სინამდვილეში მამა-შვილის დამოკიდე-
ბულებას, იგი ნაჩვენებია ტიპურ გარე-
შეობაში, ახლისა და ძველის კიდულში,
ახლის გამარჯვების უტყუარი პერსპექ-
ტივებით.

მწერალს ღრმად სჯერა, რომ ცხოვრების ავ-კარგი ბევრად არის დამოკიდებული თვით ადამიანზე, მის აქტიურობაზე, ნებისყოფაზე. ცხოვრება რომ ყველგან შეიძლება კარგად მოეწყოს, ეს ჩანს „ნამბლარას“ და სხვა ნოველებშიც, კერძოდ, „მინდვრის ყვავილში“, მაგრამ სულ სხვა პლანით. საერთოა მწერლის ფილოსოფია, რაც ცხოვრების მიმდევობაში, სინამდვილის **ოპტიმისტურ** აღქმაში მდგომარეობს. მისი ნოველების დიდი უმრავლესობა ღიმილის უჭეით არის განათებული, ადამიანისა და ცხოვრების დიდი სიყვარულით არის გათბარი.

სერგო კლდიაშვილი ყოველთვის სა-
ხავს ნამდვილად დადებითს, ჭეშმარიტად
იდეალურს და მის შესაბამისად გვიჩ-
ვენებს ცხოვრებას. მწერლის მხატვრული
სტილის ამ თავისებურებათა ილუსტრა-
ციაა ნოველა „მინდორის ყვავილი“.

ნაწარმოების ცენტრშია კონკრეტული ადამიანი — სანდრო მინდიაშვილი. იგი მწერალს ნოველაში შემოჰყავს სევდიანი და მარტოობის გრძნობით შეპყრობილი. ამის მიზეზი ყოფილა არგვეთა, სადაც სანდრო ტელეგრაფისტად მუშაობს და სადაც ერთდროუანი, მოსაწყენი ცხოვრებაა.

„ველარ ვუძღვებ აქაურობას, მინდა მეც ხალხში გავერიო, ცოცხალ ცხოვრებას ვეზიარო“, — წუწუნებს იგი. უნდა ვიფიქროთ, რომ სანდროს ინტერესების სფერო იმდენად მდიდარია და მრავალფეროვანია, რომ ვერ ეტევა მისთვის უფრო სავსატყუარა სახეობის მოსაწყენი ცხოვრების

ფარგლებში და გადაუწყვეტია „მაღალ მოშორდეს არგვეთას“. სანდრო მითხროვს სხვა, ისეთ ადგილას გადაიყვანონ სამუშაოზე, სადაც შესაძლებლობა ექნება ლად, ცოცხალ ცხოვრებას ეზიაროს, დატკბეს. ერთი შეხედვით, ამაში არაფერია ცუდი. ბედნიერებისაკენ სწრაფვა ცხოვრების დიდი კანონია და სანდროს მისწრაფებაც ამ კანონის გამოხატულებაა, კანონომიერია.

მწერალი ექსპოზიციურ ნაწილში ისე ხატავს სადგურ არგვეთას სურათს, ჩამორჩენილობის, უძრაობის ისეთი დამახასიათებელი დეტალებით, რომ რწმუნდებით — „ადამიანს, რომელიც აქ ხანგრძლივად იცხოვრებს, ნურვინ უძრაბავს თუ მელანქოლია შეიპყრობს“. შეიძლება ამის გამო ვიფიქროთ, თითქოს სანდროს სევდიან განწყობილებას ს. კლდიაშვილი ობიექტური მიზეზით ამართლებდეს, მაგრამ თანამედროვეობის ისეთი მართალი მხატვარი, როგორიც სერგო კლდიაშვილია, ობიექტური მიზეზით ვერ ახსნიდა პერსონაჟის მელანქოლიას. ჩამორჩენილობა, უძრაობა ჩვენი ცხოვრების წამყვანი ტენდენცია არ არის და, მაშასადამე, არც ტიპურობის განმსაზღვრელ გარემოებად გამოდგება.

ბუნებრივად იბადება კითხვა, რაა მიზეზი, რომ არგვეთა ჩამორჩენილი ბუნქტია და იქ ცხოვრება მოსაწყენია? ამ კითხვის პასუხი რომ ნათელი გახდეს, სანდროს ადგილზე წარმოვიდგინოთ სხვა, თუნდაც სპირიდონ მცირიშვილი.

სანდროსაგან განსხვავებით სპირიდონი არგვეთაში იმდენ სასარგებლო საქმეს წამოიწყებდა, რომ სევდისათვის ერთი წუთიც აღარ დარჩებოდა და თავს ბედნიერად ჩათვლიდა. ასე იქნებოდა იმიტომ, რომ სპირიდონი ინიციატივანი ადამიანია.

სანდრო და არგვეთის სხვა „მესვეურები“ კი მოკლებული არიან ინიციატივასა და თაოსნობას, ეყრდნობიან თვითდინებას, მაშასადამე, მოვლენების მიზეზ-შედეგობრივი ახსნით მწერალი გვიჩვენებს ცხოვრების დამახასიათებელ ისეთ გარემოებას, რომლის მიზეზი თვითონ

ადამიანის ხასიათშია, უნდა გავითვალისწინოთ, რომ „მინდვრის ყვავილა“ სერგო კლდიაშვილი ასახავს სოციალურ ტური მშენებლობის იმ ეტაპს, რომელიც მოითხოვს ნოვატორულ პათოსს. არ კმარა პასიურად მონაწილეობდნენ გრანდიოზული გეგმების განხორციელებაში. საქირაა გამოამჟღავნო თაოსნობა. მაგრამ სანდრო ახალს არ ქმნის, ელოდება მზამზარეულს, თვითონ უმოქმედო უფროა, ვიდრე საქმიანი, არ იცის საიდანაღიწყოს, რა აკეთოს. ეს მაშინ, როცა ჯერ კიდევ მემანქანე ნილიმ (მ. გორკის „მდამიონი“) მშვენიერად იცოდა, რომ დიდ მიზანს პატარა საქმეები ახლავს და მათი კეთებაც აუცილებელია: „...მე ასეთი წესრიგი არ მსურს, — მიმართავს ნილი პეტრე ბესსემენოვს, — კარგად ვიცი, რომ ცხოვრება სერიოზული საქმეა, მაგრამ მოუწყობელი... და მის მოწყვრიგებას მთელი ჩემი ძალდონე არ ეყოფა. ისიც ვიცი, ვიცი, რომ დევგმირი არა ვარ... ერთი უბრალო პატიოსანი და ჯანსაღი ადამიანი ვარ და მაინც ვამბობ: არაფერია, ჩვენსაგან გავიტანო! და მთელი ჩემი სულიერა შესაძლებლობით ვიკამყოფილებ ცხოვრების ორთომტრიალში ჩარევის სურვილს... მოვხილო იგი ხან ასე და ხან ისე... ამას ხელი შევეუწყო, იმას — შევეშალო... აი ეს არის სიცოცხლის აზრი და სიხარული“.

ეს რომ სცოდნოდა სანდროს, მაასც ნილის მსგავსად რომ შეეხედა ჩვენი ცხოვრებისათვის, რაღა თქმა უნდა, არ ეგონებოდა, რომ „სადაც, სხვაგან იყო დიდი ცხოვრება, დაუცხრომელი, ხმაურით სავსე, — არგვეთაში კი ქარი და მარტობა“, იგი თვითონ შექმნიდა ხალისიან ცხოვრებას სოფელში. აი რაზე ამახვილებს მწერალი ჩვენს ყურადღებას. „მინდვრის ყვავილი“ ქადაგებს პიროვნების მაღალ საზოგადოებრივ დანიშნულებას. მწერალი პრინციპულად შეუირიგებელია ყოველგვარი რუტინისა და პასიურობისა.

ნოველის სიუჟეტურ განვითარებაში დიდია სიყვარულის როლი.

სერგო კლდიაშვილი სიყვარულს გვი-

ხატავს არა როგორც მართოდენ გრძნობას, აბსტრაქტულად, არამედ მისი მეშვეობით ასახავს მთელ თანამედროვე ცხოვრებას, ჩვენს სინამდვილეს. ელენესა და სანდროს სიყვარული (რომელიც ნოველაში ქვეტექსტით უფროა გამოხატული) სრულიად ახალია, ის ძალა, რომელიც ეხმარება სანდროს ცხოვრების წინააღმდეგობათა დაძლევაში, სევდის ფაფანტაში. ელენე თავისი შემოქმედებითი საქმიანობით სანდროში აღვიძებს ისეთ გრძნობებს, რომლებიც სტიმულს აძლევს მას პირნათლად წარსდგეს სამშობლოსა და ხალხის წინაშე, იყოს ერთ-ერთი უკეთესი მოქალაქე. „ჩემო მეგობარო, აქ რა მოლევს საქმეს!“ — მიმართავს ელენე სანდროს, — თქვენც ბევრი სამუშაო გექნებათ ჩვენთან ერთად, აღარ მოგეწყინებათ არგვეთაში!“ რაღა მოაწყენს სანდროს! მისი ოცნებაც ხომ ეს იყო. მღელვარე ცოცხალ ცხოვრებას ნატრობდა და ელენე მის მაცნედ მოველნა, ასე ამთლიანებს ცხოვრება ადამიანებს, წარმართავს მათ ხასიათს საერთო ინტერესების შესაბამისად.

„მინდვრის ყვავილი“ განსაკუთრებით იმით იქცევა ყურადღებას, რომ მასში ცხოვრების კონკრეტული მოვლენების მართალი აღბეჭდვა შეხამებულია დავიძრეებისა და ანალიზის ცხოველმყოფელ უნართან, ადამიანის სულიერ სამყაროსა და ხალხის ყოფაცხოვრების ზედმიწევნით ცოდნასთან. იგი გვასწავლის სიძნელის გადალახვას და გასაჭირიდან, ცხოვრების წინააღმდეგობათა ხლართიდან გამოსვლის ხელოვნებას.

სერგო კლდიაშვილის ნოველების უმრავლესობა უსიუფეტოა. და მიუხედავად ამისა, ისინი არა თუ მოწყვეტილი არ არიან ქართული კლასიკური მოთხრობის ტრადიციებს, არამედ ცხადყოფენ ამ ტრადიციათა კანონზომიერად განვითარებას. ს. კლდიაშვილი იმ მხატვართა წარმომადგენელია, რომლებსაც ეხერხებათ მოვლენებიდან აირჩიონ ყველაზე ტიპური, არსებითი, ცხოვრებისეული და პატარა ამბავს მისცენ ფილოსოფიურ-სოციალური განზოგადება. მისი უსიუ-

ფეტო ნოველების კითხვისას არ შეიძლება არ მოგაგონდეთ მაქსიმ გორკის სიტყვები, რომლებიც საბჭოთა რატურის ფუძემდებელმა ანტონოვსკიმ მოთხრობა „ხევის“ გამო თქვა: „მასში შინაარსი გაცილებით მეტია, ვიდრე სიტყვებით.“

იმის ნათელსაყოფად თუ რა გზით, რა მხატვრული ხერხებით აღწევს სერგო კლდიაშვილი უსიუფეტო პატარა მოთხრობაში დიდი და ვრცელი აზრების მოკლედ გადმოცემას, ცხოვრებისეული მართალი სახეების შექმნას, განვიხილავთ მის რამდენიმე ნოველას.

ნოველა „შორეული“ იდეურად და, რაც მთავარია, ახლებურად, საბჭოთა პატრიოტიზმის მაღალი პოზიციებიდან ეხმაურება რადიკალურ ეროსთავის ცნობილ ლექსს „სამშობლო ხეცსურისა“. ნოველაში გადმოცემულია ერთი ეპიზოდი — გაცილება, დროის მცირე მონაკვეთი აღებულია სტატიკურ მდგომარეობაში და, ბუნებრივია, რომ სიუჟეტი არ ვითარდება.

ლუსოვარელი ეინარ მიხალაინენი მეფის ჯარიდან დაბრუნებული თავის ქვეყანაში ველარ წავიდა, თავისიანი იქ აღარავინ ეგულებოდა. ხეტილაში სოფელ ზურგიშარას შემოაღამდა. მინავო ტოფაძის ოჯახში ღამე გაათია და შემდეგ ჩაესიდა კიდეც. ეინარმა ორმოცდაათი წელი იცხოვრა ზურგიშარას, თითქმის გაქართველდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ოჯახის წევრები დაეხივნენ და მართო დარჩა, გადაწყვიტა სამშობლო ლუსოვარში წასულიყო. მეზობლები აცილებენ. ესაა მთელი მოთხრობა.

„შორეული“ ერთ ეპიზოდს შეიცავს — გაცილებას და აქედან ვგებულობთ ეინერის ცხოვრების ზოგიერთ ძირითად დეტალს. ამგვარად, ნოველას არ გააჩნია კლასიკური სიუჟეტის არც ერთი ნიშანი, მაგრამ სრულყოფილად არის მიღწეული სინამდვილის რეალისტური წარმოსახვა. მწერალს მკითხველის მთელი ყურადღება გადააქვს ეინარისა და მისი მეზობლების განწყობილებაზე და თხრობას განძრავს ანელებს. დიალოგებში იხს-

ნება პერსონაჟთა ხასიათი: „გახსოვს, ეინარ, აქ რომ პირველად მოხვედი? — ეკითხება ეზეკია... — ოჰ, რა ვაჟაკი იყავი?... — ახლა უკვე მოხუც ეინარს მხარზე ხელს უთათუნებს თევდორე...“ წარსულზე საუბრით ავტორი გვთავაზობს გარდასული დროის მოგონებით გამოწვეულ ფსიქოლოგიურ ნიუანსებს, მის სწორედ იმ დაუბრუნებელი დღეების განცდები აინტერესებს და ამ გზით მივყევართ მთავართან. მოთხრობის ემოციურ დაძაბულობას ხელს უწყობს კონტრასტის ხერხი, რომელიც ასე ემარჯვება ს. კლდიაშვილს. კონტრასტის ნოველაში ქმნის წარსულისა და აწმყოს, ახალგაზრდობისა და სიბერის, ლუსოვარიისა და ზურგიშარას შედარებები. ამ შედარებებისას საბოლოოდ იხსნება შორეულის პატრიოტული პორტრეტი. ეინარი, რომელიც აქამდე ჩუმად იყო და მეზობლების საუბარს სევდანარევი ღიმილით ყურს უგდებდა და კითხვებზე მხოლოდ თავის დაქნევით უპასუხებდა, თევდორეს შეკითხვაზე — „დამავიწყდა, რა ქვია იმ შენს სოფელს?“, — უეცრად ალაპარაკდა. მოიგონა ლუსოვარი და, რომ იტყვიან, გულს ვარდი გადაეფინაო, დაიწყო მშობლიური კუთხის დახასიათება. აპოკრიფულ ეინარს მეზობელი იორამის შეკითხვამ საუბარი შეაწყვეტინა. იორამი გულისტკივილით და მზრუნველობით მიმართავს: „— კი მარა, ადამიანო, ვისთან მიხვალ იქ? გეგულება ვინმე ნაცნობი მაინც?“ ეინარს გულის ჭრილობა გაეხსნა, ხელი გაშალა და გაჩუმდა. იორამის შეკითხვას უპასუხებს მწერალი. ესაა მხატვრული ხერხი, მწერლის რემარკა, რომელიც დაზუსტებულია სიტუაცია. „მართლაცდა ვის ნახავს? ძველები, ცხადია, დაიხოცნენ. ტოლებს, ალბათ, დავიწყებული ჰყავთ; ახალგაზრდებმა კი მისი არსებობაც არ იციან“. თხრობის ემოციური დაძაბულობა რომ გაზარდოს, მწერალი ისევ ამეორებინებს იორამს ამ შეკითხვას. „ჰო, ვის ნახავ იქ? ვინ დაგხვდება?“ ეინარი კვლავ დუმს და ახლა მისი გულის პასუხს — ფიქრს გვაცნობს ს.

კლდიაშვილი. დახედება ლუსოვარიდან ტბა, სადაც მებაღურები აფრიან ნავესს მიატურებენ. დამთავრდა ეინარის ენაქვეყნა ქოლოგიური პორტრეტი, მაგრამ ნავესს ლის იდეა ჯერ კიდევ არაა მთლიანდ ნათელი. იგი გამოიკვეთება ეინარის წასვლის შემდეგ მისი მეზობლების საუბარში. ზურგიშარელებმა ეინარს გზა დაულოცეს და მინდორზე სახელდახელოდ გაშლილ სუფრას მიუბრუნდნენ.

— „კი, მარა, ყინულეში რა გააძლენინებს იმ დალოცვილს, აქ არ ერჩია... ამისთანა ლამაზ სოფელს კაცი მიატოვებს?“

— დედაშენს გაცელიდი შენ? — უეცრად ხმას იმაღლებს ეზეკია... — გაცელიდი იმიტომ, რომ სხვა დედაკაცი უფრო ლამაზი იყო?

— მაგის გამო დედა ვის გაუცვლია, შე კაი კაცი...

— ჰოდა, ასეა ესეც! — ამბობს თავის სიმართლეში დაჯერებული ეზეკია.

ეს ძველთაძველი სიმართლე სჯერათ ზურგიშარელებს, სჯერა ყველა პატრიონს ადამიანს, რომ „სამშობლო, დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაგანა“. ესაა ნოველის იდეა.

რატომ ქვია ნოველას „შორეული“?

ნოველმა მთავარი პერსონაჟის ეინარის ფსიქოლოგიურ პორტრეტში ჩვენთვის უცხო და შორეული არაფერი არ არის. პირიქით, მისი მისწრაფება მშობლიური ლუსოვარიისაკენ სრულ თანაგრძნობას იწვევს, ესაა საბჭოთა პატრიოტიზმის გამოხატულება, ამას ზურგიშარელებიც შესანიშნავად გრძნობენ: „ვერ გაუმტყუნებ, ჩემო ძმაო, — თავს აქნევს ეზეკია, — უცხო მხარეში სასახლე რომ ამიშენო, საბოლოოდ ჩემი ზურგიშარა მომენატრება და წამოვალ. აბა როგორ! არა, ნამდვილად კაი კაცი ყოფილა, თავის კუთხეს რომ დაუბრუნდა. რომელი პატრიონი კაცი დავიწყებს თავის ქვეყანას?“ ნოველის დასასრულს მწერალმა დააზუსტა მთავარი აზრი — მშობლიური კუთხის სიყვარული. ეს იდეა „ნაბოლარაში“ გააშუქა

მწერალმა და „შორეულში“ განაახლა, გააცხოველა სწორედ შორეულის ფსიქოლოგიური პორტრეტით. ასე რომ, ნოველის სათაური პირობითია, იგი მთავარი პერსონაჟის პორტრეტის ნიშანია და არა ხასიათის თვისება.

უსიუფეტოა აგრეთვე ს. კლდიაშვილის ნოველები „შემოდგომის წვიმა“, „ქინკა ბიჭები“ და ბევრი სხვა, რომელთა დეტალურად განხილვა შორს წაგვიყვანდა. მათი საერთო დახასიათება კი აუცილებელია.

სერგო კლდიაშვილი ერთი მიგნებული ეპიზოდით ახდენს ფართო სოციალურ განზოგადებას. მაქსიმალურად შემჭიდროებულ პასაჟებში მწერალი გვიჩვენებს ცხოვრების მრავალფეროვნებას და ყოველ დეტალს მთლიან ჩანაფიქრს უკავშირებს, რათა ნაწარმოებში ერთიანი ტონი და ჟღერადობა შეიქმნას. საბჭოთა პერიოდში შექმნილი ყველა ნოველით ს. კლდიაშვილი თვალწინ გვიშლის დიდი სოციალური გარდაქმნების ეპოქას, ამ ეპოქის აღამიანებს, რომელთა

ხასიათის შინაგანი ლოგიკა შეპირობებულია ცხოვრებასთან. ყველაფერი ეს მით უფრო ღირსშესანიშნავ მოვლენად დაგვესახება, თუ გავითვალისწინებთ, რომ დეკადენტურმა მწერლობამ ჩვენში დიდი ზიანი მიაყენა ს. კლდიაშვილის შემოქმედებასაც. სიმბოლისტური პერიოდის მის ნოველებს გამოცლილი ჰქონდა სოციალური შინაარსი.

გამოჩენილი ქართველი საბჭოთა მწერლის სერგო კლდიაშვილის მკითხველი განუხრელად გრძნობს სიცოცხლის სიყვარულს, აღამიანის უნატიფეს გაცნაობა საიდუმლოებას, სამშობლოსადმი სიყვარულით ამდერებელი მართალი გულის ფეთქებას. ყველა ეს და ბევრი სხვა სიკეთე სერგო კლდიაშვილს, როგორც შემოქმედს, შესძინა ხალხთან, რეალურ ცხოვრებასთან უშუალო და მჭიდრო კავშირმა. ასეთი დაკავშირება მან შეძლო მხოლოდ მას შემდეგ, როცა აღამიანს თავისი ყველაზე ძვირფასი თავისუფლება მიენიჭა და სოციალისტური ცხოვრების მშენებელი გახდა.





მთა ქარია

კირველი ლიტერატურული გაზეთი აკარაში

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აჭარის ლიტერატურული ცხოვრება წლითი წლობით სულ უფრო სისხლჭარბი ხდებოდა. ასპარეზზე გამოვიდნენ მწერალთა ახალი კადრები, რომლებიც ცდილობდნენ მხატვრული სიტყვით აესახათ აჭარის მშრომელთა ახალი ყოფა, ძირეული გარდაქმნები, მხარის სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებასა და ადამიანთა შეგნებაში რომ მიმდინარეობდა. მართალია, მწერლობის ახალი კადრები ჯერ კიდევ სუსტად ფლობდნენ მხატვრულ სიტყვას, მაგრამ სურვილი — აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ახლის, პროგრესულის დამკვიდრებაში როგორც უშუალო პრაქტიკული საქმიანობით, ისე კალმით მეტად დიდი იყო.

ლიტერატურული ცხოვრების გამოცოცხლებას თან მოჰყვა ლიტერატურული პრესის აღმოცენებაც. ოციანი წლების პირველ ნახევარში ბათუმში გამოდიოდა ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალები, აგრეთვე ერთდროული გაზეთები. მაგრამ მწერალთა კადრების სიღარიბე და დაბალი მხატვრული დონე საშუალებას არ აძლევდა ცალკეულ ენთუზიასტებს, ჟურნალ-გაზეთების გამოცემის ინიციატორებს ბოლომდე მიეყვანათ დაწყებული საქმე და, როგორც წესი,

თითოეული ახალი ლიტერატურული ორგანო ერთი-ორი ნომრის გამოსვლის შემდეგ არსებობას წყვეტდა.

ოცდაათიანი წლებისათვის აჭარის მწერალთა ორგანიზაცია საკმაოდ მოღონიერდა. ამ დროს ბათუმში უკვე მოღვაწეობდნენ პარმენ ლორია, პარმენ რურუა, ნესტორ მალაზონია, მამია ვარშანიძე, ნიკოლოზ კანდელაკი (შემდგომ ცნობილი ორატორი და პროფესორი), ჯემალ ნოღაიდელი, გრიგოლ გორგაძე, ლადო შარაშიძე და სხვები. კავშირი სცემდა ყოველწლიურ აღმზახს „ლიტერატურული აჭარისტანი“. არსებობდა სახელმწიფო გამოცემლობა, რომელიც ყოველწლიურად ზრდიდა მხატვრული პროდუქციის გამოშვებას. ასეთ ვითარებაში დაიბადა აზრი შეექმნათ საკუთარი ორკვირეული გაზეთი, რომელიც თავის ირგვლივ შემოიკრებდა საუკეთესო ლიტერატურულ ძალებს, მათ შორის თბილისიდან და საქართველოს სხვა ქალაქებიდანაც. ამ აზრის ხორცმესხმას უთუოდ ხელი შეუწყო ქუთაისში ლიტერატურული გაზეთის „სიტყვა და საქმე“ დაარსებამ (პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 25 აპრილს) და მისმა საკმაოდ წარმატებითმა მუშაობამ.

და აი 1935 წლის ექვს იანვარს ბათუმში გამოვიდა ორკვირეული ლიტე-

რატურული გაზეთის „ლიტერატურული აპარისტანი“ პირველი ნომერი. ეს იყო პირველი ლიტერატურული გაზეთი აჭარაში და, გასაგებია, რომ მას დიდი კმაყოფილებით შეხვდა მთელი ქართველი საზოგადოებრიობა. გაზეთის მხურვალედ მიესალმნენ და წარმატება უსურვეს საქართველოს წვერალთა კავშირის პრეზიდიუმმა, „ლიტერატურული გაზეთისა“ და „სიტყვა და საქმის“ რედაქციებმა, ცნობილმა ბელეტრისტმა მიხეილ ჭავჭავაძემ.

თორმეტ იანვარს „ლიტერატურულმა გაზეთმა“ გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომელშიც წერდა: „იზრდება ქართული ლიტერატურული პრესა! მოგვემატა მშვენიერად წამოწყებული, კულტურულად გამოცემული და საკმაო გამოცენებით შერჩეული მასალებით ახალი გაზეთი „ლიტერატურული აპარისტანი“. ეს მეტად სასიხარულო მოვლენაა მით უფრო, რომ დღემდე ასეთი გაზეთი აპარისტანში არ ყოფილა“.

„ლიტერატურული აპარისტანი“ მართლაც მშვენიერ შთაბეჭდილებას ტოვებდა. იგი იბეჭდებოდა ექვს გვერდზე, „პრაქტის“ ნახევარი ფორმატით ისევე, როგორც ყველა ქართული ლიტერატურული გაზეთი იმ დროს, კერძოდ, „ლიტერატურული გაზეთი“ და „სიტყვა და საქმე“.

მრავალფეროვანი იყო თემატიკაც. გარდა აჭარის ცხოვრების ამსახველი მხატვრული ნაწარმოებებისა, მასში ქვეყნდებოდა ლიტერატურული კრიტიკული სტატიები, წერილები მხატვრობაზე, რეცენზიები, ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, ბავშვთა შემოქმედების ოლიმპიადის მასალები, ადგილობრივ და თბილისელ მხატვართა სურათების ფოტორეპროდუქციები და სხვა. პირველ ნომერში დაბეჭდილი იყო თამარ აბაქელიას, კოტე გრძელიშვილის, ნახიმ ხალვაშისა და ვლადიმერ კეშელავას სურათების რეპროდუქციები. გაზეთს სათავეში ედგა სარედაქციო კოლეგია, რომელშიც შედიოდნენ გიორგი სულუხია (რედაქტორი), გრიგოლ გორგაძე, დავით დუმბაძე, ილიას ქა-

თამაძე, პარმენ ლორია, ჯემალ ნოზაძე, დელო, ლადო შარაშიძე და ნიკოლოზ კანდელაკი (მდივანი). სარედაქციო კომიტეში ასე იყო განსაზღვრული ახალი ლიტერატურული გაზეთის რედაქციის ამოცანა: „აპარისტანი იცვლის უკუღმართულობისა და პატრიარქალური ჩამორჩენილობის იერს... ჩვენი გაზეთის მხატვრული ჩვენება, მისი ასახვა, მისი დასურათება სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებით მეთოდის საფუძველზე... ლენინმა გვიანდერძა: „ლიტერატურული საქმე უნდა გახდეს საერთო პროლეტარული საქმის ნაწილად. ეს იქნება ლიტერატურა, რომელიც განაყოფიერებს კაცობრიობის რევოლუციური აზრის უკანასკნელ სიტყვას სოციალისტური პროლეტარიატის გამოცდილებით და ცოცხალი საქმით“. ჩვენ გავხდით ლიტერატურულ საქმეს ჩვენი საერთო პროლეტარული საქმის ნაწილად“. გაზეთი თავის ამოცანად თვლიდა აგრეთვე მდიდარი აჭარული ხალხური შემოქმედების ნიმუშების პუბლიკაციას, ახალგაზრდა შემოქმედებითი ძალების შემოკრებასა და აღზრდას.

„ლიტერატურული აპარისტანი“ ცდილობდა პირნათლად გაენადღებინა ყველა დაპირება და არსებობის მთელ მანძილზე მტკიცედ იცავდა ლიტერატურის პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპებს. მეორე, ოცდასული იანვრის ნომერში გაზეთმა გამოაქვეყნა ლადო შარაშიძის ვრცელი სტატია „ლენინის დროში“, რომელსაც თითქმის მთელი პირველი გვერდი უკავია. მასში კრიტიკოსი განმარტავდა ლიტერატურის პარტიულობის ლენინური პრინციპის არსს და ხაზს უსვამდა მის უშუალო განუყრელ კავშირს ხალხურობის პრინციპთან. ლიტერატურამ და ხელოვნებამ უნდა გამოხატოს პარტიის, ხალხის ინტერესები და ემსახურობდეს კომუნიზმის დიდ საქმეს.

„ლიტერატურული აპარისტანი“ არა მარტო აცხადებდა ლიტერატურის პარტიულობისა და ხალხურობის პრინცი-

პებს, არამედ ამასთან ერთად მთელი პრაქტიკული მოღვაწეობითაც ახორციელებდა მათ, აქვეყნებდა ისეთ მხატვრულ ნაწარმოებებსა და სხვა მასალებს, რომლებიც გამოხატავდნენ პროლეტარიატის კლასობრივ ინტერესებს, განუმტკიცებდნენ მასებს სოციალიზმის გამარჯვების რწმენას, შთაავიწყებდნენ და აღფრთოვანებდნენ მათ კაცობრიობის უმაღლესი იდეალების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა გავრცელებას ახალი ადამიანის ჩამოყალიბებას, ღრმა სოციალურ ძვრებს, სოფლად რომ ხდებოდა საკოლმეურნეო წყობილების დამკვიდრების შედეგად. გალაკტიონ ტაბიძის ცნობილი ლექსი „ოცნება აჭარისწყალთან“, აგრეთვე „საღამო ჩაის ჭაღებში“, კარლო კალაძის „მგზავრული“, ნ. მანიძის (ნესტორ მაღაზონიას) „ახლა იმ ხევში ელსადგურია“, შალვა იოსელიანის „ფიცი მივზოლეთუმთან“, „გარიჟრაჟი“, „მოხალისის დაბრუნება“, აგრეთვე ვიქტორ გაბესკირიას, ზარიტონ ვარდოშვილის, ვარლამ ჟურულის ლირიკულ-მარინისტული ლექსები გადმოგვცემდნენ ახლებურ დამოკიდებულებას საზოგადოებრივი მოვლენებისა და ბუნებისადმი, ახალი, სოციალისტური ცხოვრების მშენებლობის პათოსს, გვიჩვენებდნენ შრომის ადამიანთა სულიერი ინტერესების სიმდიდრეს.

ადამიანის შეგნების ამოღებისა და ფსიქოლოგიის გარდაქმნის, ძველი ადამიანების მსხვერვისა და ახალი მორალური ურთიერთობის დამკვიდრების პროცესს ასახავს ილია კაშიას მოთხრობა „ნუიფი“. აქვე უნდა მოვიხსენიოთ პარმენ ოდიშელის (რურუას) და შალვა იოსელიანის ნარკვევი „ჩაქვის მწვანე ხეივანებში“. ეს ნარკვევი საგულისხმოა იმითაც, რომ მასში ავტორები ასახელებენ ახალგაზრდა საბჭოთა მეურნეობის მაშინდელ მოწინავე ადამიანებს, მათ შორის დირექტორ პროკოფი მეგრელიშვილს, მუშებს მემედ ცინცაძეს, კომკავშირელ ტანია მაშინისტო-

ვას, კომუნისტ ევრა კოვზირიძეს, არიან ახლა ისინი, როგორ წარმოიქმნა მათი შემდგომი ცხოვრება?

თანამედროვეობასთან ერთად, რატურული აჭარისტანი“ არც მხარის წარსულს ივიწყებდა, ამასთან წინა პლანზე გამოჰქონდა და საგანგებოდ ხაზს უსვამდა სოციალურ მოტივს. ასეა არა მარტო პარმენ ლორიას მოთხრობაში „მეველუდა“, არამედ ალიო ადამიას ლირიკულ პოემაში „დაბადებულან აჭარისტანში“. ორივე ამ ნაწარმოებს დღეს გარკვეული ისტორიული მნიშვნელობა აქვს. „მეველუდამ“ საზოგადოებრიობის ისეთი ინტერესი გამოიწვია, რომ პ. ლორია თითქმის მაშინვე შეუდგა მოთხრობის გმირის მთელი ცხოვრების დაწვრილებით შესწავლას და რამდენიმე წლის შემდეგ გამოაქვეყნა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო რომანი „მეველუდი“. ალიო ადამიას პოემა „დაბადებულან აჭარისტანში“. კი იმით არის საგულისხმო, რომ პოეტმა მასში, თუ არ ვცდებით, ჩვენს ლიტერატურაში პირველად სცადა მოეცა აჭარის სახალხო გმირის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი სახელოვანი მეთაურის სელომ ხიმშიაშვილის მხატვრული სახე.

მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა გავრცელებას აჭარული ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა პუბლიკაციას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მაშინ სრულიად ახალგაზრდა მკვლევარის, აწ განსვენებული მეცნიერის ჯემალ ნოღაიდელის ღვაწლი. „ლიტერატურულ აჭარისტანში“ მან გამოაქვეყნა თქმულება „ქაიხოსრო ხელმწიფე“ (ხალხური „ვეფხისტყაოსანი“) კომენტარებითურთ. მკვლევარი გამოთქვამდა ჰიპოთეზას, რომ „ეს თქმულება სამხრეთ საქართველოში უნდა იყოს წარმოშობილი“, რამდენადაც „თვით ხელუხ ჩაუშო მესხიძე (ვისგანაც ჭაბუკობაში გაუგონია იგი მთქმელს წყავროკელ მეხედალი რომანაძეს — შ. ქ.). და მისი შთამომავლობა ქობულეთის რაიონში მესხნი არიან. საინტერესოა ვიკითხოთ: ხომ არ უნდა

იყოს ეს თქმულება უძველესი თქმულება, რომელიც სარჩულად დაედო შოთა რუსთაველის უკვდავ ქმნილება „ვეფხისტყაოსანს“? ჯერჯერობით ნოღადღვრულ „ლიტერატურულ აქარისტანში“ გამოაქვეყნა აგრეთვე ხალხური ლექსები და ნოველები, ხოლო გრიგოლ გორგაძემ — გამოცანები და ლიტერატურულად დამუშავებული თქმულებები.

აჭარული ხალხური შემოქმედება, რა თქმა უნდა, არ ამოიწურებოდა მარტოოდენ ზეპირსიტყვიერებით. ჩვენი მხარე განთქმულია შესანიშნავი ცეკვებითა და სიმღერებითაც და ამ ძვირფასი ეროვნული საუნჯის მოვლა-ვანგეთარება გაზეთმა კულტურული მშენებლობის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად მიიჩნია. კომპოზიტორ ალექსი ფარცხალაძისა და პროფესორ აკაკი ფალავას სტატიებში, რომლებიც „ლიტერატურულმა აქარისტანმა“ გამოაქვეყნა იმხანად მიმდინარე ხალხურ ხელოვნებათა ოლიმპიადისთან დაკავშირებით, საზგასმულია აჭარული ხალხური მუსიკისა და ქორეოგრაფიის სიმდიდრე, მათი უდიდესი მნიშვნელობა ახალი, შინაარსით სოციალისტური კულტურის აღმავლობისათვის ბრძოლაში. „ეს მარგალიტები, — წერდა კომპ. ალექსი ფარცხალაძე სტატიაში „ხალხურ ხელოვნებათა ოლიმპიადა“ — მეცნიერებისათვის ყველაზე უფრო საიმედო დასაყრდენია, ამაზე უნდა ჩამოყალიბდეს დიდი და მცირე ფორმის ნაწარმოები: ოპერა, ბალეტი, სიმფონია, სუიტა და სხვა... აუცილებელია ხალხურ ხელოვნებათა საგანძურის სისტემატური დათვალიერება, შეჯიბრება და ოლიმპიადები, რაც კიდევ უფრო აღვიწყოვს მოზნების მიღწევას“ („ლიტ. აქარისტანი“, № 1).

პროფ. აკაკი ფალავა განსაკუთრებით მოუხიბლავს ხალხურ ცეკვებს, კერძოდ, „ხორუმს“. სტატიაში „ხალხური შემოქმედების ტრიუმფი“ იგი წერდა: „ასლან აზიშის ანსამბლის, ქოჩახელას, ასლან ხალვაშის, ანანიძის, მეიდა ხალვაშის, ბექირ საგინაძის, დ. ჭყონიას ჯგუფთა ხორუმი ხელოვნების უმაღლესი ნიმუ-

შეზია როგორც ტექნიკის, ისე რიტმული ამეტყველების, გრაციის სახით, ასევე ემოციონალური დატენილობით მათი შესრულებაში გამოსჭვივის მრავალფეროვნება... თვალწინ დგას ცოცხალი ადამიანი, მგრძნობიარე, მოაზროვნე და მთელი არსებითი მოძრაობაში ამეტყველებული აქ არის ის ორგანული მთლიანობა, რომელიც ერთადერთი საზომია დიდი ხელოვნებისა. თითოეული ჯგუფის ხორუმის შესახებ შეიძლება დაიწეროს და უნდა დაიწეროს კიდევ მთელი პოემა, გარეშე მათი მეცნიერულ-მხატვრული შესწავლისა“ („ლიტ. აქარისტანი“, № 2).

გაზეთი ცდილობდა აღეზარდა ლიტერატორთა ახალი თაობა, მიეზიდა შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდები და სისტემატურად აქვეყნებდა მათ ნაწარმოებებს. მის ფურცლებზე დაიბეჭდა ფატყეულ დადინის, თინა ჩიხლაძის, რამიზ დათუნაიშვილის, გრიგოლ აფხაზავას, ალექსანდრე ჯორბენაძის ლექსები. მართალია, ისინი არ გამოირჩეოდნენ მაღალი მხატვრული დონით, მაგრამ მათში ჩანდა ახალგაზრდული შემართება, მაშინდელი ახალგაზრდობის გულისთქმა და სანუკვარი ოცნებები. ამდენად ეს ლექსები დღესაც იწვევენ გარკვეულ ინტერესს.

„ლიტერატურული აქარისტანის“ ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი იყო ქართული კლასიკური ლიტერატურის პრაზაგანდა და მასების აღზრდა მის პროგრესულ, მოწინავე იდეებზე. „დღეს კლასიკური მემკვიდრეობის მონაწილეობა საბჭოთა ხელოვნების შექმნაში იმდენად ცხადია და ნათელი, — წერდა გაზეთი სტატიაში „კლასიკური მემკვიდრეობის ათვისებისათვის“, — რომ დაუშვებელია კლასიკოსების შემოქმედების უგულებელყოფა... ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია... სისტემატურად გავაშუქოთ კლასიკოსთა შემოქმედება. გაზეთის ფურცლებზე მოთავსებული ნაწარმოებების, კრიტიკული წერილების, სურათების, ჩანახატების და განმარტებების გზით ჩვენი კლასიკური მწერლობა დავიცავნათ მუშამდე, კოლმეურნემდე,

წითელარმიელად, მოწაფედ — ერთი სიტყვით ჩვენი ცხოვრების მოწინავე ფრონტების წარმომადგენლებად“. ამავე ნომერში (№ 2) გაზეთმა გამოაქვეყნა აკაიის, ვაჟას, იროდიონ ევდოშვილისა და ჯოლა ლომთათიძის პორტრეტები და ავტოგრაფები იმასთან დაკავშირებით, რომ 1935 წელს ქართველი ხალხი აღნიშნავდა ამ სასიქადულო მწერალთა იუბილეს — გარდაცვალების ოცი წლის თავს. ამავე ნომერში ყურადღებას იქცევს ნიკოლოზ განდელაკის სტატია „შოთა რუსთაველის ჰუმორი“.

უკრთოდ და სიყვარულით გამოეხმაურა „ლიტერატურული აპარისტანი“ დიდი აკაიის იუბილეს, რომელიც თებერვალში გაიმართა. მას თითქმის მთელი მესამე ნომერი დაუთმო. გაზეთმა დაბეჭდა მოწინავე სტატია „აკაი“, გულო-აღა კაიკაციშვილის ცნობილი სიტყვა აკაიის დაკრძალვაზე 1915 წელს თბილისში, ილიას ქათამაძის, ვახტანგ კოტეტიშვილისა და გივი ნიორაძის სტატიები, თინა ჩინლაძის ლექსი, დიდი პოეტის გამოუქვეყნებელი ლექსები, ავტოგრაფები, ფოტოგრაფიულეტიკები, სხვა მასალები, მათ შორის ინფორმაციები აკაიის ღვთის მამის მიმდინარეობაზე აპარაში.

კლასიკური მემკვიდრეობის ათვისებას ვახუთი მჭიდროდ უკავშირებდა თანამედროვეობის პრობლემებს, რომელთა მარქსისტულ-ლენინურ დამუშავებას თავის ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად ისახავდა. ცნობილი ქართველი პოეტის ტიკიძის ტაბიძის სტატიში „საქართველოსა და აჭარისტანის საბჭოთა მწერლების თანამშრომლობისათვის“ ხაზგასმულია, რომ საბჭოთა ლიტერატურის უმთავრესი მოვალეობაა სრული სიმართლით, სოციალისტური რეალობის მეტოდის საფუძველზე ასახოს თანამედროვეობა, ის ახალი და პროგრესული, ცხოვრებაში რომ იხადება და ვითარდება, გვიჩვენოს სოციალიზმის მშენებელი ადამიანი, რომელიც თვისობრივად განსხვავდება კაპიტალისტური თუ ყველა სხვა არასოციალისტური წყობილე-

ბის ადამიანისაგან. „უმეცველია, — წერდა ტ. ტაბიძე, — აჭარელი დამკვირვებელი, რომელიც აწჷსის გვირაბების გათხრაზე მუშაობს და ევროპულ კოლმეურნეობის წვერია, სრულიად არ გაეს იმ ლევანტიელს, რომელიც დაყილობს შავი ზღვის არასოციალისტურ სანაპიროებზე და ადვილად გამოსარჩენს საქმეზე ოცნებობს“.

განსხვავებული გარემო განსხვავებულ შეგნებასა და ფსიქოლოგიას, ახალ სათქმელს წარმოშობს ღ ყოველივე ამან თავისი გამოხატულება უნდა პოვოს ლიტერატურაში. „განა ცოტა აქვთ სათქმელი იმ ახალგაზრდა კომკავშირელებს, რომლებიც ეწვეიენ ამ ღღეებში მოსკოვის გაზეთების რედაქციებს და საბჭოთა სუბტრაქციების მთავარ სამმართველოს და დარბაისელი და საქმიანი მოხსენებები გააკეთეს თავიანთ ციტრუსოვანი კულტურის შეფობაზე, იმ ახალგაზრდებს, რომელთაც გამოცხადებული აქვთ ლაშქრობა ჩაისა და სხვა ძვირფას მცენარეთა დამუშავების ხარისხის აწვეისათვის... და რამდენი კიდეც უნდა ჩამოითვალოს, რაც მოელის მწერლობაში შესვლას და დამკვიდრებას, რაც იქმნება ახალ ყოფასთან ერთად და მოელის ხელოვნების ნაწარმოებში განკაცებას უპირველეს ყოვლისა თვითონ აჭარელ მწერალთაგან, რომელიც მას ყოველდღიურად ხედავს, რომელიც იმისაგან და იმასთან სწავლობს, იცვლება და იზრდება“ („ლიტ. აპარისტანი“, № 1). დასასრულ ტ. ტაბიძე შენიშნავს, რომ ამ ღიღრ ამოცანის გადაწყვეტა მართო აჭარის მწერლებს არ შეუძლიათ, თუ მათ მეტი ოპერატიული ხელმძღვანელობა და დახმარება არ აღმოუჩინა საქართველოს მწერალთა კავშირში.

არსებითად ამავე სულისკვეთებითაა გამსჭვალული ვახტანგ კოტეტიშვილის სტატია „აჭარისტანი საქართველოს მხატვრების გამოფენაზე“, რომელიც თბილისში გაიმართა. ამ გამოფენაზე აჭარის ამსახველი ოცი სურათი წარუდგენიათ ელენე ახვლედიანს, თამარ აბაქელიას, კორნელი სანაძეს, ელადიმერ

კეშელავას და სხვებს. სურათების ასეთი სიუხვე, ვ. კოტეტიშვილის აზრით, შემთხვევითი კი არა, სავსებით კანონზომიერი იყო და აიხსნებოდა სამი გარემოებით. „ჯერ ერთი, აჭარისტანის ჩვენი ქვეყნის ულამაზესი ნაწილია; — წერდა კრიტიკოსი, — მეორე, რომ აჭარისტანში, იქნებ ისე როგორც არსად, შენახულია ადამიანთა ის აღნაგობა და პლასტიკურობა, რომელიც მხატვრის თვალს აუცილებლად მოიბაძვება, და მესამე, უმთავრესი ის არის, რომ აქ ახალი ეპოქის ქროლვა სავანებზე სიძლიერით იგრძნობა და სოციალისტურ მშენებლობას აქ განსაკუთრებული სიმანგილე ახასიათებს. აჭარისტანის დღემდე ლამაზი პეიზაჟი თანდათანობით ხელოვნური პეიზაჟებით იცვლება, მაგრამ ისე, რომ ამ ხელოვნებაში თითქმის მგეტი ბუნება არის შეტანილი“. მასმასაღამე, მხატვრები მიიზიდა თვით სინამდვილის სიდიადემ და კოლორიტმა, მაგრამ ცხოვრება იმდენად მდიდარი, ისე მრავალფეროვანი და მრავალწახანგოვანი აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდა მხატვრებს არ ეყოთ ოსტატობა სრულად გადმოცათ იგი. „ჩვენს მხატვრებს — წერდა ამის გამო ვ. კოტეტიშვილი, — ჯერ კიდევ დიდი და სერიოზული მუშაობა დასჭირდებათ იმ კულორის და იმ აღმანიების გრაციის გადმოსაცემად, რასაც აჭარისტანში ვხედავთ. ჩვენი ახალგაზრდა მხატვრებისაგან ჩვენ მოვითხოვთ, რომ ჩვენი ქვეყნის ეს ულამაზესი კუთხე მთელი თავისი დღევანდელი ბათოსით ისე გვიჩვენონ, რომ ამ სურათებში ამეტყველებული სიყვარული ჭარბობდეს მაყურებლის სიყვარულს ამ კუთხისადმი“ („ლიტ. აჭარისტანი“, № 1).

„ლიტერატურულ აჭარისტანს“ მხედველობიდან არც ხელოვნების სხვა დარგები გამოჩნენია, კერძოდ, თეატრი და კინო. ბათუმში იმხანად მუშაობდა მუშა ახალგაზრდობის თეატრი (ტრამი). ამ თეატრის წარმოშობისა და პირველი ნაბიჯების შესახებ მეტად საინტერესო ცნობა გამოაქვეყნა ქუთაისის ლიტერატურულმა გაზეთმა „სიტყვა და საქმე“

№ 2, 1934 წ.). იგი იუწყებოდა, რომ „ახალგაზრდა და ახალი ძალები“ შეუკრებიან დასი, რომელიც შეიქმნა თავისი პირველი სპექტაკლი „მეგობრების ქალიშვილები“ მამულში. თეატრის სათავეში ჩასდგომია რეჟისორი შოთა მანავაძე (თანაშემწე — კოწო დოლონაძე), რომელიც საქართველოს მუშა-ახალგაზრდობის თეატრსაც ხელმძღვანელობდა ქუთაისში“. ეს ცნობა „სიტყვა და საქმე“ გამოაქვეყნა იმის გამო, რომ ბათუმის თეატრის დასი ქუთაისს სწევია. „ქვევს მაისს, — წერდა გაზეთი, — ეს ენერგიითა და შემოქმედებითი წყურვილით აღსავსე კოლექტივი მთელი შემადგენლობით... ესტუმრა საქართველოს ტრამის ქუთაისში „ჩვენი ქვეყნის ქალიშვილების“ სპექტაკლზე დასწრების, ორი მომე კოლექტივის უშუალო დაახლოებისა და გამოცდილების მიღების მიზნით“. დასასრულ „სიტყვა და საქმე“ იწონებდა ბათუმელი ახალგაზრდობის ინიციატივას და წერდა: „ბათუმში წასო-წყებული ახალი საქმე ყოველმხრივი დასმარების და ხელმძღვანელობის ღირსია! აჭარისტანის მშრომელი მაყურებელი და მისი ახალგაზრდობა ღირსია კარგი, ახალგაზრდული სიჯანსაღისა და დაუღუველი ენთუზიაზმის თეატრისა“.

ქუთაისიდან დაბრუნების შემდეგ მუშა ახალგაზრდობის თეატრის მოუშადადებია თავისი პირველი სპექტაკლი „მეგობრების ქალიშვილები“ და წლის ბოლოს წამდგარა მაყურებლის წინაშე. „ლიტერატურული აჭარისტანი“, ბუნებრივია, გამოეხმაურა ამ მნიშვნელოვან მოვლენას, რესპუბლიკის ყულტურულ ცხოვრებაში და რუბრიკით „თეატრი და კინო“ გამოაქვეყნა ლადო შარაშიძის სტატია „აჭარისტანის მუშა-ახალგაზრდობის თეატრი“. სპექტაკლმა, როგორც ჩანს, ვერ დაეცაყოფილა კრიტიკოსი, აშკარა ყოფილა დისპროპორცია მის იდეურ და მხატვრულ დონეს შორის, რასაც მსახიობთა გამოუცდელობითა და არაპროფესიონალიზმით ხსნის. „ჩვენ გვჯერა, რომ მუშა ახალგაზრდობის თეატრის შექმნა არ შეიძლება რამდენიმე

თვეში, — წერდა ლ. შარაშიძე, — თუნ-
დაც იმიტომაც, რომ მასში გაერთიანე-
ბულია არა პროფესიონალურ თეატრებ-
ში აღზრდილი ძალები, არამედ ფაბრი-
კა-ქარხნებიდან, კოლმეურნეობებიდან
და კომკავშირიდან მოსული ახალგაზრ-
დები, რომელთაც პირველად უნახავთ
თეატრის სცენა და რომლებმაც აქტიო-
რობა აქვე უნდა ისწავლონ. ამიტომ
გვინდა, რომ სერიოზული ნაკლის მიუ-
ხედავად, რომელიც აჭარისტანის მუშა
ახალგაზრდობის თეატრის მუშაობას
გააჩნია, ეს დადგმა („ჩვენი ქვეყნის ქა-
ლიშვილები“ — შ. ქ.) მაინც პირობით
გამარჯვებულ ჩავთვალოთ“. კრიტიკოსს
აუცილებლად მიაჩნია საგანგებო ღო-
ნისძიებების განხორციელება დასის ახა-
ლგაზრდა მსახიობთა საერთო და „თეა-
ტრალური კულტურის შესათვისებ-
ლად“.

ხელოვნების თეორიის საინტერესო
პრობლემებს აღძრავდა ნიკოლოზ კან-
დელაკი ფართოდ გახმაურებული მხატ-
ვრული ფილმის „ჩაპაევისადმი“ მიძღვ-
ნილ სტატიაში „რწმენისა და სიხა-
რულის სანახაობა“. ეს სტატია არ
იყო ჩვეულებრივი რეცენზია, სადაც გა-
ნიხილავენ მსახიობთა თამაშს და ზოგად
შეფასებებს აძლევენ ნაწარმოებს. ავ-
ტორს სხვა მიზანი ამოძრავებდა. მას
სურდა ცხადყო „ჩაპაევის“ არნახული
გამარჯვების და საერთოდ მაღალი ხე-
ლოვნების ერთი უმთავრესი საიდუმ-
ლოება — შემოქმედის უნარი ამთვისე-
ბელი გამსჭვალოს იმავე სიხარულითა
და სიამოვნებით, რასაც თვითონ განიც-
დიდა ხელოვნების ნაწარმოების შექმნის
პროცესში. ამ უნარის მეოხებით მაღალ
ხელოვნებასთან შეხვედრისას თითქოს
იშლება ზღვარი შემოქმედსა და ამთვის-
ებელს შორის, „მაყურებელი წვდება
შემოქმედების უჩინარ ხლართებს, უახ-
ლოვდება ხელოვანის სულისკვეთებას“. ფილმის
„ჩაპაევის“ დემონსტრაციის
დროსაც ასე ხდება და აი ამიტომ იგი
ნიკოლოზ კანდელაკს მაღალი ანუ ქეშ-
მარიტი ხელოვნების ნიმუშად მიაჩნდა.
„განსხვავება თეატრსა და კინოს შორის,

— წერდა ავტორი, — რაც უმთავრესად
იმაში გამოიხატება, რომ თეატრში მა-
ყურებელი მსახიობის შემოქმედებით
პროცესში განიცდის მხატვრულ ზეგავლენას,
ხოლო კინოში შემოქმედებით პროცესის
შემდეგ, შეუმჩნეველია ამ სურათში („ჩაპაევი“ — შ. ქ.), რადგანაც
მაყურებელი იმდენადაა სურათის მიმდინარეობით
დატყვევებული, რომ მის წინაშე ცოცხალ აღმაიანებს გრძნობს
და ავიწყდება კინოში რომ იმყოფება“
(„ლიტ. აჭარისტანი“, № 4).

„ლიტერატურული აჭარისტანის“ ერ-
თი დიდი ღირსება იყო, რომ არ იკეტე-
ბოდა „წმინდა“ ლიტერატურულ სამ-
ყაროში, ცდილობდა ფეხდაფეხ მიჰყო-
ლოდა ხალხის ცხოვრებას, აშკარად გა-
მოეხატა თავისი დამოკიდებულება ამა
თუ იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური
მოვლენისადმი, სინამდვილისადმი. ნი-
შანდობლივია, რომ გაზეთის პირველი
ნომერი გამოვიდა 1935 წლის ექვს იან-
ვარს, სწორედ იმ დღეს, როცა მუშაო-
ბას იწყებდა აჭარის საბჭოების მეთერთ-
მეტე ყრილობა. ამით მან ხაზი გაუსვა
თავის დაინტერესებას საზოგადოების
ცხოვრებით, ლიტერატორთა პასუხის-
მგებლობას პარტიისა და ხალხის წინაშე.
აჭარისტანის საბჭოთა მწერლების კავ-
შირის ორგანიზებული ორგანოს — „ლი-
ტერატურული აჭარისტანის“ პირველი
ნომერი გამოდის დღეს, როცა იკრებება
აჭარისტანის ახალი ცხოვრების მშენე-
ბელთა XI ყრილობა. დღეს ერთხელ
კიდევ გამოიტანა საბჭოთა აჭარისტანმა
მისი მხატვრული შემოქმედების ერთი
ნაწილი ჩვენი მშრომელი მასების პი-
რუთუნელ სამსჯავროს წინაშე“, — წე-
რდა გაზეთი მოწინავე სტატიაში „ექვსი
იანვარი“ და დასძენდა, რომ მხოლოდ
„საბჭოთა ხელისუფლების უმაღალითო
წარმატების პირობებში“ მიეცა საშუა-
ლება აჭარის მშრომელებს ეზრუნათ
მხარის კულტურული აღორძინებისათ-
ვის.

ამ დებულებას ფაქტებით ადასტუ-
რებდა აჭარის განათლების სახალხო
კომისიის ილიას ქათამაძის სტატია „კუ-


ლტერული მშენებლობა აჭარისტანში“, რომელიც გაზეთმა იმავე ნომერში გამოაქვეყნა. „მხოლოდ 1921 წლიდან იწყება აჭარისტანის ეკონომიური და კულტურული აყვავება, — წერდა სახალხო კომისარი, — მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მოიშუშეს აჭარის მშრომელებმა ძველი იარები და იწყეს თავისი ბედის თვითვე გამოჭედვა“. შედეგები მართლაც უმაგალითო აღმოჩნდა, თოთხმეტი წლის მანძილზე მხარემ ძირფესვიანად იცვალა სახე. „92 საწარმოო ერთეული, მათ შორის ცხრამეტი საკავშირო მნიშვნელობის, 73 ადგილობრივი, ნაცვლად ერთი და ორი პრიმიტიული როტმილდ-მანთაშევის ქარხნებისა — აი ჩვენი სიამაყე. 254 კოლმეურნეობა, ოცდაორი საბჭოთა მეურნეობა — აი ის, რამაც შესცვალა აჭარის სოფლები“, — წერდა ი. ჭათამაძე.

ეკონომიურ აღორძინებას თან მოჰყვა უდიდესი ძვრა კულტურულ ცხოვრებაში, მოსახლეობის კულტურული დონის მკვეთრად ამაღლება. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ციფრები და ფაქტები, რომლებიც თავის სტატიაში მოაქვს ი. ჭათამაძეს. „აჭარისტანი, — აღნიშნავდა იგი, — წერა-კითხვის უცოდინარი ქვეყანა იყო. მთელი აჭარა რომ შემოგვევლო, თითზე ჩამოთვლიდი წერა-კითხვის მცოდნეს. დღეს 70% წერა-კითხვის მცოდნეა, როგორც მამაკაცი, ისე დედაცა“. სახალხო კომისრის ცნობით, ნაცვლად 38 სკოლისა, რომელშიც 2.600 მოსწავლე ირიცხებოდა, 1935 წლის დამდეგისათვის აჭარაში ყოფილა 340 სკოლა 25.120 მოსწავლით, 10 ტექნიკუმი, ორი მუშუაჯი, ერთი საფაბრიკო-

საქარხნო სწავლების სკოლა, 42 რადიო, წერტი, 12 კინო, 20 წითელი კუთხე, ქონ-სამკითხველოები, კლუბები, ~~მედიკალური~~ ^{ფიზიკური} ოთეკები, გამოდიოდა რვა გაზეთი, ~~344~~ ³⁴⁴ ~~მუხ~~ ^{მუხ} სეზობდა სახელმწიფო გამომცემლობა, მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილება.

ფართოდ აღინიშნა „ლიტერატურული აჭარისტანის“ ფურცლებზე ლენინის დღეები, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების თოთხმეტი წლისათვის. ჩელუსკინელთა ლეგენდარულ ეპოპეას მიეძღვნა კ. ოროკელის ნარკვევი „გმირების სათარეშო“, რომელიც გამსჭვალული იყო პატრიოტული გრძნობით საბჭოთა სამშობლოსათვის, მისი გამარჯვების, მისი აღამიანების მაღალი ზნეობრივ-პოლიტიკური ღირსებისათვის.

ეს ორგანული კავშირი ცხოვრების მიმდინარეობასთან გაზეთის ყოველ ნომერში აშკარად ჩანდა და მის ძალას წარმოადგენდა. „ლიტერატურული აჭარისტანი“ მთელ საქართველოში ვრცელდებოდა და ბევრი მკითხველიც ჰყავდა (იბეჭდებოდა 4000 ეგზემპლარი). მიუხედავად ამისა, გაზეთმა თავისი წინამორბედი ლიტერატურული ორგანოების ბედი გაიზიარა, ორი თვის შემდეგ საგნებით მოულოდნელად არსებობა შეწყვიტა, შეწყვიტა ისე, რომ სარედაქციო კოლეგიას არავითარი განცხადება არ გამოუქვეყნებია. შეწყდა ქუთაისის ათ-დღიური გაზეთის „სიტყვა და საქმე“ გამოცემაც. ასე, რომ 1935 წლის მარტიდან საქარველოში მარტო ერთი ლიტერატურული გაზეთი — „ლიტერატურული საქართველო“ გამოდის.



კანტელეიმონ პეტრენკო

როგორც ამაში ქვემოთ დავრწმუნდებით, პოეტისა და მთარგმნელის პანტელეიმონ ანტონის ძე პეტრენკოს (1908-1936 წ.) მხოლოდ წელს გახმაურებული ბიოგრაფია აქარსთანაც არის დაკავშირებული.

ბევრს უყვირს, რომ ჩვენგან 800 და 500 წლით დაშორებული რუსთველისა და შექსპირის ბიოგრაფიები თითქმის უტნობია, მაგრამ იშვიათად თუ ვინმე დაფიქრებულა იმაზე, რომ ასევე თითქმის არაფერი ან ძალიან მცირე რამ ვიცით, მაგალითად, ჩვენი უფროსი თაობის თვალწინ გარდაცვლილ ნ. ფიროსმანიშვილზე, რომელიც 1918 წლის 5 მაისს დაკრძალეს მისმა მეგობრებმა კუტაიზე, მაგრამ საფლავი უკვე დაკარგულია.

კიდევ უფრო ახალი ამბავია პეტრენკოს უდროოდ დაღუპვა, მის შესახებ ვერავითარ ცნობას ვერ იპოვით უკრაინულ საბჭოთა ენციკლოპედიაშიც კი.

რატომ? რედაქცია გიპასუხებთ: უკრაინელი პეტრენკო წერდა რუსულ ენაზე. მაშასადამე, ის რუსი პოეტია და მის შესახებ რუსულ ენციკლოპედიაში უნდა იყოს წერილი. მეორეც, მის ბიოგრაფიას არ ვიცნობთ...

რუსული ენციკლოპედიის რედაქტორები კი პირიქით გეტყვიან — პ. პეტრენკო უკრაინულ ენციკლოპედიაში უნდა ეწეროს, მისი ბიოგრაფია ჩვენ არც კი მოგვეპოვებოდა.

„ვეფხისტყაოსნის“ ცნობილსა და

ერთ-ერთ საუკეთესო მთარგმნელს, ვინც არ უნდა იყოს იგი ეროვნებით, ქართული ენციკლოპედია გვერდს ვერ აუღლის, მით უფრო, რომ იგი პოეტი და მხატვარიც იყო, უკრაინაში, რუსეთსა და საქართველოშიც ცხოვრობდა და წერდა.

ამიტომ იყო, რომ პირველად ჩვენ გამოვაქვეყნეთ თუ არა წერილები პ. პეტრენკოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ჟურნალ „ლიტერატურა და კრეატივი“ (1969 წ. № 1) და გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“ (1969 წ. 11 აპრილი), მათ მაშინვე გამოეხმაურა ქართულ-რუსულ-უკრაინული პრესა, მეტიც — მეორე წერილი ითარგმნა და დაიბეჭდა გაზეთ „ლიტერატურა უკრაინაში“ (1969 წ. 1 მაისი), ჩვენს ორივე წერილს თავისი სიტყვა დაუმატა საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარმა, პროფესორმა სერგო ქობულაძემ („ლიტერატურული საქართველო“, 1969 წ. 9 მაისი). უკრაინიდან იწერებოდნენ, რომ ქართველი ავტორის წერილმა დღემდე უცნობ უკრაინელ პოეტ პანტელეიმონ პეტრენკოზე „დიდი ინტერესი გამოიწვია კარპატიებიდან შავ ზღვამდე მცხოვრებ უკრაინელებში“ („ლიტერატურული საქართველო“, 1969 წ. 9 მაისი).

შემდეგ ჩვენვე პ. პეტრენკოზე კიდევ ერთი წერილი გამოვაქვეყნეთ გაზ. „ვეჩერნი თბილისი“ (1969 წ. 21 ივნისი). აქვე დაიბეჭდა პ. პეტრენკოს მიერ

ბათუმში დაწერილი ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „დედა“ (10. VII. 1932 წ.).

პეტრენკოს შემოქმედებითი ცხოვრება უკრაინაში დაიწყო. 1931 წლის 19 ივლისიდან 1932 წლის 28 აგვისტომდე იგი ბათუმში იმყოფება. შემდეგ ის არის ჩაქვში. ნოემბრის შუა რიცხვებში ისევ ბათუმში ჩანს. იმავე წლის დეკემბრის 10-დან კი თბილისში იმყოფება და ძირითადად აქ ცხოვრობს სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

ავტორის გამოუქვეყნებელ ლექსთაგან 100-მდე ლექსი მას ბათუმსა და ჩაქვში დაუწერია. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ცნობები პ. პეტრენკოს ცხოვრება-მღვაწეობის შესახებ საინტერესო იქნება ჟურნალ „ლიტერატურული აპარის“ მკითხველთათვის.

ჩვენ ხელთ არსებული საარქივო მასალების მიხედვით, პ. პეტრენკო 1908 წელს დაბადებული უკრაინაში.

მომავალი პოეტის მამა ანტონ პეტრენკო და დედა ანა ტიხონის (უფრო ზუსტად ვეტისის) ასული კუდმენკო-პეტრენკო მასწავლებლები ყოფილან.

ანა პეტრენკოს სიტყვებით, მას და ანტონ პეტრენკოს რომ ჯვარი დაუწერიათ, მეორე დღესვე დილით მასთან მისულა ახალგაზრდა ლამაზი ქალი რამდენიმე თვის ბავშვით. ქალს ანასათვის უთხოვია: ნუ დიდებ ამ ბავშვის ცოდვას, მამას ნუ ართმევო.

ანა საერთოდ მტკიცე ნებისყოფის ქალი ყოფილა. — ანტონს ცოლშვილის შესახებ ჩემთვის არაფერი უთქვამს, მაშ, მომბატუილა არა, მასთან არ ვიცხოვრებ — გადაუწყვეტია და მართლაც მას სამუდამოდ განშორებია.

ანას შვილი შესძენია და ისე აღზარდია, რომ ყოფილი ქმრისაგან დახმარებაც კი აღარ მიუღია. დედა ისე ევლებოდა შვილს თავზე, რომ ზოგჯერ სკოლაშიც არ უშვებდა, — თვითონ უხსნიდა შინ გაკვეთილებს, უკითხავდა ხალხურ ზღაპრებსა და საბავშვო მოთხრობებს. შემდეგ დედა-შვილი (მეხუთე კლასიდან) ერთად კითხულობდნენ უკრაინული,

რუსული და ევროპული ლიტერატურების კლასიკურ ნიმუშებს, განსაკუთრებით ყოფილან გატაცებულნი შვეიცარიელ პოეტ კოს, პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის პოეზიითა და შექსპირის დრამებით.

დედა პანტელეიმონს ტოსიას ეძახდა. თვითონ პანტელეიმონი კი თავის თავს ლექსებში აბელ პიპუარს უწოდებს.

ანასათვის თბილისში პირველ მასპინძლებს უკითხავთ, როგორ მოგმართოთ.

— ბებია მიწოდეთ და გათავდა, — უპასუხია მას.

თბილისშივე ერთ გარეშე პირს პანტელეიმონისათვის უკითხავს, რა გქვიათ, და პასუხად მიუღია:

— თქვენთვის სულ ერთი არაა, რა გქვია? მიწოდეთ ორშაბათი. გაიგეთ? ორშაბათი...

ჩანს, რომ ბევრი რამ იყო საერთო დედასა და შვილს შორის ხასიათშიც.

როგორც ითქვა, დედა-შვილი 1931 წელს ჩამოსულან ბათუმში. შემდეგ თბილისში გადმოსულა ჯერ დედა, რომელსაც მუსიკის პედაგოგ გ. ნ. მაჭავარიანთან და მის დასთან ბაბოსთან უცხოვრია. თითქმის ერთი წლის შემდეგ ანა პეტრენკო ვეჭილისა და მთარგმნელის შალვა ქართველიშვილის (ივანე მაჩაბლის ვაჟი) და მისი მეუღლე ელენე ჯაქარაძე-ქართველიშვილის ოჯახშია. შალვა დახმარებია ანას შვილის გადმოყვანაში.

თბილისში ყმაწვილს საკუთარი ლექსებითა და ნახატებით მასპინძელთა ყურადღება მიუპყრია. ოჯახში ხშირად იყო ლაპარაკი „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის შესახებ. პ. პეტრენკოს შალვასათვის უთხოვია, „ვეფხისტყაოსნის“ რუსული პუკარედი მაშოვინებით. შალვას თვითონ გაუკეთებია 12-17 სტროფების პუკარედი. პ. პეტრენკოს უთარგმნია ნამუშევარი ძირითადად მოსწონებია შ. ქართველიშვილს და მთარგმნელი თავის მეგობარ კონსტანტინე ჭიჭინაძისათვის გაუტენია. ეს უკანასკნელიც მამობრივი მზრუნველობით მოპყრობია ახალგაზრდას, ხსენებული ხუთი სტროფის თარგ-

მანიც გაუთმჯობესებით და საქმე განუგრძაოთ.

თარგმანის პირველი ნიმუში დაიბეჭდა კიდეც გაზეთ „ნა რუბეჟე ვოსტოკაში“ (1934, X. 23, № 18/21, გვ. 1).

„ვეფხისტყაოსნამდე“ პ. პეტრენკოს უთარგმნია რამდენიმე ქართველი პოეტი რუსულ ენაზე, ფრანგი პოეტები ბოდლერი, ვერლენი, ჟაკობა, რემბო, სალმონა, სუპო და სხვები კი — უკრაინულ ენაზე.

აქვე უნდა ვთქვათ, პ. პეტრენკო ძალიან მგრძნობიარე, მოაზროვნე **ორიგინალური** პოეტი და მწერალიც იყო.

ჩვენს მწერალთა კავშირში „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა კ. ჭიჭინაძე (1935 წ. 5 ნოემბერი). გ. ცაგარელის, ს. ყანჩელისა და სხვ. თარგმანთა ნიმუშებს ცნობილი მსახიობები კითხულობდნენ. ბოლოს პ. პეტრენკომ თვითონ წაიკითხა მის მიერვე თარგმნილი რამდენიმე სტროფი და ფურორი მოახდინა.

თარგმანის ნიმუშს ცნობილ ალ. სვანიძემდე მიუღწევია. მას იგი ი. ბ. სტალინისათვის გაუცნია და მასაც მოსწონებია.

როგორც შ. ნუცუბიძე მოგონებებში აღნიშნავს, შემდეგაც უთქვამს ი. ბ. სტალინს: „დღემდე მე ვიცნობდი „ვეფხისტყაოსნის“ პეტრენკოსეულ კარგ თარგმანს“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1969 წ. № 15).

პ. პეტრენკოსა და კ. ჭიჭინაძის ერთობლივი მუშაობა კიდეც უფრო ინტენსიურად და მეტი ხალისით წარიმართა. ამის შედეგია, რომ გამოიცა „ვეფხისტყაოსნის“ პ. პეტრენკოსეულ თარგმანი კ. ჭიჭინაძის მონაწილეობითა და რედაქციით, აკად. ი. ორბელის წინასიტყვაობითა და რედაქტორობით (მოსკოვი-ლენინგრადი, 1938 წ.) მასში 1601-ის შემდეგი სტროფები თარგმნილია ბ. ბრიკისა და კ. ჭიჭინაძის მიერ.

ესაა რუსთაველის ქმნილების ერთ-ერთი საუკეთესო თარგმანი რუსულ ენაზე. მეტიც, მხატვრული ღირსებებით, განსაკუთრებით კი ეპიკური ლექსის

რუსული ქვერადობით, ესაა საუკეთესო თარგმანი კ. ბალმონტის არაზუსტი თარგმანის შემდეგ და უზუსტესი თარგმანი შ. ნუცუბიძის თარგმანის შემდეგ.

„ვეფხისტყაოსნის“ ხსენებული რუსული გამოცემა, რომელიც განახორციელეს ი. ორბელმა და ამ სტრიქონების ავტორმა, ტექნიკურადაც შესანიშნავადაა გაფორმებული: ძვირფას ყდაში ჩასმული, უმაღლესი ხარისხის ქაღალდზე ნაბეჭდი თაბახები ილუსტრირებულია ჩვენი სახელოვანი მხატვრის ს. ქობულაძის მიერ, რომელიც მთარგმნელესავე კარგად იცნობდა და პ. პეტრენკოს დედისა და მეგობრების ზოგი ფოტოსურათიც შემოვიწინა.

„ვეფხისტყაოსნის“ ხსენებული თარგმანის მეტი რომ არაფერი გაეკეთებია პ. პეტრენკოს, მისი სახელი მაინც უკვდავი იქნებოდა.

მაგრამ პ. პეტრენკომ თარგმნა არა მხოლოდ „ვეფხისტყაოსანი“, არამედ ბესიკის, საათნოვას, თანამედროვე ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი პოეტების ლექსებიც რუსულ ენაზე.

ერთ-ერთ თავისი უბის წიგნში გალაკტიონ ტაბიძე წერს: მე შეუძლიან მთარგმნონ პასტერნაკმა და პეტრენკომ...

პ. პეტრენკო ისე დაუახლოვდა გალაკტიონს, რომ ის უბის წიგნაკში უწერს მას ლექსებს.

ახალგაზრდა პოეტი 1933 წელს თბილისიდან მშობლიურ კიევის გაემგზავრა. იქ ვერ დარჩა, მოსკოვს გასწია, ვერც იქ გაჩერდა; მან ყველაზე მეტი სიტოხო თბილისში იგრძნო და მას მოაშურა...

როგორც ზემოთაც ითქვა, პ. პეტრენკო არა მხოლოდ მთარგმნელია, არამედ ფრიალ **ორიგინალური პოეტიცაა**. ჩვენს განკარგულებაშია მისი მრავალი ლექსი, ზოგიერთი პოემა და შესანიშნავი მიმოწერა (უკრაინულ და რუსულ ენებზე). რიგი მათგანი უეჭველად ღირსია გამოცემისა.

1 იხ. მისი წერილი ალ. სვანიძის შესახებ ჟურნალ „მნათობში“, 1962, № 8, გვ. 163-168.

პ. პეტრენკოს ხატვაც ემარჯვებოდა. მაგალითად, მან 1933 წელს მოხატა „მისი მფარველის“ (როგორც ის მას უწოდებს) ელენე ბაქრაძე-ქართველიშვილის საძინებელი ოთახი, 1934 წელს მანვე მოხატა ელენეს დის ვერა ბაქრაძის ოთახი და ცალკე კაბინეტი პოეტ ვალერიან გაფრინდაშვილისა. პეტრენკომ შექმნა მასთან დაახლოებული ქართველი პოეტების, მწერლებისა და ჟურტიკოსების პორტრეტები. მაგალითად, შესანიშნავია მის მიერ შესრულებული დიდი პოეტრეტები მწერალ ბარზოვისა.

მიმოწერის გადარჩენილი ნაწილიდან ჩანს, რომ პ. პეტრენკოს, როგორც პოეტს, დიდად აფასებდნენ პოეტები ანდრეი ზელი, პასტერნაკი, ტინიანოვი, იური ოლენკო, რეჟისორი მეიერჰოლდი, თეატრალი ტატინა რეიხი და სხვ. მაგ., პ. პასტერნაკი შუამდგომლობს საქართველოს მწერალთა კავშირის წინაშე, რომ თარგმანები, რომლებიც უკვე გაფორმებული ხელშეკრულებით პასტერნაკმა უნდა შეასრულოს, პეტრენკოს გადაეცეს, რათა უკანასკნელს საარსებო პირობები გაუმჯობესდეს. ერთი წერილის მიხედვით, პასტერნაკი პ. პეტრენკოს ახალ რეგზოს უწოდებს, ოლენკო კი — მსოფლიოს პირმშოს. მეიერჰოლდი სთხოვს კრიტიკოს ბესარიონ ჟდენტს, პ. პეტრენკოს ხელი შეუწყვეთ.

მართლაც შეექმნა პ. პეტრენკოს საარსებო პირობები თბილისში და კ. კიკინაძესთან ერთად „ვეფხისტყაოსნის“ შემოხსენებულ თარგმანს ამთავრებდა. რომ 28 წლის უდავოდ ნიჭიერი, ტიტანური შრომის ამტანი კაცი 1936 წლის აპრილის ბოლოს თუ მაისის დასაწყისში ბრმა შემთხვევისა და საკუთარი დაუღუპლობის მსხვერპლი გახდა. იგი

თქემიან ღამეში, მაშინ ჯერ კიდევ მთავრებულ ჩელიუსკინელებს ხილავდადიქრა. ამობრჭებულმა მტკვრის ტალღებმა ისე შთანთქმეს, თქემიან ღამეში დავად ხანგრძლივი ძებნისა, მისი გეზის აღმოჩენაც კი არ მოხერხდა...

გაუბედურებული დედა — ანა კულეჩენკო-პეტრენკო თბილისშივე გარდაიცვალა და დაიკრძალა თბილისის პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. ჩვენ დიდხანს ვეძებდით ამ საფლავს. დაბოლოს მივაგენით მას. ნაბლად ჩანს, რომ საფლავის ძეგლზე მიცვალეხულის სურათიც ყოფილა. ახლა ის ამოტეხილია. წარწერა რუსულ ენაზე კი გადარჩენილია: „აქ განისვენებს ანა ვეტიხის ასული პეტრენკო, დედა პოეტ პენტელებიზმ პეტრენკოსი, რუსთაველის პოემის მთარგმნელისა. 18.VI-1875 — 19.22.XII.38“.

დავადგინეთ ისიც, რომ თბილისში უკანასკნელად პ. პეტრენკო ლესელიძის ქ. № 32-ის ზემო სართულში ცხოვრობდა.

ქართველი და უკრაინელი ხალხების ხანგრძლივი მეგობრობა, დავით გურამიშვილისა და ლესია უკრაინკას ღვაწლი, თვით პ. პეტრენკოს დამსახურება იმის საფუძველს იძლევა, რომ ჩვენი მწერალთა კავშირის თაოსნობით აღინიშნოს პ. პეტრენკოს დაბადების უახლოესი მრგვალი თარიღი, თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს პ. პეტრენკოს სახელი, სახლზე, რომელშიც უკანასკნელად ცხოვრობდა პ. პეტრენკო, მოეწყოს მემორიალური დაფა, გამოიცეს პ. პეტრენკოს რჩეული ნაწერების კრებული პოეტის ბიოგრაფიითა და მასალებით, განახლდეს პ. პეტრენკოს დედის შემოხსენებული საფლავი.

პ. პეტრენკო

დ ე დ ა

დიდი ხანია, დედაც, ახლოს აღარ მეგულები, კეთილ ჩემო, საყვარელო, ობროდის დედაც, ვიგონებ ყველას, მოკეთებებს მოშორებულთ. შენზე ვნაღვლობ და შენ მაკლიხარ ყველაზე მეტად.

გამოჩნდებოდი ხოლმე მუდამ გაოცებული
და გაქრებოდი ისევ მალე გაკვირვებული
და ლოცულობდი ხატების წინ დაოქებული,
შვილს ავედრებდი არსთ გამოჩეცს მხურვალე გულით.

ყოველთვის გიღაგა უზილავი მძიმე უღელი
შენ, მოფუსფუსე ჭიანჭველავ, კეთილო ჭუჭავ.
მე განზე ვიდექი, მაწამებდა გულის დუღილი.
შენ ჩემს ოცნებებს დარაჯობდი, ადექი ბურჯად.
არ მასწავლიდი არასოდეს ცხოვრებას ნამდვილს —
ივლისახვევას, ვერაგობას, სიცრუეს, ღალატს.
მადლობა შენდა, საყვარელო, ათასი მადლი,
რომ დღეს ხვალინდელს არ უხდი ღალას.
ჩემი ვარსკვლავი სწორედ მიტომ ელვარებს ასე,
რომ შენი ხელით გააბრწყინე ჩემს გულში იგი.
საბრალო ჭუჭავ, შენ სომ გსურდა დიდების ცაზე
შენი ბიჭუნა ღირსებოდა ოდესმე გვირგვინს.
შენ პოელობდი შვილს, დაკარგულს ბნელში ნემსივით,
იქ, სადაც ჩემებრ რიგიანი კაცი არ დადის.
შავი ფიქრების კრაზანები იმ დროს მესია,
დროს ეპოელობდი და საკუთარ ჟესტს მიემართავდი.
ადიკვიატე ჭირვეული მოჩვენებანი
და გადავიქცე ბოლოს ცოცხალ უცნაურობად.
ბურანში ყოფის არსი უფრო ნეტარად ვცანი,
ვიდრე ნამდვილი მგლის ხროვის და ცხვრის ფარის როცა,
ცხოვრობდი, რომ მე მეაზროვნა, ვით ალქიმიკოსს,
რათა შემექმნა არაჩნებულ ყოფის რეცეპტი.
სიხარულისთვის, ყოველთვის რომ საეჭვო იყო,
წლობით ვიწვოდი და ამაოდ საშველს ვეძებდი.
და ამიტომაც შეეჩვიე შენ გაოცებას
და წარბებიც ხომ მიტომა გაქვს შეხრილი მარად.
იქნებ მოაღბონ ღვთისმშობელი შენმა ლოცვებმა
და მოველინოს შენს „უბედურ“ შვილს მწედ და ფარად.
მჯერა რომ ბოლოს გაგიღიმებს წმიდათა წმიდა,
უნეტარესი, გულმოწყალე ლტოლვილთა დედა,
ვარსკვლავი იგი ბეთლემისა იელვებს ციდან
და მხიარული დაგვადგება თავს ნათლის სვეტად.

ბათუმი, 10/7-32 წ.

თარგმნა გიორგი სალუშვაძემ.



ქართული წიგნი

ქართველი ხალხის მდიდარი ტრადიციები თაობიდან თაობას გადაეცემოდა ხელნაწერი წიგნების საშუალებით.

როგორც ცნობილია, წიგნის გადაწერლობა საქართველოში უძველესი დროიდან გარკვეული სპეციალობა იყო. გადაწერს კარგი შემოსავალი ჰქონია და გაფორმებული წიგნი ძვირადღირებული იყო. აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის ცნობით, XI საუკუნის ერთ-ერთ სიგელში ასეთი მინაწერი იკითხება: „ვიყიდე წიგნი პარაკლიტონი და ფასად მივეც ცხენისა ნახევარი“. ქართული ეკლესია-მონასტრები, რომელთა ქსელი ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც ფართოდ იყო გაშლილი, დაუღალავად იღვწოდნენ წიგნის გადაწერისათვის. ასევე დაუცხრომელი სამწიგნობრო საქმიანობა იყო გაჩაღებული ცალკეულ ოჯახებში. ამ გზით მოაღწია ჩვენამდე შოთას „ვეფხისტყაოსანმა“, „ქართლის ცხოვრების“ ვარიანტებმა და ეროვნული კულტურის სხვა მრავალმა ღირსშესანიშნავმა ძეგლმა.

ვეროპაში პირველი ნაბეჭდი წიგნები XV საუკუნის შუა წლებში გამოიცა, ხოლო პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი გამოვიდა რომში XVII საუკუნეში. მხოლოდ 80 წლის შემდეგ გახდა შესაძლებელი საქართველოში ნაბეჭდილიყო პირველი ქართული წიგნი.

რატომ მოხდა, რომ პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი გამოიცა არა საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთ, კერძოდ იტალიაში?

XVII საუკუნიდან საქართველოთი

განსაკუთრებით დაინტერესდნენ იტალიელი მისიონერები, რადგან საქართველო ერთგვარი ხიდი იყო იტალიის სავაჭრო-ეკონომიური და პოლიტიკური მიზნების განხორციელების გზაზე. ახლო აღმოსავლეთში გავლენის გასაძლიერებლად იტალიელები საქართველოსთან კულტურული ურთიერთობის საფარით პოლიტიკურ მიზნებს ისახავდნენ.

ვატიკანის გავლენის სფეროებად აღმოსავლეთის ქვეყნების გადაქცევის ემსახურებოდა მისიონერების გამოგზავნა საქართველოში, რომლებიც ამავე დროს იტალიის სავაჭრო კაპიტალის ერთგვარი აგენტები იყვნენ. მათ ოფიციალურად ევალებოდით კათოლიკური სარწმუნოების ქადაგება ქართველ ხალხში. ამ მისიის შესასრულებლად კი აუცილებლად უნდა ცოდნოდათ ქართული ენა. საჭირო იყო ამ ენაზე წიგნების გამოცემა. ამიტომ XVII საუკუნის დამდეგისათვის პაპმა ურბან VIII იტალიელ გამომცემლებს მისცა ქართულ-იტალიური ლექსიკონის, წიგნებისა და სათანადო სახელმძღვანელოების დაბეჭდვის ნებართვა. და აი ვატიკანის მისიონერებმა ქართული წიგნის გამოცემისათვის პირველივე შემთხვევა გამოიყენეს. 1627 წელს, რომში ჩავიდა თეიმურაზ პირველის ელჩი, ცნობილი ქართველი მოღვაწე, დიდად განათლებული ადამიანი ნიკოლოზ ომანის ძე ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი ანუ ნიკოლოზ ირბაქი, რომელმაც პაპს მიუტანა საქართველოს მეფის წერილი. სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოების გამგის აქილ ვენერიოს

გადმოცემით, სწორედ ამ წერილიდან ახოუკრეფიათ მისიონერებს ასოები და ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის (ირბაქის) ხელმძღვანელობით ჩამოუხსამთ ქართული შრიფტები. მისი ინიციატივითვე 1627 წელს დაარსებულა რომში პირველი ქართული სტამბა.

ნიკოლოზ ირბაქი კარგახანს დარჩენილა რომში, სადაც საკმაოდ შეუსწავლია იტალიური ენა, ხოლო თავის მხრივ იტალიის ცნობილი საზოგადო მოღვაწის სტეფანე პაოლინისათვის უსწავლებია ქართული ენა, შემდეგ ორივეს დაუწყია ქართულ-იტალიური ლექსიკონის შედგენა, რომელიც ძირითადად გაფაღის-წინებული იყო მისიონერთა დასახმარებლად. 1629 წელს სარწმუნოების გამაგრცელებელი საზოგადოების ქართულ სტამბაში დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი — „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“-ს, შედგენილი სტეფანე პაოლინის მიერ. ამ წლიდან იწყება ქართული ნაბეჭდი წიგნის ისტორია.

ლექსიკონის დასაწყისში აუნუსხავ გვერდებზე ვკითხულობთ აქილ კენერიოს მიმართვას პაპ ურბან VIII-სადმი. წიგნის პირველი და მეორე გვერდი უჭირავს ქართულ-იტალიურ ანბანს. ყოველი ქართული ასოს გასწვრივ დაბეჭდილია იტალიური შესატყვისი თავისებური ბგერითი განმარტებით. ლექსიკონში სულ სამი ათასი ქართული სიტყვაა. წიგნში შესული იტალიური სიტყვები ანბანზეა დალაგებული, ხოლო ყოველი ქართული სიტყვის შესატყვისის მოსაძებნად მიითითებულია გვერდი და სტრიქონი. წიგნი შეიცავს 178 გვერდს. სამწუხაროდ, ლექსიკონში ბევრი შეცდომაა, ეს იმიტომ, რომ წიგნის ბეჭდვისას ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (ირბაქი) არ იმყოფებოდა რომში, ის რომიდან წავიდა 1628 წლის დეკემბერს.

ქართულ-იტალიური ლექსიკონის გამოსვლის შემდეგ რომში დაიბეჭდა „ქა-

რთული ანბანი ლოცვებითურთ“¹ პირველი შვიდი გვერდი უჭირავს ქართულ მხედრულ ანბანს, დანარჩენი ნაწილი დაბეჭდილია ლოცვები, ათი მცნება და ღვთისმშობლის საგალობელი.

ფრიად საყურადღებოა რომში გამოცემული მესამე ქართული წიგნი „ქართული გრამატიკა“ (1643 წ.), რომლის ავტორია იტალიელი მისიონერი ფრანცისკო-მარია მაჯიო. მას რვა წელი უცხოვრია საქართველოში და კარგად შეუსწავლია ქართული ენა. მარია მაჯიოს „ქართული გრამატიკა“ მეორედ, 1670 წელს გამოიცა ოდნავ შეცვლილი სახელწოდებით: „წიგნში მოცემულია ქართული ხელისა და მართლწერის ანალიზი, ქართული დამწერლობის სამი სახე: მხედრული, მრგოლოვანი და ხუცური. გრამატიკის ბოლო ნაწილი მოიცავს სომხურ-ქართულ და არაბულ-ქართულ ანბანს, ეტიმოლოგიას და სინტაქსს.

მეოთხე ქართული წიგნი რომში დაიბეჭდა 1681 წელს, ეს იყო ცნობილი იტალიელი მქადაგებლის პატრ ბერნანდო მარიაშის „ქართლის მხედრული ენით“ თარგმნილი კარდინალ ბელრამინოს იტალიური ნაწარმოები „საქრისტიანო მოძღვრება სიმეოლოებით და რიგებულთ“.

ზემოხსენებული ქართული წიგნების ტექსტებში მრავალი შეცდომაა. მიუხედავად ამისა, ამ გამოცემებს თავის დროზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ. დასავლეთმა ევროპამ, კაცობრიობის ამ ახალმა კულტურულმა ცენტრმა, მათი წყალობით პირველად გაიცნო ქართული ენა.

ქართული ნაბეჭდი წიგნის შემდგომი ისტორია დაკავშირებულია გამოჩენილი პოეტისა და მეფის არჩილ მეორის სახელთან. პოლიტიკური ვითარების გამო რუსეთში გადახვეწილი არჩილი მოსკოვში დაუკავშირდა დასავლეთ ევროპის

1. წიგნის ერთ-ერთი ეგზემპლარი დაცულია კ. მარქსის სახ. საქართველოს რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში.

2. წიგნი ინახება კ. მარქსის სახელობის საქართველოს რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში.

განათლებულ პირებს. ერთ-ერთი მათგანის შემწეობით ამსტერდამში გააქვებინა ქართული შრიფტი და პეტრე პირველის ნებართვით 1705 წელს მოსკოვის სინოდის სტამბასთან მოწყობილ ქართულ წიგნთსაბეჭდავში დაბეჭდა „დავითნი“.

XVIII საუკუნის პირველი ნახევრისათვის საქართველოში საკმაოდ განვითარდა წიგნების ბეჭდვა. ამ პერიოდში მეფისა და პოეტის ვახტანგ VI-ის მზრუნველობით თბილისში დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ჩაეყარა საფუძველი. ამ საქმეში ვახტანგ VI-ის უახლოესი თანამოღვაწე იყო დიდი ქართველი მწერალი სულხან-საბა ორბელიანი. აღსანიშნავია, რომ ვახტანგ მეფემ თბილისში საგანგებოდ ააგო სტამბის სახლი, რომლის გამართვაში დიდი დახმარება გაუწია რუმინეთის გამოჩენილმა მოღვაწემ ეროვნებით ქართველმა ანთიმოზ ივერიელმა (1650-1717). ვახტანგ VI-ის თხოვნით თბილისში სტამბის გასამართავად ანთიმოზმა გამოგზავნა თავისი უნგრეთელადელი მოწაფე მესტამბე მიხაილ იშტენაოვიჩი (მიხეილ ვალახი).

ვახტანგ VI-ის ინიციატივით დაარსებული სტამბა პირველი ეროვნული სტამბა იყო არა მარტო საკუთრივ საქართველოში, არამედ მთელ ამიერ და იმიერკავკასიაში.³ 1712 წელს ამ სტამბაში

3. წიგნის სტამბური ბეჭდვის ტრადიციამ მე-19 საუკუნის დამდეგს საქართველოდან გავრცელება იწყო მეზობლად მდებარე აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში. 1823 წელს თეირანში პირველი ეროვნული სტამბა ტყეის მოძრავი შრიფტით დააარსა ირანის შაჰის კარზე მიღებულმა მუათმადულ დავლად წოდებულმა ქართველმა მანუჩარ-ხან გურჯამა. ასევე 1829-1830 წლებში ერაყის დედაქალაქ ბაღდადში პირველი ეროვნული სტამბა გამართა მუჰამედ ბაქირ თბილისელად წოდებულმა ქართველმა მამულეშვილმა, როდესაც ამ ქვეყნის სათავეში იდგა ქართველი მამულე ქაუდ-ფაშა მანველაშვილი - ბაჩილაშვილი.

შხედრული შრიფტით პირველად დაბეჭდა შოთა რუსთაველის უკუდავით ფხისტყაოსანი⁴ ვახტანგ VI-ის ნებართვით.


სულ ვახტანგ VI-ის სტამბაში 1709-1722 წლების განმავლობაში გამოიცა ოცი სახელწოდების წიგნი.

მე-18-ე საუკუნის პირველი მეოთხედის დასასრულისათვის სულხან-საბა ორბელიანის თაოსნობით რომში სსსწავლებლად გაიგზავნა 23 წლის გორელი ახალგაზრდა ტულუქაანთ დავითა. 1724 წელს დავითი შევიდა კოლევში. ენერგიული მუშაობის შედეგად 1732 წელს მან საუცხოოდ დაიცვა საჯარო დისერტაცია ფილოსოფიაში. ერთი წლის შემდეგ კი მღვდლად ეკურთხა ლათინურ ტიპიკიზზე და კაპუცინებთან შევიდა ბერად.

ტულუქაანთ დავითამ თავისი მოღვაწეობის მოკლე მანძილზე ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთა. მან აღადგინა და განაახლა ქართული სტამბა რომში, შეადგინა საეკლესიო წიგნი „საქრისტიანო მოძღვრება გინა წურთვნა შეიღთა საიდუმლოთა ზედა“, რომელიც მანვე თარგმნა იტალიურ ენაზე. დავითი გარდაიცვალა 1734 წელს. მისი სიკვდილის შემდეგ ერთმა ქართველმა კათოლიკემ მღვდელმა იკისრა მისი შრომების გამოცემა, მაგრამ მხოლოდ „საქრისტიანო მოძღვრება“ დაუბეჭდეს 1741 წელს.⁴

საქართველოში წიგნის ბეჭდვის კარგი პირობები ხანგრძლივი არ გამოდგა. ჯერ ვახტანგ VI-ის პოლიტიკურმა ტრაგედიამ, ხოლო შემდეგ ჩვენი ქვეყნის საერთო პოლიტიკურმა ბედუქლომართობამ ბოლო მოუღო პირველ ქართულ ეროვნულ სტამბას. როგორც ცნობილია, 1724 წელს ვახტანგ VI შინაური და საგარეო მდგომარეობის გართულების გამო იძულებული გახდა მრავალრიცხოვანი ამალით რუსეთში გადახვეწილიყო იმ იმედით, რომ რუსეთის დახმარებით თავიდან მოიშორებდა სამ-

4. წიგნის ერთ-ერთი ეგზემპლარი ინახება აკ. წერეთლის სახელობის აჭარის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში.



შობლოს მტრებს. ვახტანგის ამაღლაში შედიოდნენ მაშინდელი მოწინავე ქართველი მოღვაწეები, მათ შორის მრავალპირადადხდილი სულხან-საბა ორბელიანი.

რუსეთში გადახვეწილ ქართველებს, მიუხედავად მძიმე პირობებისა, იქაც არ შეუწყვეტიათ ზრუნვა ქართული სტამბის აღდგენისათვის, რომელსაც ჯერ კიდევ არჩილ მეფემ ჩაუყარა საფუძველი.

1737 წლიდან მოსკოვში გამოვიდა თერთმეტი სახელწოდების სქელტანიანი ქართული წიგნი. აქ სასტამბო-საგამოცემლო საქმიანობას სათავეში ედგნენ იოსებ სამეხელი, ქრისტეფორე გურამიშვილი (ჩვენი დიდი პოეტის დავით გურამიშვილის ძმა), მეფის ძენი ბაქარი, ეახუშტი და სხვ. 1755 წელს ქართული სტამბა პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის გამოცემლობაში გადაიტანეს. 1762 წლიდან ქართული წიგნის ბეჭდვა განახლდა მოსკოვის სტამბაში. ქართული წიგნი იბეჭდებოდა სხვადასხვა დროს კრემენჩუგში, მოსკოვში, ვენეციაში, პარიზში, ლონდონში, კონსტანტინეპოლში...

რაც შეეხება ქართული სტამბის ბედს თვით საქართველოში ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის შემდეგ, შემოსეულმა მტრებმა იგი დაუნდობლად დაარბიეს.

ქართული სტამბა ნანგრევებიდან აღდგა 1749 წელს მეფე ერეკლე მეორის თაოსნობით. ქართული წიგნების ბეჭდვა-გამოცემაში დიდი დავალი მიუძღვის ქრისტეფორე კეყელაშვილს, რომელსაც ერეკლე მეორემ სტამბის წარმოება ჩააბარა. აღსანიშნავია, რომ XVIII საუკუნის 90-იანი წლებიდან შრიფტს თბილისში ამზადებდნენ. დაარსებიდან 1795 წლამდე ამ სტამბაში სულ დაიბეჭდა 30-მდე სახელწოდების სქელტანიანი წიგნი.

1795 წელს სპარსეთის შაჰმა ალა-მაჰმად ხანმა დაარბია თბილისი და დაწვა ზეველ მეორის მიერ განაწლებული და რთული სტამბა, ამ სტამბის აღდგენა იკრება 1800 წელს.

საუკუნის დამდეგს დასა-

ლეთ საქართველოში დიდ ინტერესს იწვევდა სასტამბო საქმის აღდგენა. იქვე წელს იმერეთის მეფე სოლომონ II-მ საგანგებოდ გაგზავნა მოსკოვს მესტამბე გიორგი პაიჭაძე, რომელმაც შეიძინა სტამბის მოწყობილობანი, შრიფტი და 1800 წელს ქუთაისის სტამბაში დაიბეჭდა პირველი წიგნი „დავითნი“, წიგნის ერთვის გ. პაიჭაძის ანდერძი. აქ მოთხრობილია სტამბის მოწყობისა და პირველი წიგნის დაბეჭდვის ამბავი.

XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში ქართული წიგნის ბეჭდვა-გამოცემის საქმე თბილისში საგრძნობლად შეფერხდა. გამოცემის წარმოადგენდა იოანე ქართველიშვილის „გრამატიკა“. გამოცემული 1815 წელს, სოლომონ დოდაშვილის „ქართული გრამატიკა“ (1830 წ.) და პლატონ იოსელიანის „ანბანი“ (1838 წ.).

იმ ხანებში უკეთესი მდგომარეობა იყო რუსეთში. იქ XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან ქართული სამეცნიერო წიგნების გამოცემას სათავეში ჩაუდგნენ გამოჩენილი მეცნიერები, საქართველოს ისტორიისა და კულტურის მოამაგე, აკადემიკოსი მარი ბროსე და ცნობილი ლექსიკოგრაფი დავით ჩუბინაშვილი. მათი თაოსნობით მრავალი ქართული წიგნი დაიბეჭდა მოსკოვის სინოდური კანტორის სტამბაში. ცოტა უფრო ადრე კი მარი ბროსეს დაუცხრომელი სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგად პარიზში გამოვიდა მთელი რიგი ქართული საისტორიო და ლინგვისტური შრომები ფრანგულ-ქართული ტექსტებით. მ. ბროსემ და დ. ჩუბინაშვილმა გამოაქვეყნეს შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (1841), ეახუშტის გეოგრაფიული ნაშრომი, კლასიკური ქართული ქრესტომათიები, დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონები და სხვ.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის სტამბაში დამკვიდრებული ქართული წიგნის ბეჭდვა იმდენად მყარ-

5. წიგნი ინახება ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში.

გამოდგა, რომ როცა სამოციან წლებში ქართული წიგნის ბეჭდვის ცენტრი კვლავ თბილისი გახდა, პეტერბურგში ქართული წიგნის გამოცემა შეუფერხებლად მიმდინარეობდა. ასე, მაგალითად, პეტერბურგში პირველად დაიბეჭდა სულხან-საბა ორბელიანის იგავების კრებული „სიბრძნე სიცრუისა“. ცნობილმა თერგდალეულმა, ილიას თანამოაზრემ კირილე ლორთქიფანიძემ აქ შეადგინა და გამოსცა „ჩონგური“, რომელშიც გამოქვეყნდა ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვათა ნაწარმოებები.

60-იანი წლებიდან ქართული წიგნი საბოლოოდ უბრუნდება თავის მშობლიურ ქვრას — თბილისს, სადაც შედარებით ფართო საგამომცემლო საქმიანობა გაიწვია, კერძოდ, დაიბეჭდა დიდი ქართველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოები, ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციამ გამოაქვეყნა იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“ (ნაწ. 1), „ვეფხისტყაოსანი“ და სხვ.

70-იანი წლებიდან ქართული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გამოცემას სათავეში ჩაუდგნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი და გიორგი წერეთლები, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, ივ. მაჩაბელი, რომელთა დაუღალავი შრომის მეოხებით ქართველმა მკითხველებმა შედარებით მოკლე დროში ნაბეჭდი სახით მიიღეს ძველი და ახალი კლასიკური ქართული მწერლობის ნაწარმოებები, სამეცნიერო და საისტორიო ხასიათის შრომები.

ქართული წიგნის გამოცემის საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, და მაინც ქართული წიგნის გამოცემას აბრკოლებდა და ზღუდავდა თვითმპყრობელური საცენზურო პირობები და მძიმე მატერიალური მდგომარეობა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართული ნაბეჭდი წიგნების რიცხვი და თემატიკა არანახულად გაიზარდა. თუ ქართული წიგნის ბეჭდვის შემოღებიდან (1629.)

საქართველოში და მის გარეშე თითქმის 300 წლის მანძილზე — 1921 წელამდე სულ გამოიცა 6,203 ქართული წიგნი, რომელთა საერთო ტირაჟი ერთ მილიონს არ აღემატება, 1921 წლის თებერვლიდან 1969 წლის პირველ იანვრამდე (48 წლის მანძილზე), დაიბეჭდა — 32,542 სახელწოდების ქართული წიგნი, რომლის საერთო ტირაჟი 18 მილიონს აღწევს.

თუ რევოლუციამდე რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ორიოდ გამოცემა არსებობდა, საბჭოთა პერიოდში იგი ორმოცდაათჯერ გამოიცა, რომელთა საერთო ტირაჟი 500 ათასს აღემატება. დიდი ტირაჟით გამოდის ილიას, აკაკის, ვაჟას, ნ. ბარათაშვილის, ალ. ყაზბეგის, გ. ტაბაიძის და სხვა კლასიკოსებისა და თანამედროვე მწერლების ნაწარმოებები.

ქართველი მშრომელები მშობლიურ ენაზე ეცნობიან მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ყველა ნაწარმოებს.

ქართულად თარგმნილი და გამოცემული თანამედროვე და კლასიკური რუსული ლიტერატურის ყველა საუკეთესო წარმომადგენლის ნაწარმოებები.

თარგმნა და გამოიცა სახალხო დემოკრატიული ქვეყნებისა და დასავლეთის კლასიკოსების და თანამედროვე მწერლების საუკეთესო ნიმუშები. ქართველი მკითხველები ახლა მშობლიურ ენაზე კითხულობენ ბალზაკის, ზოლას, სტენდალის, ჟიულ ვერნის, ჰიუგოს, მოპასანის, ანატოლ ფრანსის, გოეთეს, შილერის, იბსენის, შექსპირის, პროსპერ მერიმეს, ანრი ბარბიუსის, ჯეკ ლონდონის, ჰემინგუეისა და სხვათა ნაწარმოებებს.

რევოლუციამდელ აპარაში, განსაკუთრებით თურქი დამპყრობლების ბატონობის პერიოდში, ქართული წიგნის გამოცემაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო, რადგან თურქი აშიმილატორები ყოველგვარ ღონისძიებას მიმართავდნენ, რათა მკვიდრ მოსახლეობას დავიწყებოდა მშობლიური ქართული ენა. აპარლებს უცვლიდნენ გვარს, სახელს, ქართულ ენაზე ლაპარაკისათვის აჯარიმებდნენ. სას-

ტიკად იღვწებოდა ქართული წიგნები. აჭარელ მშრომელს სწყუროდა სწავლა-განათლება, ენატრებოდა მშობლიური ქართული წიგნი.

საქართველოსთან აჭარის შეერთების შემდეგ დაიწყო ბათუმში ქართული წიგნის გამოცემა, მაგრამ ძალზე შეზღუდულად, რადგან მეფის მთავრობას სრულიად არ აინტერესებდა მოსახლეობისათვის მშობლიურ ენაზე მიეცა სწავლა-განათლება.

პირველი ქართული წიგნი ბათუმში დაიბეჭდა 1889 წელს ა. მახარაძის კერძო სტამბა-ლითოგრაფიაში.

სულ რევოლუციამდე აჭარაში გამოიცა 100-მდე სახელწოდების ქართული წიგნი მეტად მცირე ტირაჟით.

საბჭოთა ხელისუფლებამ აჭარის მშრომელებს მოუტანა თავისუფლება, შეძლებული და კულტურული ცხოვრების ნათელი პერსპექტივები, ბათუმში შეიქმნა აჭარის ასსრ სახელმწიფო გამოცემლობა, რომელიც მშრომელთა იდე-

6. „ახალი ლექსები სალდათობაზე და ჯიბის ფულზედ შედგენილი მღვდლის შვილის მიერ გერასიმე თევზაძისაგან. ბათუმი. მახარაძის სტ. ლითოგრაფია. 1889 წ.“. წიგნის ერთი ეგზემპლარი დაცულია ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში.

ური და კულტურული დონის ამაღლებას ემსახურება. აქ სისტემატურად ვრცელდება მხატვრული, პოლიტიკური, საზოგადოებრივი და სხვა ხასიათის ლიტერატურა.

1921 წლიდან 1969 წლამდე (48 წლის მანძილზე) აჭარაში გამოიცა 750-ზე მეტი სახელწოდების წიგნი 1,3 მილიონზე მეტი ტირაჟით, ამასთან სახელმწიფო გამოცემლობა სისტემატურად აღიღებს წიგნების გამოცემას. თუ 1958 წელს გამოიცა 25 სახელწოდების წიგნი, მიმდინარე წელს გამოვა 50 სახელწოდების წიგნი და ბროშურა. 300 საგამომცემლო თაბახის მოცულობით.

აჭარაში გამოდის ორი საოლქო (ქართულ და რუსულ ენებზე) და 5 რაიონული გაზეთი (ქართულ ენაზე), საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „ლიტერატურული აჭარა“.

ქართული წიგნის გამოცემის უდიდესი პერსპექტივები ისახება მიმდინარე ხუთწლედში. საკმარისია ითქვას, რომ 1969-1973 წლებში საგრძნობლად გაიზრდება წიგნის გამოცემა როგორც სახელწოდების, ისე უმთავრესად ტირაჟის მხრივ.

ახლა ქართველ მშრომელებს ყველა პირობა აქვთ ხარბად დაეწაფონ წიგნს, ცოდნისა და განათლების ამ უშრეტ წყაროს.





გრიგოლ ჩხიძე

შეხვედრა

მე და ჩემი მეგობარი ერმალოზ კვინიხაძე სოფლის ცენტრში, მუხის ძირას ვისხედით და ვსაუბრობდით. ვისვენებდით ჩვენს პირველკლასელობას და მხიარულ ხასიათზე ეცყავით. ის იყო ერმალოზს რაღაც ახალი ამბავი უნდა დაეწყო, რომ ფოსტალიონმა ხელში დებუნა მიაჩენა და თვითონ ძალაუვნებურად მეტად სერიოზული სახე მიიღო.

— რაა, ბიჭო აგი? — გაიკვირვა ერმალოზმა და ფოსტალიონს აღმაცერად ასედა.

— წაიკითხე და გაიგებ.

— ეჰ, არ დავლუბულვარ კაცი! — დაიკრა მუხლებზე ხელი ერმალოზმა და ზეზე წამოვარდა.

— რა ამბავია, ერმალოზ, ხომ მშვიდობაა? — მივაძახე, მეც ფეხზე წამოვვარდი და თვალი დებუნის ფურცელს გავაყოლე.

— რაღა მშვიდობაა, საწყალი ჩემი სიდდარი არ მომკვდარა! იგი უბედური! ვინ შეუტყალებს ახლა ამას ჩემს აგრაფინეს. არ მოიკლავს ცოცხალ თავს! — წარმოსთქვა მოკლე მონოლოგი ერმალოზმა და ფოსტალიონს მიუბრუნდა.


— შენ, ბიძია, იმიზე გაქვს მაგი ჩანთა კისერზე ჩამოკიდებული, რომ ხალხს წესიერად მოემსახურო. წერილი და დებუნა სახლში უნდა მიუტანო. წადი ახლა, წაიღე აგი და შენ თვითონ, შენი ხელით მთავრად აგრაფინეს. ნახე რანაირ არაყს გახუხენებს, მიჩვეული რომ ყავხარ. — ფოსტალიონმა უგანა, მე ჩემი ვალი პირნათლად მოვიხადეო, მიიძახა და გაუჩინარდა.

— ა, რა ვქნა ახლა მე? — იკითხა შეწუხებულმა ერმალოზმა.

— რა გეწყობა, უნდა შევუტყადოთ, აბა, მაგის დამალვა ხომ არ შეიძლება? დედაშენი სადაა, ხომ სახლშია? — ვკითხე ცოტა დუმისის შემდეგ ერმალოზს.

— დედაჩემი, — ამოოხვრით გაიმეორა ერმალოზმა, — არა, ქალაქშია. ეჰ, ის რომ იყოს სახლში, მაშინ... — რაღაც კიდევ უნდოდა ეთქვა, მაგრამ დუმილი ამჯობინა და მე შემომხედა.

— აბა, ახლა წადი შენ, აგრაფინე შეამზადე, მე კი ამასობაში მეზობლებს შევატყობინებ და გეახლებით. ნუ გეშინია, აგერ არ ვართ ჩვენ! ჩვენი ჭირი და ღზინი რამ გაყო? — დავაიმედე მეგობარი და მეც გავეცალე.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერმალოზი ფეხმოკვეთით ჩავიდა ეზოში, ოდის კიბე უხმაუროდ აიარა, აქაში გამოიტანა და თავზე ხელზეშმოწყობილი მოაჯირს მიუჯდა. აგრაფინემ საქმეები რომ მოითავა, შემდეგ, მოგვიანებით ახედა ქმარს. რაღაც არ მოეწონებოდა უჩვეულო მოწყენილობა, იფიქრა, ავად არ იყოსო. აკაპიწებული კაბის კალთა ჩამოუშვა, თხები შეისწორა, ხელები გაისუფთავა და ქმრისაკენ გაემართა. გვერდით დაუდგა, ერთხანს უტადა რამეს თვითონ მეტყვისო, მაგრამ ერმალოზს უნა მუტელში ჩაუეარდა და რას ეტყოდა. ისევე აგრაფინემ ამოიღო ხმა.

— რა იყო, კაცო, რავე კრიჭაშეკრული ზიხარ, რა მოგვივიდა, ავად ხომ არა ხარ? — ეპ, ნეტავ მე ვიყო ავად და ავი ამბავი არ მოგვსვლოდა. — ენის ბორძიკით წაღულდულა ერმალოზმა და ცალი თვალი ჩუმად ცოლისკენ გააპარა.

— რა ამბავია? — მეხდაცემულივით აუწია უცებ ხმას აგრაფინემ და ქმარს დაუცაცხანა. — ამოიღე ეს ამოსაძრობი ენა, თქვი რა მოხდა.

— რა და... — კვლავ დაება ენა ერმალოზს, — რა და საწყალი დედაჩემი... — ჩემი სიდდერით უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვეღარ გაბედა, — აღარ გვეყავს. — როგორც იქნა ამოდგარა. ცოლს დეპეშა ხელში ჩააჩეჩა, აზლუქუნდა და მდუღარე ცრემლები გადმოიღვრა.

— ზოდა, ასე ვერ იტყვი, — ამოისუნთქა აგრაფინემ. დეპეშა შეაბრუნ-შემოაბრუნა, არც კი წაუკითხავს ისე მიაგდო გვერდზე. ქმარი შეეცოდა და დაუყვავა.

— კარგი, ახლა, თუ ღმერთი გწამს, თავს ნუ მოიკლავ, ნასწავლი კაცი ხარ, განათლებული, შეგნებული, რა მოხდა მერე, ასეა ეს ქვეყანა, მამები უნდა მოკვდნენ, დედები უნდა მოკვდნენ, შვილებმა და შვილიშვილებმა უნდა გაიხარონ. შეგნებული კაცი ხარ და შეგნებულად უნდა მოიქცე.

— მა... მა... მასეა, ხომ? — ცოტა გული მოეფონა ერმალოზს და ხმას აუწია.


— კი, კი მასეა, შენ რე მომიკვდები. — კვლავ დაუყვავა აგრაფინემ.

— აბა, მასე თუა, ავაშენა ღმერთმა. შენც შეგნებული და განვითარებული ქალი მიყავხარ.

მერე?

— წაიკითხე დეპეშა... დედაჩემი კი არა დედაშენი მომკვდარა. ის უბედური. აბა ახლა შენ იცი და შენმა ქალობამ, როგორ შეგნებულად შეხედები ამას, არ დაგავიწყდეს. მშობლები უნდა მოკვდნენ, შვილები უნდა დარჩნენ.

— ვაიმე, დედა — იწიელა აგრაფინემ და გაიქაჩა. თუ არა ჩემი წინასწარ შემზადებული მეზობლები, ერმალოზი ცოლს ვერათერს მოუხერხებდა. ალბათ, მოაჯირიდან გადმოივრებოდა და ერმალოზსაც თან გადმოიყოლიებდა.



ქურონალ „ლიტერატურული აზარის“ 1969 წლის ნომრების

შინაარსი

ლექსები, პოემები

ანანიძე ა. — ლენინი ყრილობაზე,
ანანიძე ლ. — ესკადრილია, № 4.

წვიმა ქალაქში, № 1.

ანთაძე ც. — დედა, მოვიდა ჩემი პა-
ტარა შვილი, № 2.

ართილაძე რ. — მწიფობისთვე, № 5.

ახომაძე ა. — სიმღერა ჰქვია, ***
(ელვით და მეხით) № 1.

გვარიშვილი ნ. — მრავალ ახალ წელს!
მეზღვაურები, ზამთარი ზღვაზე, თეთრი
ცრემლები, გზას დავადგები, დიდი, დი-
დი ხელები, უნდა მივიდე, პატარა ჩიტი,
საქართველოს ცაო, № 1.

გორგილაძე ზ. — მაჩვენეთ, № 5, უნ-
და ავმადლდეთ, საუკუნე გავაულებს რო-
ცა (ლირიკ. პოემა), № 6.

გურგენიძე ა. — რწმენა, № 2.

ვარშანიძე მ. — იავნანა, ზარზმა, მე
და ჩემი ნუგზარი, ირმა გიგალობს, სამ-
შობლოვ!, ჩემი გოგონა, დედა, სურათი
და მხატვარი, ჩემო ბიჭუნავ, *** (რის-
თვის დავარქვია...), რა ლამაზია, რა დია-
დია, № 3, შემოანათა აპარლის ქოხში
(ლირიკ. პოემა), № 4, დიდება შენდა!
№ 5, ჩემი ქუჩა, აქ დავიბადე, ვიცი ჩა-
მოსხვალ, თეთრი ნისლი, მეც ვმადლდე-
ბოდე, *** (ეპ. გული იწვის...), № 6.

კეჭერაძე ზ. — რწმენა, აღმართი, № 5,
დრონი მეფობენ, № 6.

ლორია რ. — საუბარი შვილთან, ჩე-
ნი სოფლის ქალები, № 1, წამიყვანე რა!
№ 3.

მალაზონია ნ. — ცა და მწვერვალი,
№ 5.

მელია ი. — დიდი სიცოცხლე, № 2.
მუავია ქ. — ლენინის დროშა, № 2.
მზის სიყვარულით, *** (ულამაზესო...),
№ 4, შენ დამილოცე, № 5.

როყვა შ. — პოეტი, № 5.

სალუქვაძე გ. — ლენინი ბათუმის
მთაზე, ჩემი მიწა, გურიელიძის ქალო!,
დაგაგვიანდა, დღე, ნუ შემიბრალე, № 3.
ფიქრი, № 5.

ქათამაძე ჯ. — ზღვასთან, ელიას ციხე,
*** (დღეს ჩემთან ცეკვავ...), № 3.

შეთიკაური გ. — გემი „რუსთაველი“
ბათუმის ნავსადგურში, № 5.

ჩხარტიშვილი რ. — ფოთლების სიმ-
ფონია, *** (წყაროს გასწვია ტავანით),
№ 1, მინიატურები, № 5.

ხალვაში ფ. — ნუგეში, კარჩხალის
მთა, მეპიბონე, შენ, პეჩორა და ნისლი,
წყალი ჩამოდის, *** (პოლონეთში ბა-
თუმზე...), № 2. და ხდება ასეც... № 5.

ჯაფელი ჯ. — კვალი, ბუხარი, არ ვე-
კითხებით ერთმანეთს, აფსუს..., ***
(თვალი უკეცდევების...), *** (თუ მოსვლი-
არის...), № 1.

ჯანგულაშვილი თ. — შირილდანი, № 1.

ჯალაღონია ნ. — მომავალ დღეთა სი-
კეთის გეგერა, № 6.

ზოიძე შ. — კაცი, რომელიც ქუჩაში
მიდის, № 2. ახალდაბაში, *** (მო-
ვალ...), № 5.

ხალხური პოეზია (ლექსები ლენინზე),
№ 1.

თარგმნილი ლექსები

პეტრენკო პ. — დედა (თარგმნა გ. სა-
ლუქვაძემ), № 6.
კრილოვის იგავ-არაკებიდან, № 1.

მოთხრობები, ნოველები, მინიატურები

გელოვანი ა. — ყმაწვილი და სიკვდი-
ლი, № 1, № 2.
ლორია პ. — საუბარი ბადიშებთან,
№ 2, მისი ნამუშობი, № 4, № 5.
მოდებაძე ნ. — კალედოსკოპი, № 2,
სინანული, № 4, მამის კერა, № 5.
ნაცვალაძე დ. — ნალის ფასად, № 3.
სანადირაძე გ. — კერია, № 1.
ჭანტურია ვ. — გიბრალტარის სიმ-
ფონია, № 3, „პოსეიდონი“, № 5.
ჯიჭვიშვილი ჯ. — ფიქრები ცხელ
დღეს, № 3, ჩემი პირველი მხატვარი
№ 6.
ხალვაში ფრ. — ბიძაშვილი, № 3.

თარგმნილი მოთხრობები, ნოველები

აგაოილი ტ. დ. — სულმდაბლობა (ინ-
გლისურიდან თარგმნა ო. ფარეიშვილმა).
მალკოვი პ. — კრემლის კომენდანტის
ჩანაწერები (თარგმნა შ. როყვამ), № 2.
ორასიო კიროვა — სამი წერილი (თა-
რგმნა გ. მაჭუტაძემ), № 3.
როსლერი ი. — გულთმისანი (გერმან.
თარგმნა ნ. ბასილაძემ), № 1.
რუდი შტრალი — ჩემი მეგობარი
სიბილე (გერმანულიდან თარგმნა გ. მა-
ჭუტაძემ), № 6.
შაშვიკი ი. — მღვდელი და მოლა (თარ-
გმნა ა. შარაძემ), № 4.

დღეობი და ადამიანები

ვაშალომიძე შ. — სახლიკაცები, № 1.
ჩაჩუა რ. — მოხუცი მეთევზის ფიქრე-
ბი, № 6.

ლექსები



ბიბილიშვილი ა. — ყმეჩიანულში
უმღერის ჩანგი, № 5.
გობრონიძე ა. — აღზრდა ულიანო-
ვების ოჯახში, № 3.
მახარაძე ფ. — აქ ცხოვრობდა დ.
მოლვაწობდა ლენინი, № 6.
საცვლიშვილი პ. — ლენინი და ოქ-
ტომბერი გ. ტაბიძის პოეზიაში, № 1.
ცივაძე ე. — ლენინის უახლოესი მე-
გობარი, № 1.

პრინტიზა და პუბლიცისტიკა

ბერიძე მ. — ზღაპრული მოტივი მხა-
ტერულ ნაწარმოებში, № 1.
დუმბაძე ნ. — ნოველის დიდოსტატი,
№ 6.
ქურიძე შ. — ლაყვარდში შემონახუ-
ლი სიმღერა, № 2, პოეტი და მთარგმნე-
ლი, № 4.
ჭინჭარაძე პ. — ჩაქვისწყლის ტოპო-
ნიმიკის ზოგიერთი საკითხის შესახებ.
№ 1.

ცეკიტარია პ. — ძმობის და მეგობრო-
ბის გზით, № 1.

წერილები

მეგრელიძე ი. — კარის მეზობლები,
№ 3.
მეგრელიძე ი. — პანტელეიმონ პეტ-
რენკო, № 6.
თურმანიძე ო. — მეციტრუსეობა რე-
ვოლუციამდელ აჭარაში, № 4.
ინწირველი ნ. — ბათუმელი მენა-
თობეები სამამულო ომის მრისხანე წლე-
ბში, № 3.
ლილუაშვილი გ. — მოქალაქეთა უფ-
ლებების დაცვის სადარაჯოზე, № 4.
ქურიძე შ. — პირველი ლიტერატურუ-
ლი გაზეთი აჭარაში, № 6.

აპარის წარსულიდან

ჩავლეიშვილი ა., ბეკირიშვილი ი. —

ბგარის ეკლესიის საუნჯე, № 5.

ხარაზი მ. — ქობულეთი, № 5.

ჩვენნი კალენდარი

მოდისწრაფიშვილი გ. — ქართული წიგნი, № 6.

მეგობრები ულოცავენ

ძვირფასო სერგო! — (წერილი-მილოცვა ს. კლიაშვილისადმი), № 1.

ხელოვნება

კობალაძე ი. — სცენის უანგარო მოღვაწე. № 2.

სურმანიძე რ. — დიდ სარბიელზე. № 4.

ცხვარაძე გ. — ლოტბარის გზა, № 1.

მოგონებანი

მალაზონია ნ. — ზღვა და გალაკტიონი, № 3.

გულს გული იცნობს

ხალვაში ფ. — ათი დაუფიქარი ჯღერა
ეროვნული
ბიბლიოთეკა

№ 4.

წიგნების მიმოხილვა

ჩავლეიშვილი ა. — სატირის მახვილით, № 5.

შავგულაძე ქ. — მოთხრობა უშიშარ რევოლუციონერზე, № 3.

შანიძე კ. — საუბარი გულთან, № 3.
ალანაოქვამი, № 5.

საბჭო და იუზორი

სამსონია ა. — სამი თერძი, № 4, პროტექცია, № 5.

სიორიძე ა. — კიკი, № 2.

როყვა შ. — კონკურსში გამარჯვებული, № 3.



შ ი ნ ა ა რ ს ი

ლენინიანა

ზ. გორგბილაძე — უნდა ავმადლდეთ, საუკუნე გვაძლებს როცა (ლირიკული პოემა)	3
ფ. მახარაძე — აქ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ლენინი	8
მ. გარუნიძე — ლექსები	25
ჯ. ჯიჟიშვილი — ჩემი პირველი მხატვარი (მოთხრობა)	29
ნ. ჯაბაღონი — მომავალ დღეთა სიკეთის გვჯერა (ლექსი)	45
რუდი შტრალი — ჩემი მეგობარი სიბილე (მოთხრობა, გერმანულიდან თარგმნა გ. მაჭუტაძემ)	46
ზ. კაშვარაძე — დრონი მეფობენ (ლექსი)	52
დღეები და აღამიანები	
რ. ჩხიშა — მოხუცი მეთევზის ფიქრები (ნარკვევი)	53

პრიტიკა და პუბლიცისტიკა

ნ. დუმბაძე — ნოველის დიდოსტატი	61
--------------------------------	----

წერილები

შ. ქურიძე — პირველი ლიტერატურული გაზეთი აჭარაში	71
ი. მებრძოლი — პანტელეიმონ პეტრენკო	80
პ. გმირმანა — დედა (თარგმნა გ. სალუქვაძემ)	83

ჩვენი პალენდარი

პ. მოისწრაფიშვილი — ქართული წიგნი	85
-----------------------------------	----

საბირა და იუმორი

გ. ჩხაიძე — შეცხადება	91
ჟურნალ „ლიტერატურული აქარის“ 1969 წლის ნომრების შინაარსი	93

2

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.

ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, პ/მგ. მდივნის — 33-72.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/XII, 1969 წ. საბეჭდო 6. საგამომცემლო ნაბეჭდი, შეკეთის № 4.814, ემ 00830, ქაღალდის ზომა 60X90, ტირაჟი 1.800

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარბოლიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9 (ლუქსემბურგის 22).

ფანკი 40 კპპ.



ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„Литератури Аджара“

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ИНДЕКС 78116